# ივერია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

**N° 28**

# IVERIA

*EDITION PÉRIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE*

შ ი ნ ა ა რ ს ი

აფხაზეთის გარშემო — ალექსანდრე მანველიშვილი

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო — მიხეილ ქავთარაძე

ელისე პატარიძის მოსაგონარი

რეცენზიის მაგიერ — მ.ქ.

სამგლოვიარო

ჟურნალის ფონდი

JUIN **1985** PARIS

# ივერია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

№ 28

# IVERIA

*EDITION PÉRIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE*

შ ი ნ ა ა რ ს ი

აფხაზეთის გარშემო — ალექსანდრე მანველიშვილი

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო — მიხეილ ქავთარაძე

ელისე პატარიძის მოსაგონარი

რეცენზიის მაგიერ — მ.ქ.

სამგლოვიარო

ჟურნალის ფონდი

JUIN **1985** PARIS

# ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს  გ ა რ შ ე მ ო.

აფხაზეთის ტერიტორია მოქცეულია კავკასიონის აქეთა მხარეს და საზღვარიც სწორედ იქ თავდება სადაც კავკასიონის კუდი სწვდება შავ ზღვას– საქართველოს დიდების ხანაშიც საქართველო თავსდებოდა „ნიკოპსიით დარუბანდამდე“ .

მთელი ეს ტერიტორია ეგრისის წყლამდე უხსოვარი დროიდანვე ქართველი ტომებით იყო დასახლებული . ადრე ის წარმოადგენდა ძველი კოლხეთის ნაწილს და მერე გაერთიანებული საქართველოსი. როგორც ჩვენი ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა , ძველბერძნულ წყაროებზე დამყარებით, ამტკიცებს, ამ მხარეში ჯერ კიდევ ქ. წ. მეშვიდე– მეექვსე საუკუნეებში , ცხოვრობდნენ ნაწილები ყველა ქართველი ტომებისა. ესენი იყვნენ: ეგრის–აფხაზეთის მხარეში სანაპიროზე მეგრელ = ლაზები . მთიან აფხაზეთში კი დასახლებული ყოფილა მოსხის ტომები . ანალოგიური მდგომარეობა იყო უფრო შორეულ აღმოსავლეთ ნაწილში კოლხეთისა, სადაც ერთმანეთის ახლოს ცხოვრობდენ კოლხთა და მესხთა ტომები.

სოჭის რაიონში ცხოვრობდენ ჰენიოხები ( იგივე სანიგები, კოლხური ტომები)ცოტა გვიან კი ჩამოსახლდენ სვანები. ასე რომ ანტიურ ხანაშივე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია დასახლებული იყო ყველა ქართველი ტომებით. როგორც ირკვევა დღევანდელი სახელწოდება „ აფხაზიც “ არ ეკუთვნის უფრო გვიან ჩამოსახლებულ ადიღეურ ტომს ესე-იგი წინაპრებს დღევანდელი აფხაზებისა. ნ. მარის და ინგოროყვას მტკიცებით ეს სახელი წარმოსდგება მოსხის ტომის სახელისაგან. ეს სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რაკი ამ ტომის ნაწილებს აქ უხვად უცხოვრიათ.

ამ ტომთა შორის შერევა და ერთმანეთის ენაზე გადასვლაც ხდებოდა. . ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სვანები ჯერ მეგრელებს შეერწყნენ და გვიან მათი დიდი ნაწილი გადავიდა ქართულ ენაზე. სვანთა ტომი, ძველ ბერძენთა დამოწმებით, ძალიან მრავალრიცხოვანი ყოფილა და სხვა ქართულ ტომებთან ასიმილაციის შემდეგ ეს ტომი რიცხობრივად დაკნინდა. დაკნინდა უფრო ქართულენოვან ტომებთან შერწყმით. : თუ კოლხეთის ძლიერების ხანაში დასავლეთ საქართველოში სჭარბობდა კოლხთა ტომები, რომელთაგან სამართლიანად მიიღო სახელწოდება სახელმწიფომაც , ცოტა გვიან აქ იმრავლა ქართულენოვანმა ელემენტმა და ამის შედეგი იყო რომ მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ენა გაბატონდა როგორც საერო ცხოვრებაში ისე ეკლესიაში. რაკი ყველა ქართველური ენებისათვის ფუძე ერთი იყო , ქართული ენა სრულიად თავისუფლად იყო აღიარებული როგორც საერთო ენა ყველა ქართველი ტომებისათვის.

პ. ინგოროყვამ საფუძვლიანად შეისწავლა დღევანდელი აფხაზეთის გეოგრაფიული სახელები და ყველა ქართული წარმოშობისად აღიარა. და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს რომ ეს ტერიტორია მუდამ იყო ქართული , ქართული მოსახლეობით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი ტომების არსებობა პირველ საუკუნეებშიც არის დადასტურებული. ამავე დროს მათ უკვე ჰქონიათ ჩამოყალიბებული პატარა სამთავროები, ჰქონიათ ერთმანეთთან ქიშპობაც. მეგობრობაც როგორც ეს საერთო წესია . ამ ტომთა სიმრავლეს ხშირად აჭარბებენ კიდეც . მაგალითად პირველ საუკუნეში ბერძნებიაქ სამოცდაათ ტომს ასახელებენ. ხოლო უფრო ადრე ალექსანდრიელი გეოგრაფი აქ ასახელებს სამას ტომს, რომელნიც თითქო ყველა თავ-თავის ენაზე ლაპარაკობდა . შეიძლება ყოველი ცალკე ვიწრო დიალექტი მას ცალკე ენად წარმოედგინა. ყოველ შემთხვევაში ეს ცნობები გადაჭარბებული და ზღაპრულია მაგრამ დამადასტურებელია აქ მრავალი ტომების არსებობისა, რომელნიც ყველა ქართული მოდგმისანი იყვნენ. ძალიან დაგვიანებით კი მათ დაემატნენ ადიღეური ტომები, წინაპრები დღევანდელი აფხაზებისა. ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან და ალბად, როგორც მაშინ ხდებოდა, ძალით გაიკვლიეს გზა ადგილობრივი ტერიტორიის დასაკავებლად. მით უმეტეს რომ მაშინ ეთნიურობის შეგნება დაბალ დონეზე იდგა. და ისინიც ჩადგნენ სხვა ქართველ ტომთა რიგში. მაშასადამე ამ დროიდანვე ახალი ადიგეური ტომი სხვა ქართველ ტომთა შორის თანასწორუფლებიან მდგომარეობაში ჩადგა და როგორც ურთიერთ ბრძოლაში ისე საერთო ურთიერთობაში ერთი საერთო სულიერება დაამყარა .

აფხაზთა ტომი სხვა ქართველ ტომთა ჭიდილის არეში ცხოვრობდა. როდესაც სხვა ქართველ ტომთა შორის ერთობა არ არსებობდა და ერთმანეთს ებრძოდენ, აფხაზთა ტომი მათთან ისეთსავე მიმართებაში იყო როგორც _ _ ქართველი ტომები ერთმანეთში. . ცალკე ყოფნის დროს ცალკე იყვნენ ერთობის დროს – ერთად. ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ეთნიური სახე გამოკვეთილი და ამიტომ ყველა ქართველ ტომს და მათ შორის აფხაზთა ტომსაც ერთნაირად შეეძლო ხელსაყრელ პირობებში პირველობის როლიც ეთამაშა. პირველი საუკუნეებიდანვე აფხაზთა ტომი ქართველთა შეგნებაში უცხო თესლად არ ისახებოდა, ის ისეთივე ერთეული იყო, როგორც სხვა ქართველი ტომი. თუ მათშორის არსებობდა ენობრივი განსხვავება, რაც ქართველ ტომთა შორისაც არსებობდა, სულიერი და კულტურული ცხოვრება მათ ერთი ჰქონდათ. მის შექმნაში ყველა ერთნაირად იღებდა მონაწილეობას.

ეთნიური შეგნების განვითარებას არ გამოუწვევია აფხაზთა ტომში სულიერი კონფლიქტი, პირიქით, ქართველი ტომების მიმართ სწორედ საერთო ეროვნული გრძნობა უფროგანვითარდა და ეს იმ ფაქტითაც

რომ ქართველი ტომების გაერთიანების საქმეში აფხაზთა ტომი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. აფხაზთა ტომის ქართულ ტერიტორიაზე ჩამოსახლების დღიდან, ქართველთა ცხოვრებაში ჩაება და მათთან იყო ჭირსა და ლხინში. სხვაგვარად ეს წარმოუდგენელიც არის რადგან ყოველი ხალხის ცხოვრებაში თავდაცვა თამაშობდა დიდ როლს და პატარა ეთნიური ელემენტები ერთმანეთს ეკვრიან თავდასაცავად. ასეთი თავდაცვა აფხაზთა ტომს შეეძლო მხოლოდ ქართველ ტომებთან და არა მათთან უფრო ახლო მდგომ ადიღეურ ტომებთან, სადაც მათ არსებობა ვერ შეძლეს და მთებიდან ძირს ჩამოვიდნენ. და ბოლოს ქართველთა ცხოვრების სრული მონაწილე გახდნენ და თვით საქართველოს გაერთიანების საქმეში ერთი უპირველესი როლი ითამაშეს.

აფხაზთა ცხოვრებიდან რომ მისი ასეთი როლი ამოშალოთ, მათ არაფერი დარჩებათ თავიანთი წარსულიდან. როდესაც ყოველი ერი ამაყობს თავისი წარსულით, ნუთუ შეგნებული აფხაზი თავის წარსულს ჯვარს დაუსვამს და ცარიელ დაფად აქცევს მას ? !

ვის არ ახსოვს კლასიკური პერიოდი ჩვენი ისტორიისა, როდესაც მთელი ქართული მოდგმა მიილტვოდა სრული გაერთიანებისაკენ და ამ დიდ საქმეში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა სწორედ აფხაზეთმა. აფხაზში რომ მისი ტომური შეგნება უფრო ძლიერი ყოფილიყო საერთოზე , და ეს კი იყო ქართული, მაშინ ისინი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ აფხაზეთის განთავისუფლებით და აღარ ეზრუნათ მთელ საქართველოს გაერთიანებაზე. აქ შეიძლება შეგვნიშნონ რომ მათ დაპყრობითი ინსტიქტი ამოძრავებდათ და არა ერთობისა. მაგრამ აფხაზთა ტომს ასეთი ჰეგემონიის დამყარება შეეძლო მხოლოდ აფხაზეთშივე მოსახლე ქართველ ტომებზე და არა მთელ საქართველოზე.

ძველი დროიდანვე მთელ დასავლეთ საქართველოში ბერძნების ბატონობა იყო დამყარებული. ის იმდენად ძლიერი იყო რამდენადაც ქართველ ტომებში დაშლილობა სუფევდა. ბერძნები ქართველებს თავსახვევდნენ თავის ენასაც. და როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს, ბერძნებმა მათი გავლენა უფრო გააძლიერეს იმ ფაქტით, დასავლეთის ქართული ეკლესია მათ დაიმორჩილეს და წირვა-ლოცვასაც ქართველები ბერძნულად ასრულებდნენ. ეჭვი არ არის რომ ამ მდგომარეობას დიდი წინააღმდეგობა უნდა გამოეწვია ქართველების მხრიდ, მით უმეტეს რომ ამდროს ქართულენოვანი მოსახლეობა დასავლეთსაქართველოში ბევრად სჭარბობდა.

მეშვიდე-მერვე საუკუნეებში აფხაზეთისთვის მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. ბერძნები დასუსტებული იყვნენ და სწორედ აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი გავლენა ძალზე შესუსტდა. ამავე დროს ეგრისის სამეფოც დაშლილი და დასუსტებული იყო და პირველობის როლი სწორედ აფხაზეთს ერგო. მან ჯერ ბერძენთა ბატონობისაგან გაითავისუფლა თავი. მერე ეს ბრძოლა გადაიტანა მთელ დასავლეთ საქართველოში, რაც სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. მიუხედავად კერძო აფხაზთა ტომის უმცირესობისა, რაკი მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება აფხაზეთიდან დაიწყო- სრულიად ბუნებრივად, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფომ მიიღო „აფხაზთა სამეფოს." სახელწოდება.

ქართველი ერის ისტორიაში ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოშიც შესუსტებული იყო არაბთა ბატონობა და მსგავსად აფხაზეთისა აქაც რამდენიმე დამოუკიდებელი ერთეული ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთით ჰერეთ-კახეთის სამთავროები და იბერიის ცენტრის სამხრეთში გადატანით, ტაო-კლარჯეთის სამეფო.

„აფხაზთა სამეფოს" დაარსება არ იყო ერთი ტომის ბატონობა მეორეზე. იგი იყო წმინდა ქართული და ეროვნული. ეს იმ ფაქტითაც დამტკიცდა რომ აქ მთელი ქვეყნის ცხოვრება გადავიდა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე. გაბატონდა ყველგან ქართული ენა. თვით ეკლესიამ უარჰყო ბერძენთა ბატონობა და ის საქართველოს , მცხეთის საქათალიკოსოს შეუერთა. საქართველოს ეკლესია, მცხეთის საკათალიკოსოთი სათავეში, იმთავითვე ითვლებოდა მთელი ქართველი ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ. რაკი კახეთ-ჰერეთის და ტაო-კლარჯეთის ეკლესიებიც მას ემორჩილებოდა. და სრულიად ბუნებრივი იყო რომ უკვე „გაქართულებული" „აფხაზთა სამეფოს" ეკლესიაც მას შეერთებოდა. ამნაირად ამდროის ყოველი ისტორიული ფაქტი ადასტურებს აფხაზთა მოძრაობის საერთო ქართულ ეროვნულ ხასიათს.

რადგან ეს მოძრაობა ეროვნული იყო, ის ვერ გაჩერდებოდა აქ და მართლაც მაშინადვე ჩაება საერთოდ მთელი, საქართველოს გაერთიანების საქმეში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ცალკე კუთხეთა შორის იყო ცილობა, ფეოდალურ ქვეყანაში ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა. მთავარი ის არის რომ მთელი ეს ბრძოლები მიმართული იყო საქართველოს სრული გაერთიანებისაკენ. რასაკვირველია ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს სხვადასხვა ფაქტორებმა. უკვე არსებულმა კულტურულმა და სარწმუნოებრივმა ერთობამ, შეიძლება მატერიალური თანამშრომლობის აუცილებლობამაც, მაგრამ ვფიქრობ, გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო თავდაცვა გარეშე მტრებისაგან.

ამ დროს ყველაზე რთული მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. რადგან აქ წარმოდგენილი იყო ყველა ქართველი ტომი — დამატებით აფხაზთა ტომისა და ერთის შეხედვით მთლიანობის აღდგენა აქ უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ მთელი აღმოსავლეთ-სამხრეთი ეთნიურად მონოლითური იყო და თითქოს აქედან უფრო ადვილი იქნებოდა გაერთიანების დაწყება, მაგრამ რადგან დასავლეთ საქართველომ სიძნელეები გადალახა და „აფხაზთა სამეფო" მოგვევლინა, როგორც ძლიერი ერთეული, ის მყისვე

ჩაება ბრძოლებში სხვა ერთეულებთან პირველობის მოპოვებისათვის რაც ნიშნავდა საბოლოოდ საქართველოს სრულ გაერთიანებას. როგორც აღვნიშნე, ამ დიდ საქმეში, ჯერ დას. საქართველოს გაერთიანებაში და მერე მთელ საქართველოსი, აფხაზთა ტომმა დიდი როლი ითამაშა და შეგნებული აფხაზის მიერ ამის დავიწყება დიდი დანაშაული იქნებოდა აფხაზთა ხალხის მიმართ!

აფხაზთა სამეფო ანხორციელებდა მთლიან ქართულ იდეას, ამიტომ მრავალრიცხოვანი ქართული ტომები ეგრისისა, აფხაზეთის „ექსპანსიას" უცქეროდენ როგორც საერთო ქართულ საქმეს და ასეც შეიქმნა ერთი მთლიანი დასავლეთის სამეფო რომლის სატახტო ქალაქი იყო ქუთაისი.

ამგვარად აფხაზთა ამბავი არ იყო რაღაც ვიწრო ტომური მოვლენა, არამედ საერთო ქართული, რომლის მთავარ ძალას მაინც ქართული ტომები წარმოადგენდენ და მიუხედავად აფხაზეთის სამთავროს ინიციატივისა მას გაერთიანებულ დას.საქართველოში თანაბარი ადგილი ჰქონდა ქართველ ტომებთან.

ცოტა მოგვიანებით, როდესაც ბრძოლები საქართველოს გაერთიანებით გათავდა, მის პირველ მეფედ ბაგრატ ბაგრატიონი გამოაცხადეს და რაკი ის პირველად დას. საქართველოში გამეფდა, სრულიად ბუნებრივად, ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც პირველი ადგილი დაიკავა „აფხაზთა სამეფომ". ბაგრატი იწოდა „მეფეთ აფხაზთა" შემდეგ „ქართველთა" ჰერთა, კახთა და სხ. რასაკვირელია „მეფე აფხაზთა" ნიშნავდა მეფეს მთელი დას. საქართველოსი და არა მხოლოდ აფხაზთა ტომისა.

„აფხაზთა სამეფო" წარმოადგენდა ქართულ სამეფოს ქართულ ტერიტორიაზე, ქართულ მოსახლეობით.

აფხაზთა ტომი ანტიური დროიდანვე იყო წევრი ქართული მოდგმის ოჯახისა, მასთან ერთად ქმნიდა თავის კულტურას და იმთავითვე იყო სრულუფლებიანი წევრი საქართველოს სახელმწიფოსი. საქართველოს გაერთიანებაშიც ხომ მან დიდი როლი ითამაშა! საქართველოს წარსული და მისი ისტორია წარმოადგენს წარსულს აფხაზეთისაც. გამოაკელით ყოველივე ეს და აფხაზთა წარსულიდან აღარაფერი დაგრჩებათ. ყოველივე ის რითაც ამაყობს ყოველი ეთნიური ერთეული და მათ შორის აფხაზთა ტომიც.

ამიტომ ისმება საკითხი: რამ გამოიწვია დღეს აფხაზთა უკმაყოფილება რომ ისინი უკიდურესობამდი მიდიან, რომ აფხაზეთი ჩამოსცილდეს საქართველოს სახელმწიფოს და შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას, რომელიც იყო და არის ჩვენი დამპყრობელი და მჩაგვრელი, მასთან აფხაზეთისაც. რაკი უკანასკნელად აფხაზეთში ადგილი ჰქონია ასეთ გამოსვლებს, ეს კითხვა ახსნას მოითხოვს.

აფხაზთა უკმაყოფილებას ორი მიზეზი შეიძლება ედოს საფუძვლად. პირველი მიზეზი შეიძლება იყოს თვით საბჭოთა მეთაურობის ცუდი პოლიტიკა. რასაც შეეძლო აფხაზთა უკმაყოფილების გამოწვევა და მერე მისი უკიდურესობაში გადავარდნა. ასეთი რამ დასაშვებია, მით უმეტეს რომ გვაქვს ამის პრეცედენტი ჩვენი დამოუკიდებლობის დროიდან. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ესეც გავიხსენოთ. დამოუკიდებლობის დროს მენშევიკურმა მთავრობამ გამოუცდელობისა თუ სხვა მიზეზით, თავისი უხეში პოლიტიკით განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, ქვეყნის საქმეს თავი ვერ მოაბა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია იმავე აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში, აჭარასა და სამცხის მუსულმან ქართველებში. იყო აჯანყებები და ბრძოლები. ჩვენი მენშევიკები ყველა ამას გულუბრყვილოდ ბოლშევიკების მოქმედებას აბრალებდენ. არ ვიცი, სამცხის მუსულმანებთან რა ესაქმებოდათ ბოლშევიკებს!

სამცხის მუსულმანობა ებრძოდა მთავრობას რეფორმების შესახებ. მენშევიკებს მოთმინება არ ეყოთ. რომ ჯერ ქვეყნის დავდაცვა და მოწესრიგება უზრუნველეყოთ. მიწა არსად გარბოდა. მით უმეტეს საქართველოში ამ დროს არ იყო არც ერთი წრე რომელიც ასეთი რეფორმის საჭიროებას არ ცნობდა. აქ მინდა გავიხსენო ერთი ამბავი. სამცხის აჯანყებას სათავეში უდგა სერვერ ბეგი. შთამომავალი სამცხის ათაბაგების, ჯაყელებისა. ის იყო დაახლოებული ქართულ არისტოკრატიასთან. სხვათაშორის მისი ერთი და ცოლად ჰყავდა ჩვენს ეროვნულ გმირს გიორგი ხიმშიაშვილს. სერვერ ბეგი იყო დიდი მემამულე, მაგრამ ჭკვიანი და დიდად განათლებული ადამიანი. ასეთები კი ჩვენ მენშევიკებს ყელზე ადგათ. და განა მარტო ის. იმის მაგიერ რომ ასეთი ადამიანები გამოეყენებინათ, ყველას წიხლი ჰკრეს და გამოყენების მაგიერ ყველა მტრად გადაიკიდეს. ხოლო ამ გარიყულებმა თავიანთი პატრიოტიზმი დაამტკიცეს საკუთარი სიცოცხლის სამშობლოსადმი შეწირვით. . .

სერვერ ბეგი დამარცხდა და თურქეთში გაიქცა. როგორც ყველა რენეგატს მოსდის, დასაწყისში თურქებმა წარჩინებულად მიიღესმაგრამ საქართველოში თუ ასეთი ელემენტები თურქად ასაღებდნენ თავს, თურქეთში ძალაუნებურად ქართველებად იქცეოდნენ. ბოლოს ის ჩამოქვეითდა და ქ. ყარსის ინჟინერის თანამდებობაზე იცოხნიდა თავის უკანასკნელ წლებს.

1929 წელს მე მას შევხვდი. როდესაც გამოვემცნაური, მან მითხრა რომ მე მამაშენს ვიცნობ და თქვენ სახლში პური მიჭამიაო. მე ეს მახსოვდა. ჩვენთან რომ მოვიდა ოთხი კაცით, ყველა ქართულად ჩოხებში იყვნენ გამოწყობილი. რაკი დაახლოვებული აღმოვჩნდი, მე მას თავისუფლად ველაპარაკებოდი და ვუსაყვედურებდი მის მოქმედებას. ის მარწმუნებდა რომ მე ქართველებს არ ვებრძოდი, არამედ მენშევიკებსო. მენშევიკებს სხვებიც ებრძოდენ, მაგრამ ეს საქართველოს არ ეღალატებოდა

ამიტომ თქვენმა ბრძოლამ ანტიეროვნული ხასიათი მიიღომეთქი და სხ. ვატყობდი რომ ის თავის გულის სიღრმეში გრძნობდა დანაშაულს, მით უმეტეს რომ თურქეთში ფრიად იყო დამცირებული. სანუგეშო ისღა დარჩენოდა რომ თურქეთში ლტოლვილ ქართველებს დიდად ეხმარებოდა. ისიც უნდა ვსთქვა რომ მაშინ თვით სამცხის ბეგების უმრავლესობა მას არ თანაუგრძნობდა.

დიახ! ჩვენ გამოჩენილ გენერლებსა და მოწინავე პირებს მენშევიკებმა ზურგი შეაქციეს, რადგან ისინი თავადების გვარებს ატარებდენ. და ისიც ხომ ვნახეთ , რომ როდესაც დადგა დრო მსხვერპლის გაღებისა, ჟორდანია-რამიშვილები უცხოეთში გაიქცნენ , ხოლო ჩვენმა გამოჩენილმა სარდლებმა: ვარდენ წულუკიძემ, ანდრონიკაშვილმა, კ. აფხაზმა, ხიმშიაშვილმა დამრავალმა სხვამ სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

ეს ანალოგია მაგონდება, როდესაც ვფიქრობ რომ იქნებ საქართველოს საბჭოთა მესვეურებიც იმავე შეცდომებს უშვებენ განაპირა რაიონებისა და კერძოდ აფხაზეთის მიმართ. მაგრამ კომუნისტური მთავრობა უკვე 65 წლისაა და მენშევიკების „ბოდიში" —ჩვენი დამოუკიდებლობა დიდხანს არ გაგრძელდა ყველაფრის მოგვარებისათვის დრო აღარ გვეყოვო – კომუნისტებზე ვერ გავრცელდება. ამ ლოღიკით უფლება გვაქვს პირდაპირ მათ დავდოთ ბრალი. მაგრამ ასეთი ბრალდებაც უადგილო იქნებოდა. დღეს ხომ საქართველო თავისუფალი არ არის მიუხედავად მისი ტიტულისა : „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა" .საქართველოს მთავრობა არ არის თავისუფალი მის მოქმედებაში. ის მოქმედობს მოსკოვის კარნახით. მან უნდა გააკეთოს ის რასაც მოსკოვის ინტერესები მოითხოვს. ამიტომ, საწინააღმდეგოს ისინი ვერ გაბედავენ. მაშასადამე მათდამი ბრალდებას ძირი ეჭრება. რასაკვირველია ეს ეხება პოლიტიკის ძირითად მიმართულებას. ხოლო თუ უკმაყოფილება ეხება წვრილმანებს, ამის გასწორება ადვილია და ამას არც შეეძლო ისეთი უკმაყოფილების გამოწვევა რომ ქვეყანა განდგომილებამდე მიეყვანა.

ამიტომ ძალაუნებურად ლოღიკას მოსკოვის კარებთან მივყავართ. ცხადია ამ საქმეში მოსკოვის ხელია გარეული. ისიც შეიძლება რომ „უფროსმა ძმამ" ეს საქმე გააკეთებინოს სხვა პატარა „მოძმეებს" რაც ასე უხვად მოიპოვება საქართველოში და ვინც მუდამ მზათ არიან იმოქმედონ საქართველოს დამცირება და დასუსტებისათვის. საქართველოში უხვად არის ჩასახლებული უცხო ელემენტი. ის ფრიად გამრავლდა სწორედ საბჭოთა რეჟიმის დროს და ისინი ძირს უთხრიან ქვეყნის ძალას.

დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიის მოსახლეობა ოთხასიათასს აღემატება, და აქედან აფხაზი მხოლოდ ოთხმოცი ათასია. ასევე აქ ჩასახლებულია სამოცათასზე მეტი სომეხი (საბჭოთა პერიოდში) და რუსები.

ამის შედეგია რომ როდესაც სოხუმში უნივერსიტეტი გახსნეს, იქ სწავლება მიმდინარეობს სამ ენაზე: აფხაზურად, ქართულად და რუსულად. ქართულად, ბუნებრივია, აქ უმთავრესად ქართველები ცხოვრობენ და სახელმწიფო ენაც ქართულია. აფხაზურადაც, ბუნებრივია, აფხაზთა ტომს ვერ წაართმევენ უფლებას თავის ენაზე სწავლებისა. მაგრამ რა უნდა აქ რუსულ ენას? ჩამოსახლებულმა ელემენტებმა უნდა ისწავლონ ქართული, სახელმწიფო ენა. ქართველი სტუდენტები რომ მიდიან რუსეთში ისინი რუსულ ენაზე სწავლობენ. განა რუსეთში ქართველებს ან სხვა ერის შვილებს თავიანთ ენაზე უხსნიან სასწავლებლებს! „უმცროსი ძმა" თუ მოვალეა ისწავლოს „უფროსი ძმის" ენა, უკუღმაც ხომ ნორმალური იქნებოდა. მაგრამ ეს რუსის თავში არ შედის. იმიტომ კიარა რომ მათ არ ესმით, იმიტომ რომ მათი საბოლოო მიზანი ეს არის. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები უნდა გაითქვიფონ რუსებში. აი, საბოლოო მიზანი მათი. სამაგიეროდ სხვა რესპუბლიკებში შემავალი ეთნიური ელემენტები არამარტო არ უნდა გაითქვიფონ ადგილობრივ ერში, პირიქით სცდილობენ რომ მათ შორის რაც შეიძლება უფრო ღრმა უფსკრული იყოს გაპობილი.

ყველა ამის შემდეგ ფაქტი ხდება, თუ საიდან მოდის აფხაზთა უკმაყოფილება. ცხადია ის არის შედეგი უმთავრესად რუსების პროპაგანდისა. საქართველოს უტევენ ყოველი მხრიდან: შიგნიდან და გარედან. ქართველ კომუნისტურ მესვეურებს ხელფეხი აქვთ შეკრული მაგრამ არ მგონია რომ ქართველი ერის ეროვნულ შეგნების დღევანდელ დონეზე მტერმა გამარჯვებას მიაღწიოს.

აფხაზეთის წარსულის გათვალისწინების შემდეგ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი რომ აფხაზთა მოწინავე პირები როგორ ეგებიან ასეთი პროპაგანდის მახეში. მაგრამ ყოველ ხალხში მოიპოვებიან სულით მდაბალნი, რომელნიც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ხშირად სწირავენ კერძო ინტერესებს, რა მოტივიც არ უნდა იყოს გამოყენებული ამისთვის.

აფხაზთა ჩამოცილების იდეა რამდენად ამართლებს აფხაზთა ინტერესებს ? როდესაც ესა თუ ის ეთნიური ჯგუფი შედის რომელიმე სახელმწიფოში, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა პირობებში მოხდა ეს. თუმცა ეს უმთავრესად შედეგია დაპყრობისა ასეთი რამ კი აფხაზებზე არ ითქმის. ისინი თავიანთი სურვილით არიან ჩამოსახლებული საქართველოს ტერიტორიაზე და ძალაც სწორედ მათ უხმარიათ სხვა ქართველი ტომების წინააღმდეგ, საკუთარი მიწა-წყლის მოსაპოვებლად. და ალბად ესეც იყო მიზეზი რომ შემდეგში ისინი თავიხი ნებით შევიდნენ საქართველოს სახელმწიფოში.

სახელმწიფოში შემავალი უცხო ეთნიური ჯგუფი, მუდამ მიისწრაფის რომ გაბატონებულ ქვეყნისაგან განთავისუფლდეს. ეს ბრძოლა იმდენად არის ძლიერი, რამდენადაც აღნიშნული ჯგუფი მეტ ჩაგვრას განიცდის, აქ პირველ რიგში დგას ჩაგვრა ეროვნული, დამპყრობელი, პირველ რიგში ცდილობს დაპყრობილი განაიარაღოს მისი ეროვნული ღირებულებებიდან. მისი ეროვნული კულტურისა და ადათ-ჩვეულებებისაგან. მოუსპოს მას საკუთარი ენა და დაავიწყოს მისი წარსული.

ყველა ამის რეაქცია ის არის რომ დაჩაგრული ჯგუფი , ტომი თუ ერი იბრძვის თავისუფლებისათვის და ამ თავისუფლების მთავარი მიზანი არის მისი ეთნიური სახის შენარჩუნება. შეინახოს თავისი ენა კულტურა და იყოს პატრონი თავისი საკუთარი ცხოვრებისა, ეს არის ისეთი ბუნებრივი მოვლენა რომ ის ვრცელდება ყველაზე. იგივე შეიძლება გავრცელდეს აფხაზებზე თუ მათი მდგომარეობაც ანალოგიურია ყველა დაპყრობილი ხალხებისა.

მაგრამ ეს პირობები ვერ გავრცელდება აფხაზებზე. პირველი იმიტომ რომ აფხაზები არავის დაუპყრია, და როგორც არაერთხელ აღვნიშნე, პირიქით მათ დაიპყრეს ქართველთა ტერიტორია, უფრო ძალის ხმარებითაც. ისტორიულმა პირობებმა თავისით მოაქცია ისინი ქართულ სახელმწიფოში და საერთო ეროვნულ ფერხულში ჩააბა. მიუხედავად ამისა ქართველებს არასოდეს უცდიათ მათთვის მიევიწყებიათ მათი ენა და საკუთარი ადათ-ჩვეულებები.არც არასოდეს უცდიათ მათი სრული ასიმილირება. და არც სხვა რომელიმე ერთა შვილებისა, რადგან ეს არ გამომდინარეობს თვით ბუნებიდან ქართველი ერისა. თავიანთი მხრივ აფხაზები მუდამ გრძნობდენ თავს როგორც თანასწორუფლებიან წევრს საქართველოს საერთო ოჯახისა, იგია მონაწილე ქართველი **ერის** კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისა და შემოქმედებისა და დღეს აფსურდათ გვეჩვენება ტენდენცია გამოყოფისა.

ერთი წუთით დავუშვათ რომ ქართველმა ერმა დღეს უღალატა თავის საუკუნებრივ ტრადიციას აფხაზთა მიმართ, როგორც მათი ძმებისადმი და მათ სჩაგრავს. აფხაზს ერთი დარჩენია ქართველებს უთხრას: სანამ ჩვენ ძმებად გვთვლიდით, ძმები ვიყავით, ახლა როდესაც გერებად გვაქციეთ და დაარღვიეთ ჩვენშორის ძმობა, ახლა თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო ! ამ შემთხვევაშიაც ბუნებრივად დაისმებოდა საკითხი : იქ სადაც ხუთმილიონიანი ერი ვერ ახერხებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შესძლებს ამას პატარა აფხაზთა ტომი ?მაშასადამე ის რომ საქართველოს ჩამოსცილდეს, მსხვერპლი უნდა გახდეს სხვისა. და ასეთად უკვე რუსეთი აურჩევიათ ! და რა გარანტია აქვს აფხაზს რომ ის შეინარჩუნებს რუსეთში იმას, რისთვისაც იბრძვის პატარა საქართველოს წიაღში.? ალბად სულ მოკლე ხანში ჩაიხრჩვება ტომის ეთნიური მეობა რუსულ ქაობში !

რუსები ისწავლიან აფხაზურ ცეკვებს დააფხაზები– რუსულს , ისე, რომ რუსი რუსად დარჩეს და აფხაზი კი აფხაზად , როგორც ეს აქამდე ქართველებთან მეზობლობაში ხდებოდა ? რუსები იმღერებენ აფხაზურ სიმღერებს და აფხაზები რუსულს ? დღეს ყოველი აფხაზი აფხაზურივით ფლობს მეგრულ ენას, მღერის მეგრულად და საჭმელი კერძებიც ერთნაირი აქვთ, მაგრამ აფხაზებს აფხაზობა არ დაუკარგავთ – გააფხაზებულმა მეგრელებმა კი პირიქით, აფხაზებს აფხაზური ლიტერატურა შეუქმნეს. მარტო ეს ფაქტები რაოდენ რამის მთქმელია !

თუ საქართველოს მიმართ თავის დაცვა შეუძლებლად ეჩვენებათ , კიდევ მეტად ძნელი არ არის ამის მიღწევა წიაღში იმ რუსებისა, რომელნიც დაუფარავად აწარმოებენ დაგეგმილ პოლიტიკას ასიმილაციისა? **საქართველოს** რომ ასეთი პოლიტიკა ეწარმოებია, ამ ორიათასი წლის განმავლობაში , დღეს ერთი აფხაზიც არ იარსებებდა ამ სახელის მატარებელი . აფხაზთა ტომმა სწორედ საქართველოს წიაღში ყოფნის მადლით შეინახა თავისი ეთნიური სახე . შეინახა ისე, რომ არც საქართველო დაზიანებულა ამით. ამის შედეგია რომ დღეს აფხაზებს საკუთარი უნივერსიტეტი აქვთ . რუსეთმა კი, ვისთანაც აფხაზებს ჰსურთ თავი შეაფარონ, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ჯერ ყველა ქართული სკოლები მოსპო , მერე რუსული სკოლები გახსნა, ისიც უმცირეს რაოდენობით და იქ ქართული ენის სწავლებაც აკრძალა . ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ერთი უნივერსიტეტიც არ აღირსა, თუნდაც რუსულ ენაზე. ეს იმიტომ რომ ქართველებს სწავლა რუსეთში მიეღოთ და მერე გარუსებულიყვნენ. ამის შემდეგ მცირერიცხოვან აფხაზებს დაინდობენ რუსები ? თუ ნამდვილად რომელიმე შეგნებული აფხაზი ფიქრობს ის რუსეთთან მეტად შეინახავს თავის ეთნიურ სახეს, მას თავისით მიაქვს კისერი რუსულ სასაკლაოზე !

როგორი იქნება ქართველი ხალხის რეაქცია . არცერთი ქართველი შეურიგდება რომ მისი მოძმე აფხაზი რუსის ქაობში შთაინთქას .

უარესი კიდევ ის არის, რომ აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა.თვით აფხაზეთის ავტონომიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და მაშასადამე აფხაზთა განდგომას რომ რეალური საფუძველი ჰქონდეს, მისი ტერიტორიის ალბად სულ მცირე ნაწილი

ერგება აფხაზთა ტომს. და ეს უნდა მოაგლიჯოს საქართველოს და რუსეთს შესთავაზოს ? ამას ხომ საქართველო ვერ დაუშვებს რომ საქართველოს ტერიტორიაზე შიგნითაც რუსები ჩაგვისახლდენ. ცხადია, სანამ საქართველო რუსეთის ბატონობის ქვეშ იმყოფება , მისი ნაწილებიც იმასვე განიცდიან , მაგრამ თავისუფალი საქართველო ვერ შეურიგდება იმას რომ კავკასიონის ქედის აქეთაც რუსები გაბატონდენ.

გარეგნული ერთობა ე. წ. „საბჭოთა კავშირისა“ ხელს არ უშლის განუწყვეტელ ბრძოლას საქართველოს დასუსტებისა და დამცრობისათვის. მას ყოველი კუთხიდან უტევენ . აღმოსავლეთით მან სამუდამოდ დაკარგა ისტორიული ქართული კუთხე , საინგილო. სამხრეთიდან მოსკოვმა თურქებს გადაულოცა სომხებისაგან ყარსი და მისი მიდამოები, საქართველოდან კი არტაან-ართვინი და ნაწილი ბათუმის ოლქისა . და მოსაჩვენებლად, მან ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა მთავრობებს სათანადო ხელშეკრულებით ოსმალეთთან ( 1921 წ . ყარსში) დააფორმებინა ჩვენი ტერიტორიების გაჩუქება . და ეს მოხდა თურქეთის დასაჯილდოებლად რადგან მათ თავისუფალი გზა გაუხსნეს რუსებს ამიერ-კავკასია დაეკავებინათ . მწუხარებით უნდა აღვნიშნო რომ სომხებმაც კი სცადეს საქართველოსათვის ჯავახეთი ჩამოეცილებინათ , მაგრამ ეს ვერ განახორციელეს, რადგან ეს რუსეთის პოლიტიკაში არ შედიოდა . ის რუსეთს არ აკრავს და ჯავახეთი სომხეთთან იქნება თუ საქართველოსთან , ამას მნიშვნელობა არა აქვს . რუსეთისათვის სომხეთი თუ საქართველო, ორივე დაპყრობილი ქვეყნებია . ამავე დროს , მოსკოვშიც იციან ისტორია და გეოგრაფია !

საქართველო მძიმე მდგომარეობაშია ჩაყენებული . მას უტევენ შიგნიდან და გარედან . საუკუნეთა განმავლობაში უარეს მტრებსაც გაუძლო მან . ის ვერ წარხოცეს პირისაგან მიწისა. დღევანდელი მდგომარეობიდანაც გამოვა ის . რუსეთის იმპერია ანაქრონიზმია ჩვენი დროისათვის . ის ისევე დაეცემა როგორც სხვები . საქართველო განთავისუფლდება და ეროვნული საქართველო ყველას თავის კუთვნილ ადგილს დაუთმობს თავის მიწა-წყალზე .

ალ. მანველიშვილი

სან ფრანცისკო , თებერვალი 1985 წ.

## რ ე ც ე ნ ზ ი ი ს მ ა გ ი ე რ

გასულ წელს ბატონმა ალექსანდრე მანველიშვილმა სან ფრანცისკოში გამოსცა 590 გვერდიანი წიგნი : „ რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“. ეს წიგნი შეკვეცილი სახით გამოქვეყნებაა იმ ორი ტომისა, რომელთა მთლიანი სახით გამოცემის იმედიც დაკარგა ოთხმოც წელს გადაცილებულმა ავტორმა. ალექსანდრე მანველიშვილი ის უკანასკნელი ცოცხალთა შორის დარჩენილი , მაღალი რანგის მწერალია რომელიც იმ ემიგრანტ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის , რომელთა სახელები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება და რომელთა უმისოდაც ჩვენს ემიგრაციას ძლიერ საბრალო სახე ექნებოდა. ეს წიგნიც ავტორის რეპუტაციის შესაფერია.

ვაპირებდი ამ წიგნის რეცენზია დამეწერა –მით უმეტეს რომ „გუშაგმა“ , ალბად უფრო მნიშვნელოვან მასალისათვის უპირატესობის მიცემის გამო, წიგნის გამოცემას სიჩუმით ჩაუარა.მაგრამ ახლა ბ. ჩუბინიძემ დამასწრო. ხოლო იმ გარემოებამ რომ მანველიშვილის ღირებულების ავტორის წიგნის ოპონენტ-კრიტიკოსად ჩუბინიძე მოგვევლინა, გუნება გამიფუჭა. თანაც გრიშაშვილის ერთი ლექსი მომაგონა და მეც მასავით წარმოვთქვი მერე :მოდი და ახლა ამის შემდეგ წიგნები წერე !

მ.ქ.

## წმინდანები ჯოჯოხეთში

### მწერალ ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო

ნოდარ დუმბაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ყურადღება. მაშინვე ჩანდა რომ ძლიერ ნიჭიერ მწერალთან გვქონდა საქმე. მისი პირველი გახმაურებული ნაწარმოებები იყო „მე ვხედავ მზეს“ და „მე ბებია ილიკო და ილარიონი“. მგონია მის ნაწერებში მკითხველს ხიბლავდა მწერლის ბუნებრივობა, პირდაპირობა და გულწრფელობა, რასაც ზედ ერთვოდა მახვილი იუმორი, ასე დამახასიათებელი მისი მშობლიური კუთხის გურიისა, რომლის მკვიდრნიც იყვნენ მისი პერსონაჟებიც. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ იგი საგანსაც იცნობდა ვით თავის მშობლიურ გარემოს. მარტო ეს არ იყო მისი სიძლიერე. მას ახასიათებდა ლაკონიური სტილი, ზომიერებაც და და იგი არ განიცდიდა გაჭიანურების „სენს“, რომელსაც საუბედუროდ ზოგი ქართველი კარგი მწერალიც ვერ ასცდენია. მარტო ჩამოთვლილი იკმარებდა მწერალში ოსტატის დასანახად.. ვინც ძებნას დაიწყებს მისი ყაიდის მონათესავე მწერლებს იპოვნის უცხოურ მწერალთა შორისაც – რუს მწერალთა ჩათვლით. ქართველ მწერალთაგან კი, ცხადია მხოლოდ ზოგიერთ შეხების წერტილებით, მე იგი უფრო კლდიაშვილს მაგონებს ვიდრე ვინმე სხვას..

არ ვიცი რამდენად გაიზიარებს მკითხველი ჩემს შეხედულებას მაგრამ ვიტყოდი რომ როგორც მწერლობის ოსტატს, პირველ ადგილს მივაკუთვნებდი ქართულ რომანისტებში მის თანამედროვეთა შორის – იმ რეზერვით რომ ამ მწერლობას მხოლოდ ნაწილობრივად ვიცნობ.

ნოდარ დუმბაძე კომუნისტი იყო. იგი ძლიერ დაწინაურდა და სხვა პატივთა გარდა მას მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაც ხვდა წილად. მისი კომუნისტობის უფრო ადრე აღნიშვნა, ვიდრე მის დაწინაურებას ვახსენებდი, იმას არ ნიშნავს თითქოს იგი ამ დაწინაურების ღირსად არ მიმაჩნდეს. არა! იგი ღირსი იყო ამ ადგილისა მაგრამ მისებრ მცირე ხარკის გამღები მწერალი ასეთ პატივს ვერ მიაღწევდა, თუ კომუნისტი არ იქნებოდა.

ამ მოკლე წინათქმის შემდეგ წინამდებარე წერილი, ნოდარ დუმბაძის მხოლოდ ერთ რომანს შეეხება, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა სათაურით: „მარადისობის კანონი“.

ეს რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რაც თავისთავად იშვიათობას წარმოადგენს ქართულ მხატვრულ მწერლობაში – ყოველ შემთხვევაში მე პირადად სხვა ამგვარი ხასიათის ქართულ რომანს არ ვიცნობ. ავტობიოგრაფიული ხასიათის რომანები დასავლურ მწერლობაში საკმაოდ ხშირია. მაგრამ ავტობიოგრაფიული რომანიც არის და - რომანიც. მაგალითად, ფრანსუა მორიაკმა ერთი მისი რომანის შესახებ სთქვა: რომანში ავტობიოგრაფიული არის მხოლოდ ის სახლკარი რომლის დეტალური აღწერაც არის მოცემული, მე იმ სახლში გავატარე ჩემი ბავშვობაო. ეს ცხადია უკიდურესი შემთხვევაა. მაგრამ ის სწორი აზრიც ცნობილია რომ ყოველი რომანი ასე თუ ისე, უსათუოდ შეიცავს ავტობიოგრაფიულ ელემენტებს რადგან მწერალი თავის ნაწარმოებში თვისივე პიროვნების ამათუიმ ნაწილს ათავსებსო.

ნ. დუმბაძის ამ რომანის ავტობიოგრაფიულობა კი ძლიერ შორს მიდის. რომანის მთავარი გმირის ბიოგრაფიას უზომოდ მრავალი დამთხვევები აქვს ავტორის ბიოგრაფიასთან – იმდენად მრავალი რომ ის რაც არ ემთხვევა, უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ნასესხებ მასალად რომელიც ავტორს დასჭირდა რომანის ქსოვილის ზოგიერთ ადგილის მოსაქსოვად. ხოლო რაც შეეხება გმირის იდეებსა და საერთოდ სულიერ თვისებებს, ეს ხომ ლოგიკურად ცხადია, ისინი ან მთლიანად ავტორის იმავე თვისებათა ასლები არიან, ან არიან ისეთნი რომელნიც სასურველნი არიან როგორიც ავტორისათვის ასევე მისი გმირისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი გმირი გაუმჯობესებული ასლია თვით ავტორისა. (ამ ოპერაციაში იქნებ „თავის მართლება“ თუ არა, ავტორის მიერ განვლილ გზის „ახსნასთან“ გვქონდეს საქმე მაგრამ ამას შემდეგ მოვუბრუნდებით).

ამ რომანის კრიტიკული გარჩევა არ წამიკითხნია, მაგრამ ვფიქრობ, კრიტიკოსებს რომ ის გადმოეშალათ რასაც ავტორი ამ ნაწარმოებით ამბობს, 1978 წელს დაბეჭდილ რომანის დამწერის ბიოგრაფია იმ დღიდან მოყოლებული, სულ სხვანაირი იქნებოდა.

თუმცა აქ საკვირველი არცა არის რა! საგნისა თუ მოვლენის როგორც მოესურვებათ იმფერად შეღებვის ხელობა, არნახულად განვითარებულია „სოციალისტურ რეალიზმის“ სამყაროში. და ასევე წარმატებით ათვისებულია ქამელეონის უნარიც.(ხელისუფლების მიერ მ. ჯავახიშვილზე მიშვებულ რაპ-ელ ნაგაზების მთავარი მარეკი და გამყივარი ბესო ჟღენტი, როცა ნიავმა პირი იბრუნა, იმავ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გამომცემელ კოლეგიაში არ აღმოჩნდა?)

მაგრამ მე წინ გავრბივარ და დასასრულს სათქმელი ახლავე წამომცდა. დავიწყოთ თავიდან.

რომანი იწყება მთავარი გმირის საავადმყოფოში მოთავსებით და მთავრდება საავადმყოფოდან გამოსვლით. მაგრამ სამკურნალოში ყოფნის დროს მომხდარ ამბავთა თხრობაში, შიგდაშიგ ცალკე ჩასმულ პარაგრაფებში მოთხრობილია ადრე მომხდარი ამბები. თხრობის ასეთ ხერხს ჩვენ ვერ

გამოვიყენებთ, რადგან მკითხველი რომელიც რომანს არ იცნობს დაიბნეოდა.
წიგნის ხელში აღებისთანავე მისი გარეგნული გაფორმება იპყრობს ყურადღებას. ყდაზე ავტორის სახის ფოტოა. სახე ოთხად –ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად არის გაკვეთილი. მიღებული ოთხი ნაკვეთი ერთმანეთს დაშორებულია და თავისუფლად დარჩენილი ადგილი უკავია ჯვარს რომლის ვერტიკალური ნაწილი რომანის სათაურის შემადგენელ ასოებისაგან შესდგება ხოლო ჰორიზონტალური კი – ავტორისავე სახელისა და გვარისაგან. ყოველივე ეს თეთრ ფონზე შავი ფერით არის მოცემული მაგრამ მარჯვენა ქვევითა კუთხეში უფორმო წითელი ლაქაა.

არსებობს ყდის „ნეიტრალური" გაფორმება –გრაფიკული და სხვა. მაგრამ აქ რაღაც იდეის გამომსახველ რთულ კომპოზიციასთან გვაქვს საქმე, რომლის იდეის ავტორობა ძნელია მარტო მხატვარს ,მალაზონიას, მივაკუთვნოთ და კურიოზულია რომ თვით რომანში მოიპოვება პასაჟი, რომელიც თითქო გასაღებს გვაწვდის. ეს გახლავთ მეჩვიდმეტე პარაგრაფის 196 გვერდი სადაც მხატვრული გაფორმების შემკვეთი ხუტა შელია ლაპარაკობს მხატვარ როლანდის შესახებ :როგორც უნდა ისე დახატოს, მაგრამ მე რომ მინდა ის დახატოსო. აქ თითქოს ანალოგია უნდა დავინახოთ იმ საუბართან, რომელიც ნოდარ დუმბაძეს მხატვარ ნ. მალაზონიასთან იქნებ ჰქონდა. ასეა თუ ისე, მკითხველი დამეთანხმება რომ კომუნისტ მწერლის მიერ რელიგიურ მარტილოგიურ სიმბოლოს გამოყენება ისეთი რომანისათვის, რომელშიაც მისივე ორეულის სულიერი და ხორციელი ცხოვრებაა აღწერილი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია.

არის მეორე უცნაურობაც. ეს გახლავთ რომანის გმირის სახელი და გვარი : ბაჩანა რამიშვილი. ხდება ხოლმე როდესაც ავტორი თავის გმირს უფერულ, ბანალურ გვარსა და სახელს მისცემს, ვთქვათ პავლე დათიაშვილი . მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ არის. ამ სახელისა და გვარის წამკითხველის წინაშე მყის ორი აჩრდილი გაიელვებს : სახელისა გამო–ვაჟასი , ხოლო გვარისა გამო – ნოე რამიშვილისა. ვთქვათ სახელის არჩევა ავტორის ესტეტიურ სიმპატიებს მივაწეროთ. მაგრამ ისეთი გვარის არჩევა, რომლის შესახებ რომანის ერთი პერსონაჟი (საძაგელი ტიპი) ამბობს „ტყვილა კი არ გაუჟუჟიათ მაგის გვარი ოცდაჩვიდმეტში" , ნუთუ ესეც შემთხვევაა ?

რომანი იწყება ბაჩანას ბავშვობის დროიდან. როცა ის ცხრა წლისაა ესე იგი 1937 წლის საშინელი ხანა. აქ აღწერილია გულგამგმირავი სურათი: პარტიის მიერ მოგზავნილ კაცს მიჰყავს ბაჩანას დედა ხოლო მისი მამა უკვე წაყვანილია. ამ სცენის წერილში გადმოცემა ძნელია მხოლოდ ერთ ნაწილს მოვიყვან დიალოგიდან: ბაჩანას დედა სთხოვს წასაყვანად მოსულ კაცს რომ ნება მისცეს ბავშვს ერთხელ კიდევ გამოეთხოვოს. კაცი უარზეა . ცოლშვილი არა გყავს შე ულმერთო, ჰკითხა იმედდაკარგული ხმით ქალმა . არც მყავს და არც მეყოლება- ცალყბად ჩაიცინა კაცმა თავისუფალი კაცი ვარ . და ქალის პასუხი : თავისუფალი კი არა მონა ხარ შე უბედურო, ცვედანი , ტაკიმასხარა, კომედიანტი და ნაძირალა. – იფეთქა ქალმა.

განცდილის შედეგად ბავშვი ავად გახდა . თქვენს ბავშვს გულის მანკი აქვს და მწვავე ნევროზიც– უთხრა ბაჩანას დეიდას ექიმმა. ..შეძენილი მანკია რამე მძიმე ტრამვა ხომ არ გადაუტანია. არა ბატონო. რა ხნისაა? ცხრის. გასაკვირია პირდაპირ.

შემდეგ ბაჩანას ვხედავთ ხუთმეტი წლისას ეს უკვე ომის ხანაა. ბაჩანა ბებუასთან იმყოფება გურიაში, ლომკაცა რამიშვილთან. ექიმმა აღმოაჩინა რომ ბიჭს ჰლექის ნიშნები აქვს. რაა მაგის წამალი ეკითხება ბაჩანა. პენეცილინი და სულფიდინი. იშოვება ? ათიათასი მანეთი ღირს მაგი წამალი ტფილისში . . . მერე სადაა ამდენი ფული. . .კიდევ რაა ამის წამალი ? კარაქი, რძე, ხორცი თევზის ქონი ხიზალალა, კვერცხიშაქარი თაფლი სითბო და ბახმარო. . .

„ოცდასამი სული ძროხა, ორი მოზვერი, ოცდაშვიდი თხა სამი ცხენი და ერთი ტახი ჰყავდა 1943 წლის ზაფხულში მთაში გარეკილი ქვენობანის კოლმეურნეობას. ორი ძაღლი და სამი კაცი დარაჯობდა ასოცი კომლის ამ საცოდავ ავლადიდებას. "

ამ ფერმის გამგე გლახუნა ქერქაძეს შეავედრა თავი ბაჩანამ. ქერქაძემ ბავშვი შვილივით მიილო და ჯანზე მოიყვანეს.შევნიშნოთ რომ აქ ხელისუფლება არაფერ შუაშია.

აქ ავტორს რომანში შემოჰყავს ახალი პერსონაჟი, ომის დეზერტირი ვინმე მანუჩარ კიკვიძე რომელიც ჰკლავს გლახუნა ქერქაძეს. კომუნისტ ავტორს მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა დაეხატა კონფლიკტი ფაშიზმის მხარეზე გადასულ ანტიკომუნისტსა და საბჭოთა „აღმშენებლობის" ერთგულ თუნდაც არაკომუნისტ ქერქაძის შორის. არაფერი ამისი მსგავსი ! დეზერტირი ვითომ ანტიკომუნისტი რომელიც „ბურჟუაზიულ გადმონაშთს" უნდა ეკუთვნოდეს და „საეჭვო" ძველ დროს დაწინაურებულ გვარისა უნდა იყოს , ვიღაც კიკვაძეა, მხოლოდ კაცის მკვლელი, ბავშვების გამაუპატიურებელი, ბოროტი და ხელსისხლიანი პირუტყვი . და უფრო საკვირველი ის არის რომ არც ქერქაძე ელაპარაკება მას ხელისუფლების დამცველის და ფაშისტთა მოძულეს ენით.

კიკვაძემ ქერქაძე მარტო მოიხელთა . წანართმევი ყველით სავსე კალათი აჰკიდა და თან წაიყვანა . მომკალი შე აჯილღას გაგდებულოარ ვარ მე აქედან ფეხის გამდგმელი - ამბობს ქერქაძე. ტყუილა ფიქრობ მაგას გლახუნა ბატონო სანამ ადგილზე არ მიგატანიებ არ გაღირსებ

სიკვდილს – გააწბილა მანუჩარამ. ვის ებრძვი მანუჩარა უბედურო თუ იცი ? გააფრთხილა გლახუნამ. თქვენ გებრძვით ბატონო გლახუნა ბოლშევიკებს. ოცდაორი წელია დაბოგინობთ მამაჩემის ნასახლარზედა მამულში. გეყოთ აწი ჩვენი დრო მოვიდა – დაცინვით უპასუხა მანუჩარამ. ვინ ხართ ბიჭო თქვენ? მე და გერმანია . სადაა მერე გერმანია? მოვა გლახუნა მოვა . . . ეს არის მთელი „იდეოლოგიური“ შინაარსი მათი დიალოგისა . ხოლო ეს „სადაა მერე გერმანია“ , ისეა თქმული რომ კაცი ვერ გაიგებს გლახუნას სწყენია თუ უხარია რომ გერმანია ვერ ახლოვდება . ამას ისიც დავუმატოთ რომ გერმანია მოვა თუ არ მოვა კიკვაძე მაინც განწირულია, ამ ნადირს სასჯელი მაინც არ ასცდება, ასე რომ მას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ან კლასობრივ მტერთან. ახლა ვნახოთ როგორ იქცევა ქერქაძე სიკვდილის წინ , ვიდრე მოჰკლავდა კიკვაძემ გლახუნას ლოცვის ნება მისცა და ეს კოლმეურნეობის ფერმის გამგე ღმერთს ევედრება : ღმერთო ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის და შენვე წაიღე, გული გამიხეთქე, ამ ბინძური თესლის ნაყოფის ხელით ნუ მომკლავო. . . . ჩხაკოურას ტყეში სამი ტყვია გავარდა .

გლახუნას მკვლელს ჰკლავს ხუთმეტი წლის ბაჩანა. ჰკლავს არა დეზერტირსა და ანტიკომუნიტს არამედ მისი კეთილისმყოფელისა და მამობის გამწევის მკვლელს.

ამის შემდეგ ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, ბაჩანას ვხედავთ ვით სკოლის დამთავრებას მიღწეულ ჭაბუკს და ვეცნობით ყრმა ბაჩანას პირველ სიყვარულს, რაზედაც უფრო დაწვრილებით შემდეგ ვილაპარაკებთ. არის აგრეთვე სტუდენტობის დროის შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდი.

ახლა პარტიაში ბაჩანას მიღების ამბავს გავეცნოთ. რაიკომის ბიუროს წინაშე წარდგომამდე ბაჩანას „ფორმალური გასაუბრება“ აქვს სამ ძველ ბოლშევიკთან. ამხანაგო რამიშვილო მაინტერესებს ამდენხანს რატომ არ შემოდით პარტიაში? იყო პირველი კითხვა, ავტორი ამბობს რომ ბაჩანას უკვე მზად ჰქონდა შაბლონური პასუხი, რომ ადრე თავს ღირსად არ თვლიდა ასეთი საპატიო მისია ეკისრა . . . ახლა როდესაც ძირფესვიანად დაეუფლა . . . და ასე შემდეგ მაგრამ ენა არ მოუტრიალდაო

ადრე არ მღებულობდენ ბატონო. რატომ ? მშობლები მყავდა რეპრესირებული. კომკავშირში როგორღა მიგიღეს ? დავმალე რომ მშობლები. . კი მაგრამ არვინ იცოდა ვინ იყავით ? იცოდა სკოლის კომკავშირის მდივანმა . მეგობარი იყო ჩემი ... ომის წლები იყო ძალიან მძიმე წლები მაშინ ტყუილად და მოსაჩვენებლად არავინ შედიოდა კომკავშირში.

აქ ნ. დუმბაძე ორ რამეს ათქმევინებს თავის გმირს: რომ თურმე კომკავშირში ტყუილად და მოსაჩვენებლად შედიოდა ახალგაზრდობა , ხოლო ომის წლებში სულისკვეთება ისე შეცვლილა. რომ ასეთი რამ შეწყვეტილა . ეს უნდა აღიაროს კომუნისტმა მწერალმა ? მაშ „სამამულო ომი“ რაღაა? დაკითხვა გრძელდება . მშობლების გამო წყენა ხომ არა გაქვთ პარტიის მიმართ ? მქონდა . . . გამიარა . . დიდი ხნის შემდეგ ისევ გამიჩნდა . . . რეაბილიტაციის შემდეგ. . თურმე ტყუილუბრალოდ გადავიტანეთ . . სიდუხჭირე დამცირება უბედურობა. ახლა სად არიან თქვენი მშობლები ? აღარ არიან ! და თქვენ ახლა ასეთი გრძნობით შედიხართ პარტიაში ?

. . . ადამიანები ხშირად ცდებიან . . . შეცდომების გასწორება მომავალ თაობებს მოუწევთ. . ახლა . . მმართველობაში ჩემი თაობის ხალხი მოდის. მე ვალდებული ვარ მხარში ამოვუდგე მათ თუნდაც იმიტომ რომ მსგავსი შეცდომა არ გამეორდეს და რაც მთავარია, თუ მწერალი ობიექტიური არ არის კაპიკია მისი მწერლობის ფასი.

ეს ციტატა ოდნავ შემოკლებულია მაგრამ შიგ სიტყვაც არ არის „დიად მიზნებზე“ ან „სოციალიზმის შენებაზე“და დააკვირდით გამოთქმას – „თუნდაც იმიტომ“ , ხოლო „დიდი ლენინის ანდერძი“ რომ ბაჩანასათვის არარაფერს წარმოადგენს ახლა დავინახავთ .

ცნობილია თუ არა თქვენთვის ვ. ილიას ძე ლენინის წერილი კავკასიის რესპუბლიკების კომუნისტებისადმი ? ბაჩანამ დიდხანს იფიქრა ბოლოს კითხვა შეუბრუნა. ამხ. ლენინის ეს წერილი და კიდევ სხვა რომელიმე რომ არ ვიცოდე მიმიღებთ თუ არა პარტიაში ? დამკითხველი შეწუხდა და პასუხი დაუგვიანა. ბაჩანამ ისევ შეუბრუნა კითხვა. თქვენ მხოლოდ იმას მეკითხებით რაც იცით თუ იმას რაც სავალდებულოა ? რისი ცოდნაც სასურველია ამხ. რამიშვილო. ამ წერილის ადრესატები მე და ჩემი მეგობრები ვიყავით. ბაჩანამ თავი უხერხულად იგრძნო . . წამოდგა და რაღაცის თქმა დააპირა მაგრამ იორდანიშვილმა არ აცალა. ნახვამდის ამხანაგო რამიშვილო ! ბაჩანას ყრუანტელმა დაუარა . . ყველაფერი გათავდა გაიფიქრა მან და გული გაუჩერდა. . დაჯდა მარცხენა ძუძუზე და. იდო ხელი. რა მოგივიდათ ჰკითხა მანაგაძემ შეწუხებულმა. . . არაფერი ბატონო დავით . . გამიარა უკვე . ბაჩანამ კვლავ გაიგონა საკუთარი გულის დაგადუგი და გაეღიმა. ! ხვალ პირველ საათზე თქვენი საკითხი გავა რაიკომის ბიუროზე მე მგონი ყველაფერი კარგად იქნება. იმ წერილს მაინც გადაავლეთ თვალი დროს თუ გამონახავთ.

ბატონო ალექსანდრე აღელვებული ხმით დაიწყო ბაჩანამ. ის წერილი ამხანაგმა ლენინმა ოცდაერთი წლის თოთხმეტ აპრილს დაწერა, ხოლო რვა მაისს იგი „პრავდა გრუზიის“ ორმოცდამეხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა. უცნური კაცი ხართ რამიშვილო, უპასუხა იორდანიშვილმა.

უცნაური აქ ის კომუნისტი მწერალია, რომელიც თავის გმირს იდეალურ კომუნისტს ასე აბუჩად

ააგდებიებს ლენინის ხსოვნას. მართლაც, ეს ხომ იმის ტოლფასია მღვდლობის კანდიდატმა რომ
გამოცდაზე საჭიროდ არ ჩათვალოს პასუხის გაცემა კითხვაზე : იესომ რა უთხრა მოწაფეებს სა-
იდუმლო სერობაზეო. რადგან , როგორც ვხედჭვთ, ბაჩანა მშვენივრად იცნობდა წერილს, მაგრამ
რაღაც მიზეზით საჭიროდ არ ჩათვალა წესიერად ეპასუხნა. და კიდევ მეტად უცნაური ის გარე-
მოებაა, რომ აქ ავტორი არალეალურ სურათსა ჰხატავს, ხელოვნურად ჰქმნის სცენას რომელსაც
შეუძლებელია ადგილი ჰქონოდა. მაშასადამე ავტორსა ჰსურს რომ ეს ამგვარად მომხდარიყო.
მეორე დღეს პირველ საათზე რაიკომის კრებაზე დაუძახეს.
მე მგონი ბევრი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, ჩვენ ყველანი ვიცნობთ ბაჩანა რამიშვილს
იგი დღეს ჩვენი დიდი ოჯახის წევრი უნდა გახდეს– ამბობს რაიკომის მდივანი. შეკითხვები ხომ
არა გაქვთ ? მე მაქვს თქვა მოულოდნელად ერთმა ბიუროს წევრმა. . . ამხანაგო რამიშვილო რა-
ტომ შემოდიხართ პარტიაში ? ბაჩანა ძლივს წამოდგა. . . დუმილი დიდხანს გაგრძელდა. . ბაჩანამ
იცოდა რა უნდა ეპასუხა. . . რომ იგი მთლიანად იზიარებსლ. . რომ მზად არის უყოყმანოდ შეა-
სრულოს ყველა დავალება. . სურს გახდეს კომუნიზმის აქტიური მშენებელი. . . ალილუიასავით ზე-
პირად იცოდა. . . მაგრამ სასაცილოდ და უადგილოდ მოეჩვენა ამისი თქმა , რადგან რასაც ფიქ-
რობდა ამისთვის სრულიად არ იყო სავალდებულო კომუნისტობა. . . ბაჩანამ ღრმად ჩაისუნთქა.
მინდა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში - თქვა მან და დაჯდა. . . ასე შეიყვა-
ნა პარტიაში დუმბაძემ ბაჩანა რამიშვილი.

ამ რომანის ავტორი კი არ დაისაჯა, არამედ დაწინაურდა. ხოლო მისი რომანი ახალ-ახალ უცხო
ენებზე ითარგმნება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით ალბათ მომავალში ბევრი რამ დაიწე-
რება. როგორც დღემდე იწერება სააკაძის შესახებ. მე კი ჩემი მხრივ წერილის მეორე ნაწილში
ვცდი კითხვაზე ისეთი პასუხი გავცე როგორსაც შევძლებ.

შემდეგ ბაჩანას ვხედავთ როგორც გაზეთის რედაქტორს. იგი ცეკას წევრია და მას მთელი სა-
ქართველო იცნობს ტელევიზორის მეოხებით. ერთ დღეს თავის კაბინეთში ზის და ათვალიერებს
ხვალ გამოსაქვეყნებელ ფელეტონს. საქმე შეეხება ბეწვეულის კომბინატის გამგის ვინმე სანდრო
მაღლაფერიძის თვითნებობას, თაღლითობას და გარყვნილებას. ეს მაღლაფერიძე შემოდის და ურცხვი
თავხედობით მოითხოვს რომ ფელეტონი არ დაიბეჭდოს. . გაუფრთხილდით თქვენს ახალგაზრდა ავტ-
ორიტეტს, სკამი რომელზედაც ზიხართ არც ისე მძიმეა . . . მოსინჯული მაქვს მე მისი სიმძიმე. . .
–მოხსნას ხომ არ მპირობთ ? –როგორ გეკადრებათ, უბრალოდ მინდოდა გამეფრთხილებიეთ, რომ
იმ კაცს როელიც ზემდგომ ორგანოებში კურირებას (მფარველობას მ.ქ.)უწევს ჩემ წარმოებას ვაი-
თუ არ ესიამოვნოს. . . წაკითხვა. . . – სულ ტყუილად კარგავთ დროს ბატონო სანდრო. . . ფელე-
ტონი უნდა ამოიღოთ . . . –არ გამოვა. . .– ისეთი კაცი დაგირეკავთ რომ გამოვა ! –მამაღმერთმა
რომ დამირეკოს არ გამოვა . . .– სახელმწიფო ბატონო ბაჩანა ჩემისთანა და თქვენისთანა ადა-
მიანებისაგან შესდგება და ერთმანეთს თუ არ ამოვუდექით მხარში დაინგრევა სახელმწიფო. . .
ბაჩანას აგიჟებდა ამ კაცის თავდაჯერებული ღიმილი. . . –თუ თქვენ მხარში ამოდგომა თაღლით-
ობა და ფულის აღებმიცემობა გგონიათ სცდებით . . . ყველაფერი ფულზე არ იყიდება. =.=არსებობს
ერთი მეექვსე გრძნობა რომლის გარეშეც ყველა დანარჩენის ფასი კაპიკია.= მაინც რა არის ეს
მეექვსე გრძნობა ?ფული ბატონო ბაჩანა ფული, შემზარავი დამცინავი ღიმილით უპასუხა მაღლა-
ფერიძემ. =მიუხედავად ამისა ეს ფელეტონი ხვალ გაზეთში იქნება და რეაგირებისათვის სათანადო
ორგანოებს გაეგზავნება. =და პასუხსაც დაელოდებით არა ?დიახ ! =როგორ მეცოდებით ბატონო
ბაჩანა . . . ბაჩანას უნდოდა ეყვირა გაეთრიეო მაგრამ ვერ მოასწრო მაღლაფერიძემ კარი გაიხურა.
ასეთია დიალოგი კომბინატის მმართველსა და გაზეთის რედაქტორს შორის. ორივე კომუნისტებია.

კარგა ხნის შემდეგ ბაჩანა ისევ ხვდება ამ კაცს. იგი უტიფარი ირონიით მადლობასეუბნება
ბაჩანას –თქვენმა ფელეტონმა სახელი გამითქვაო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითია. ფელეტონს
შედეგი მოჰყოლია : კომბინატის შენობა „დამწვარა“(ცხადია კვალის გაქრობის მიზნით), მაღლაფე-
რიძის მფარველი პენსიაზე გასულა. ხოლო ახალი „საქმე“ წამოუწყიათ, ისევ იმ მფარველის მონა-
წილეობით. ახლა რესტორანების ქსელი დაუარსებიათ. ბაჩანას მეორედ შეხვედრა ამ კაცთან ცხარე
კონფლიქტით დასრულდა. და მაღლაფერიძე უკვე საზიზღარ პირად შურისძიებას მიმართავს. ბა-
ჩანას მოსდის ანონიმური წერილი და დახელოვნებულ ფოტოგრაფის მიერ დამზადებული, მაგრამ
ყალბი პორნოგრაფიული ფოტოები. ისინი შეეხებიან ბაჩანას ინტიმურ ცხოვრებაში გაჩენილ ქალს,
რომელთანაც ბაჩანას ულრმესი გრძნობები აკავშირებს. აქ რომანში რთული ფსიქოლოგიური პასა-
ჟია. . . ეს ამბავი ღრმად შესძრავს უაღრესად მგრძნობიარე და ნაზი სულის პატრონ ბაჩანას.

ამის შემდეგ მოთხრობილია, რამ შეამთხვია ინფრაქტი მას.ბაჩანას მივლინებაში ყოფნის დროს
მისმა თანამშრომელმა რომელიც მისი სტუდენტობის ამხანაგი და მეგობარი იყო ქრთამი აიღო.
სკანდალის გამო მოწვეულ პარტკომის კრებაზეინფორმაციას იძლევა საქმის გამხსნელი პოლიცი-
ელი. ბაჩანას მიერ დასმულ დაჟინებითი შეკითხვებიდან ირკვევა რომ პოლიციას ქრთამის აღებაზე
უადრეს ცნობია ქრთამის მიმცემის დანაშაული , მაგრამ ნაცვლად იმისა რომ დამნაშავე დაეჭირა

პოლიციასვე მიუგზავნია გაზეთის თანამშრომელთან მის საცდუნებლად. ეს ცდა სამჯერ გამეორებულა და ბოლოს თანამშრომელი ცდუნებას დაუძლევია.

ორი თვის წინად მიიღეთ სიგნალი და ახლა მეუბნებით ამას ამხანაგო ხელაია ? — ჩვენ სიგნალის სისწორეს ვამოწმებდით . . . შეიძლება არასწორი ყოფილიყო და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდით. — აბა ის ჯობია ახლა ციხეში რომ ზის კაცი, . . თქვენ რა გაინტერესებთ ამხანაგო ხელაია კაცმა ქრთამი რომ არ აიღოს თუ როგორმე დაიჭიროთ ეს კაცი ? შემდეგ აღწერილია საზიზღარი სცენა, რომელიც საბჭოეთში გამეფებულ დაბალ ზნეობას ახასიათებს. სიტყვას იღებს ბაჩანას მოადგილე, ბაჩანასი და დატუსაღებულის სტუდენტობის მეგობარი. იგი ამბობს რომ მექრთამე წულაძე რამიშვილმა მოიყვანა რედაქციაში ყოველგვარი დამსახურების გარეშე. იგი მას მფარველობდა და რაც მოხდა ამაში თვით რამიშვილს აკისრია პასუხისმგებლობაო და სხვა. ბაჩანას გაახსენდა როგორ მეგობრობდენ ის , მისი მოადგილე და წულაძე, სტუდენტობისას როგორ იყოფდენ საჭმელს, პაპიროსს, როგორ უყვარდათ სამივეს ერთი გოგო . . . ბაჩანას ტირილი მოუნდა . . . . ბოლო სიტყვა ბაჩანამ აიღო. მან განაცხადა რომ მთელ პასუხისმგებლობას თითონვე კისრულობს - რომ მართალია მისი მოადგილე და ბაჩანას ბრალია თუ მან კეთილისმყოფელი გავლენა ვერ მოახდინა წულაძეზე. ბაჩანა დაჯდა და მდივანს წყალი სთხოვა. ტკივილი მარჯვენა მხარიდან დაეწყო. მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა . . . გული გაჩერდა.

ბაჩანა საავადმყოფოშია. მასთან პალატაში წვანან მასავით ინფრაქტით დაავადებული მღვდელი მამა იორამ კანდელაკი და ვერელი მეჯღანე მეტსახელად ბულიკა. ეს, ჩვენი დროის „მიხაილოვსკაია ბალნიცაა“ —რომანში „რესპუბლიკური საავადმყოფო“. ავტორი ამბობს: პალატა სამსაწოლიანი იყო შიგ . . . ახლად მორეცხილი იატაკის და . . . შარდის სუნი იდგა. სული რომ არ შეხუთვოდა ბაჩანამ ძალიან ფრთხილად, საბანი ცხვირზე წაიფარაო

შარდის სუნზე რომ არაფერი ვთქვათ, ნესტიანი ახლად მორეცხილი იატაკი იმას ნიშნავს რომ იგი ჯერ კიდევ შიშველი ფიცრისა ყოფილა. და კიდევ ერთი სურათი : ბულიკას საწოლის ქვეშიდან ვირთხა გამოძვრა.ცხვირი მაღლა ასწია ჰაერი დაყნოსა დაულვშები აალმაცუნა —გამობრძანდა, თქვა მამა იორამმა, —მარტოა თუ შემადგენლობით? იკითხა ბულიკამ. —ჯერ მარტოა უპასუხა მღვდელმა.

აქ ერთი შეუსაბამობა და გაუგებრობაა: ცეკას წევრსა და გაზეთის რედაქტორ ბაჩანას ასეთ სამკურნალოში როგორ მოათავსებდენ —ისიც მღვდლისა და მეჯღანეს გვერდით. ცხადია ეს ხელოვნური სცენა ავტორმა შექმნა, რომ პროპაგანდის მიერ გალამაზებულ ფასადისათვის ფარდა აეხადა და კულისები გამოეჩინა. ხოლო რაც მამა იორამსა დაბულიკას შეეხება, ვინმე წესიერს და არა გაიძვერას ხომ უნდა შეხვედროდა მისი ცხოვრების გზაზე ბაჩანა. და მართლაც ესენი არიან ვისთანაც ბაჩანას აღმოაჩნდა საკვირველი მორალური სულიერი , უბრალოდ ადამიანური ერთობა და ცხოვრებითი პრობლემებისადმი შეთანხმებული მიდგომა. რომანში რომელიც მოწინავე ინტელიგენტ კომუნისტის ცხოვრებას გვაცნობს, მასთან ყველაზე უფრო დაახლოებული პიროვნება მამა იორამია და შემდეგ ბულიკა — რამდენადაც მასთან ინტელექტუალური განსხვავება ამის საშუალებას იძლეოდა.

როგორ მოხდა ორთაჭალის სამწყსოს მოძღვარი იორამ კანდელაკი სამკურნალოში ?
ეს ინფრაქტი რიგით მეორე იყო. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა თითქოს პირველი მას „დეკამერონის“ ხოლო მეორე ბალთაზარ კოსას ბიოგრაფიის კითხვის დროს დაემართაო ამბობს ავტორი.

1970 წელს საფრანგეთში ოთხმოცდაათი წლის ჰასაკში გარდაცვლილმა ემიგრანტმა საურმაგ ამირეჯიბმა ანდერძით ორთაჭალის ეკლესიას შესწირა ვახტანგ გორგასლის მიერ მისი დისათვის ნაჩუქარი ჯვარი, რომელიც პარიზელ ექსპერტს ორასორმოცდაათიათას დოლარად შეუფასებია. ამირეჯიბის შთამომავალმა ქეთევან ანდრონიკაშვილმა პაპის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენა და ორთაჭალის ეკლესიის სასაფლაოს მიაბარა, ხოლო ჯვარი მამა იორამს გადასცა. ჯვარმა ეკლესას სახელი გაუთქვა და მამა იორამს სეიფში დაცული რელიკვია ყოველ წლის მარიამობას გამოჰქონდა რომ მლოცველები მთხვეოდენ მას. ერთ დღეს იორამის დიაკვანი აბელი არჯევანიძე, არყით გამოლეშილი ეწვია იორამს სენაკში. პრივეტ იორამჩიკ მიმართა მღვდელს, მერე თავისი ჩაჩი და სტიქარი დაანარცხა იატაკზე, გულზე დაკიდებული ჯვარი მოიხსნა მღვდელს კალთაში ჩაუგდო და გადიხარხარა.—განვეგედ ჩემგან სატანავ - წაიჩურჩულა იორამმა. ახლავე დაჰპირდა არჯევანიძე და მთელი საქრისტიანო ანათემას გადასცა . . . სცენა, კარებისკენ მიმავალ მოლიღინე დიაკვნის სიმღერით სრულდება: ანშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია, ვისაც რომა ღვინო მაუგონია.

ამჯერად მამა იორამი მხოლოდ გულშეწუხებული იპოვნეს თავის სენაკში. ინფრაქტი უფრო გვიან 1973 წლის მარიამობის წინა საღამოს მოუვიდა „როდესაც სასოებით გახსნა სეიფი და ჯვრის ნაცვლად წითელი ბოლოკი დახვდა“. არჯევანიძე დაატუსაღეს მაგრამ მიუხედავად მისი უეცარი გამდიდრების ფაქტისა, მას ვერაფერი დაუმტკიცეს.

„მეორე ინფრაქტი რომლის გამოც იგი ახლა ბაჩანას გვერდით იწვა, . . . ზუსტად ორი თვის წინ დაემართა, ერთი დიდად სახელგანთქმული კაცის ოჯახში, როდესაც იგი ამ კაცის გარდაცვლილი სიმამრის წესის ასაგებად მიიწვიეს ღამის პირველ საათზე არალეგალურად . . . მას გული სწორედ მაშინ გაუჩერდა, როდესაც კარი გაუღეს და ჭიპამდი დეკოლტირებული დიასახლისის ყელზე გორგას-

ალის დაის . . . ზურმუხტით გაწყობილი ოქროს ჯვარი დაინახა."

ერთ დღეს მამა იორამთან ვიღაც მნახველი მოვიდა. ავტორი ამბობს : ბაჩანა მის სახეს ვერ ხედავდა მაგრამ იორამის გამომეტყველების მიხედვით ხვდებოდა რომ მღვდელს თავზე მკვლელი და ავაზაკი ადგა. მნახველი იორამს ეუბნება : თქვენს მეგობრებს რომლებმაც იმ ღამეს სიკვდილს გადაგარჩინეს ძალიან ეამება თუ მათ გვარსა და სახელს დაივიწყებთო. ჯვარი ? ჰკითხა იორამმა. – მისამართიც მამაო უპასუხა მოსულმა. . . . ჩვენი ხელმეორედ შეხვედრა არ ივარგებს მამაო უთხრა მნახველმა.

ბაჩანამ ყველაფერი გაიგონა. იგი მამა იორამის ჰავგადასავალს ჯერ არ იცნობდა მაგრამ მაინც მოისურვა კაცის სახე დაემახსოვრებია. ახალგაზრდავ ერთი აქეთ გამოიხედეთ , სთხოვა მან. – ბატონო ? იკითხა წამსვლელმა. ბაჩანა განცვიფრებული მიაშტერდა წამსვლელს მას სახე არ გააჩნდა. . . . უსახო იყო აბსოლუტურად უსახო. . . ბაჩანამ თვალები დახუჭა და ასე სცადა სახის დამახსოვრება. . . არაფერი გამოუვიდა კვლავ გაახილა თვალიმაგრამ უსახო კაცი პალატაში აღარ იყო. . . . ერთი რამ კი მოხდა საკწაულის მაგვარი მამა იორამს მართლა დაავიწყდა. . სახელიცა და გვარიც . რა ღონე არ იხმარა ბაჩანამ . . მაგრამ . . დაავიწყდა და მორჩა.

ძალიან ძნელია მწერალმა უფრო დიდი ოსტატობით შეძლოს თქმა სათქმელისა ესე იგი მკითხველს აგრძნობინოს და თვალნათლივ დაანახოს ის კოშმარული ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობს საბჭოელი მოქალაქე – ის შიშით მოცული სამყარო სადაც ხელისუფლების დიდი ბობოლა ხელუხლელია რაგინდ დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. ისიც შევნიშნოთ რომ ამ საქმეში ერთ მხარეზე არიან :დიდი ბობოლა, მისი მეუღლე, გაატეისტებული ლოთი დიაკვანი და იმ დიდი ბობოლას მოციქული „უსახო" კაცი, ხოლო მეორე მხარეზე – მათი მსხვერპლი მამა იორამი, ემიგრანტი ამირეჯიბი, და მისი შვილიშვილი ქეთევან ანდრონიკაშვილი ხოლო ვის მხარეზეა მორალი ?

რომანში ცხადია ბაჩანასთან მოსულ მნახველებსაც ვხედავთ. აქ მხოლოდ ერთი გავიცნოთ. ეს გახლავთ აფხაზეთის თამბაქოს დამზადების უფროსი ნუგზარ დარახველიძე. ამ კაცს თურმე რევიზია სწვევია (რაც ოცი წლის მანძილზე პირველად მომხდარა) და დიდი თანხების გადამალვა აღმოუჩენია. ამ ბოროტმოქმედების მიჩქმალვაში დახმარებას თხოვს ბაჩანას. სულ რამდენი მილიონია ეკითხება ბაჩანა. გაფლანგვა თუ გასაღება ? –ორივე. ბევრი მილიონია. -მაინც? –რომ გითხრათ შეგეშინდებათ –არ გაამხილა დარახველიძემ შემოსავალი. . . . დარახველიძემ ორი კონვერტი ამოუდო ბაჩანას ბალიშის ქვეშ.ეს ერთი კონვერტი თქვენია და მეორე ვინც თქვენ გაგეხარდებათო. . . . რამდენია აქ, ჰკითხა უცებ.დარახველიძეს თვალებში მზე ჩაესვენა. –– მილიონნახევარი, თქვა ხმის კანკალით. ბაჩანა დიდხანს ფიქრობდა . . . ბატონო ნუგზარ ჩემი საწოლის ქვეშ ღამის ქოთანია, ძალიან გამიჭირდა , თუ არ შეწუხდებით მომაწოდეთ. დარახველიძე შეყოყმანდა. –ნუ გეშინიათ სუფთაა, უთხრა ბაჩანამ. . . მოწოდებულ ქოთანს მოღერებულ ყელში მოკიდა ხელი . . . და დარახველიძეს თავზე დაამსხვრია. ცარიელი იყო?, იკითხა ბულიკამ. ცარიელი იყო, უპასუხა ბაჩანამ. აფსუს თქვა მამა იორამმა .

მსგავსი ამბები მრავლადაა რომანში– ზოგი გრძელი ზოგი მოკლე. მათი მეოხებით ვიცით თუ რომელი პოსტი რამდენად ფასობს, რადგან პოსტები იყიდება . ყველაფრის აქ მოთხრობა შეუძლებელია. გავეცნოთ საინტერესო და მნიშვნელოვან მხარეს რომანისა. ეს არის ბაჩანასა და მამა იორამის ურთიერთდამოკიდებულება . კომუნისტი ბაჩანა და ანტიკომუნისტი მღვდელი ცხადია კამათობენ. მაგრამ ავტორს მათი კამათი ნახევრად სახუმარო ტონში აქვს მოცემული. (ამგვარ ტონს , ზოგჯერ ვირეშმაკული ვითომ გულუბრყვილო ხერხის გამოყენებას , დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოურ მწერლობაში – პირდაპირ თქმის შეუძლებლობისა გამო)ამ კამათში არცერთმა არ უნდა დაჯაბნოს მოპირდაპირე. მაგრამ ამ ვითომ ხუმრობით , თუ დავუკვირდებით, უმწეო მდგომარეობაში აგდებს ბაჩანას ავტორი. . . . მე კომუნიზმის სამოთხე უნდა ვნახო რა არის, უპარტიო ვარ მაგრამ თქვენი პროტექციით ხომ მიმიღებენ , ამბობს მეჯლანე ბულიკა. –მობრძანდით ჩვენ ისეთი კეთილი ხალხი ვართ, მამა იორამსაც მივიღებთ. – მაგ სამოთხის იმიტაციაში თქვენ მიბრძანდით, მე ჩემი სულის აღსრულებას დაველოდები, თქვენი ზენიტი ძალიან მიწიერია რომ მიაღწევთ იქით რაღა გექნებათ ნეტავ. – რომ მივალთ გამოჩნდება. –რომ არ გამოჩნდეს ? – იორამ ბატონო რამდენი წლისაა თქვენი რელიგია ? – ორიათასის ამაყად უპასუხა მღვდელმა. – ჩემი რელიგია ჯერ ასი წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს თქვენ რელიგიას არც კი დასიზმრებია. ჩვენც რომ ორიათასი წლისა გავხდებით, მერე გადმოგვხედეთ თქვენი ზენიტიდან. მამა იორამი კედლისკენ მიბრუნდა. – რას აძლევს თქვენი რელიგია ხალხს, არ მოეშვა ბაჩანა. –სულიერ საზრდოს სთქვა ზურგშექცევით მოძღვარმა. – თქვენი ?, შეუბრუნა უცებ კითხვა. –ჩვენ ორთავეს ოღონდ ჯერ მატერიალურს მერე სულიერს. ზენიტისკენ მიმავალ კაცს საგზლად პური ყველი კარაქი კარტოფილი პამიდორი და ხორცი ჰირდება. –მერე სად არი ხორცი. –ეგ ხომ კამათი არ არის მამაო ხორცი დღეს არ არი ხვალ იქნება. –ჩემი რელიგია ჭამას და ხორცის წარმოებას არ უკრძალავს ხალხს, მე ცოტა უხერხულადაც მიმაჩნია რომ ნიკოლოზის დროს ხალხს მეტი ხორცი ჰქონდა ვიდრე დღეს თქვა მღვდელმა. – ნიკოლოზის დროს მსოფლიო ნახევარი მილიარდი იყო მამაოახლა კი ოთხი მილიარდია ,

უპასუხა ბაჩანამ. —აფსუს რა ტყუილუბრალოდ დავანებეთ თავი ადამიანებმა ერთმანეთის ჭამას ახლა ხორციც ბლომად გვექნებოდა და ხალხიც ნაკლები იქნებოდა, თქვა ბულიკამ. —აი ასეთ ცინიკოსებად აქცია ხალხი თქვენმა რელიგიამ, თქვა მამა იორამმა და ბულიკასკენ გაიშვირა ხელი. . . ბულიკამ პირი გააღო რაღაცის სათქმელად მაგრამ სასწრაფოდ დახურა, მისი საწოლის ქვეშიდან ვირთხა გამოხრძანდა თავისი ჯალაბით და შუა პალატაში დაცუცქდა.

როგორ ! ნოდარ დუმბაძემ როცა ეს საუბარი შეთხზა, არ იცოდა რა ფიქრებს აღუძრავდა მკითხველს ? დედამიწის მოსახლეობის გამრავლების აბსურდულ არგუმენტზე რომ მეჯღანეს გააცემია პასუხი, არ იცოდა ვის აპამპულებდა ? და განა საბჭოთა მკითხველებმა არ იციან რომ რელიგიას სანოვაგის წარმოებასთან საერთო არაფერი აქვს და რომ იგი უმთავრესად ადამიანის ცუდ მიდრეკილებათა შებოჭვაზე და კეთილთა განვითარებაზე ზრუნავს ? და რომ , თუ ამ სარბიელზე რელიგიას ორიათასი წლის შემდეგ კიდევ პირველი როლი ენიჭება, ეს რელიგიის ტრიუმფია? ხოლო მატერიალისტურ დოქტრინის დამცველი ბაჩანა რომ ორიათას წელიწადს მოითხოვს შედეგების საჩვენებლად ეს გაკოტრება არ არის ? და ეს ვირთხა, რომლის გამოძრომითაც ბოლოვდება რომანის ეს პარაგრაფი თითქოს იმიტომ გამოაძვრინა ავტორმა რომ ეთქვა : სამოცი წლის განმავლობაში თუ ვირთხები ვერ მოვაშორეთ საავადმყოფოს, კომუნისტურ სამოთხის ასაშენებლად ორიათასი წელიწადი არც ისე ბევრიაო.

კომუნისტურ იდეოლოგიასთან ბაჩანას დამოკიდებულებაზე არა ნაკლებ ნიშანდობლივია მისი დამოკიდებულება რელიგიასთან და ღმერთთან. რომანში მრავალი ადგილია ამ საკითხს რომ ეხება. და ავტორი არსად ათეისტად არ გვევლინება , პირიქით აშკარად რელიგიურობას უჭერს მხარს. მაგალითად შავნაბადას ეკლესიასთან შეხვედრილ გლეხს ავტორი ათქმევინებს : კაცი რომ სხვის სალოცავს დაანგრევს, თავისი სალოცავი იმაზე მაღალი, იმაზე მედგარი და იმაზე ლამაზი უნდა ააგოსო. იმავე ეკლესიაში მუხლებზე მდგარ და ღვთისმშობლის წინაშე მლოცველ მარიამის უკან ბაჩანა დგას და როცა მარიამმა ვედრება დაასრულა , ბაჩანამ მარიამის მიერ ანთებული სამი სანთლის ქვეშ და გლეხის მიერ დადებული სამმანეთიანის გვერდით ათი მანეთი დადოო ამბობს ავტორი.ასევე ათეისტობიდან გამიჯვნის სურათია როცა ბაჩანა ეკლესიის კედელზე აღმოაჩენს „კომკავშირელ ატეისტის" ხელმოწერილ ლექსს: „უცხვირპირო და უთვალო, როგორ გიწამო უფალო" რომელსაც მიწერილი აქვს „იესოს" მიერ ხელმოწერილი პასუხი :„ კომკავშირელო თუ არ გწამს სახარება და ღმერთიო, ამ სიმაღლეზე მეორეთ გთხოვ აღარ ამოეთრიო" ამაზე ავტორი შენიშნავს ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა, უფალი აშკარად ჩაგრავდა შაირობაში ათეისტსო.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე სიზმრები რომლებსაც ბაჩანა ხედავს. ეს სიზმრები ისეთნი არიან რომელთა დასიზმრება ყოველ ღრმა მორწმუნეს მოენატრება. პირველ სიზმარს ოთხი გვერდი აქვს დათმობილი. ბაჩანა იესოს ელაპარაკება. საუბარი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა. აი მისი დაბოლოება: ბაჩანა ეუბნება იესოს „გიხილე და გიწამე :" და პასუხი „ და რქვა მას იესომ:რამეთუ მიხილე და გრწამ. ნეტარ არიან რომელთა არა უხილავ და ჰრწმუნე". მეორე სიზმარი რომელსაც სამი გვერდი უკავია „ქრისტიანული" არ არის იგი „წარმართულია".ბაჩანას მზე ესიზმრება და იმასთან საუბრობს. მაგრამ მარტო არ არის, ბულიკა და იორამიც არიან. აი ერთი ადგილი : ბულიკა ეუბნება მზეს , წამიყვანე შენთან არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლეო. და შეძრწუნებულმა ბაჩანამ და იორამმა დაინახეს როგორ გალღვა ბულიკა და როგორ შეცურდა მზესთან ერთად ცისარტყელის შვიდფეროვან შარავანდედშიო. ეს სიზმრები ბაჩანამ ცხადია იორამს უამბო. პირველმა სიზმარმა იორამი დაარწმუნა რომ ბაჩანა ღვთის კაცია. როცა ბაჩანამ უამბო, მკვდრეთით აღმადგინა , უდაბნოში წვიმად მომიყვანა, უდაბნო ოაზისად აქცია, მე მძლავრ მუხად იმ ოაზისში და სიცოცხლის საგალობელი მამღერაო, ღმერთი ჩემი უფალი ჩემიო, აღმოხდა მამა იორამს. ურწმუნო თომას ეს სიტყვები მეც აღმომხდა მამაო ყველაფერი რომ ჩემი თვალით ვიხილე. გაეღიმა ბაჩანას. და არ იწამე ? სიზმარში კი ჩავუვარდი მუხლებში მაგრამ თვალი რომ გავახილე და ისევ თქვენ და ბულიკა დაგინახეთ რაღაც ეჭვმა შემიპყრო. ნუთუ ვერ გრძნობ ამაღლებას, გაფითრდა იორამი. . . .მეორე სიზმარს როცა უამბობდა, მთელი საათი უგდებდა ყურს მამა იორამი . . ღვთიური სიზმარი გინახავთ ბატონო ბაჩანა. —ეს უკვე მეორედ, თავი დაუქნია ბაჩანამ. . . . . მამა იორამი ისევ სდუმდა. უცებ წამოიჭრა ლოგინიდან და ბოლიკას საწოლს მიუახლოვდა . რ. სიზმარი ავიხდათ ბატონო ბაჩანა. . . . მზე გარდაიცვალა. ბულიკა მკვდარი იყო. ბაჩანამ თავზე საბანი გადაიფარა პირქვე დაემხო და რომ არ ებღავლა ბალიშის ყური ჩაიჩარა პირში.

ნეტა როგორ ახსნეს ქართველმა კრიტიკოსებმა დუმბაძემ რომ ასეთი სიზმრები დაასიზმრა ბაჩანას.

იორამი და ბაჩანა მომჯობინდენ. მათი გაწერის დროც დადგა. პირველად იორამი გაწერეს —ორშაფათს. მაგრამ მან კიდევ ერთი დღე დარჩენა ისურვა. ეს ღამე სამუდამოდ სამახსოვროდ დარჩა ბაჩანასათვის. შუაღამისას იორამი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბაჩანას ლოგინს. ბაჩანას არ ეძინა მაგრამ თავი მოიმძინარა. იორამი ჯერ დარწმუნდა რომ მის მეგობარს ეძინა. მერე მის

ახლოს დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო: მამაო ღმერთო . . . აჰა მონა თქვენი ბაჩანა რამიშვილი წევს თქვენ წინაშე . . . თავად არ უწყის რომ არს ძე თქვენი. . . ნუ უწყენთ თუ ქმნის საქმესა თქვენსას სხვისა სახელით. . . რომ ღმერთი რომელიც მან იწამა თქვენ წიაღშია. ღმერთო ძლიერო გადააფარე მფარველი კალთა. . . რამეთუ რაც უფრო მეტს დაჰყოფს იგი ქვეყანაზე მით უფრო მეტ სათნოებას და სიკეთეს დასთესს . . . ძლიერი არს უფალი და ჭაბუკი ღმერთი რომელსაც იგი ემსახურება რამეთუ შეუძლებელია რწმენა იმ საქმისა რომელსაც შესდგომია იგი ღვთიური ძალის გარეშე. და თუ მაინც განწირული გყავს. . . მიიღე სული ჩემი და ხორცი ჩემი მისი სულისა და ხორცის სანაცვლოდრამეთუ ვერ შევძელ დათრგუნვა მასში სხვა ღმერთისა და შემოქცევად შენდა. იორამი წამოდგა და პატარა ჯვარი ამოუდო ბაჩანას სასთუმალ ქვეშ. . . . დილით რომ ბაჩანამ გაიღვიძა იორამი წასულიყო.

რომანის ამ ადგილს რომ გავცილდი ვხედავდი — ოთხიოდე გვერდი-ღა რჩებოდა წასაკითხავი და მომაგონდა რომ ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარვიყავ რატომ ერქვა რომანს მარადისობის კანონი. ამის ახსნა მხოლოდ ბოლოშია.

ბაჩანა იორამის შემდეგ ერთი კვირის თავზე გაწერეს. წასვლის წინ, მის გადამრჩენელ პროფესორ ნოდარ ანთელავასთან მივიდა. გამოსამშვიდობებლად და მადლობის სათქმელად. აქ ერთი ეპიზოდია ბაჩანას ჭარბი გრძნობიერების მაჩვენებელი. პროფესორს ხელოვნური გულის მოდელები ეწყო მაგიდაზე და ათვალიერებდა. ბაჩანამ რომ ეს დაინახა, ცუდად შეიქმნა და ვალერიანის წვეთებით მოასულიერა პროფესორმა. ბაჩანამ გრძელ საუბარში, მადლობა გადაუხადა პროფესორს მისდამი გამოჩენილ გულისხმიერებისა თვის. . მინდა დაგილოცოთ თქროს ხელებიო და საუბრისბოლოს უთხრა: ეს ორი თვე ჩემთვის განსაცვიფრებელ აღმოჩენების დრო იყოვო. ისეთი რა აღმოაჩინეთო ჰკითხა ანთელავამ. მარადისობის კანონიო. პროფესორს გაეცინა და უთხრა, ალბად ამ კანონს ფორმულაცა აქვს გამანდეთ ავტორობაში არ შეგეცილებითო, გაეხუმრა პროფესორი. ბაჩანამ აუხსნა ~ ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა ვიდრე სხეული, — იმდენად, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია ამიტომ . . . ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული , თქვენ ჩემი მე სხვისი . . . და ასე დაუსაბამოდ. რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ — მარტონი არ დავრჩეთო. ძალიან რთული კანონი აღმოგიჩენიათ ბატონო ბაჩანა შენიშნა პროფესორმა.ამიტომ დაურქმევია ნოდარ დუმბაძეს თავის რომანისათვის მარადისობის კანონი.

ამ აღმოჩენამ კმაყოფილების ნაცვლად ძლიერ დამაღონა — მშვენიერი რომანის წაკითხვის დასასრულს საკმაოდ მნიშვნელოვან სუსტ ადგილს რომ წავაწყდი. გარნა სათაურის არჩევის ახსნა არადამაკმაყოფილებელია. და ამის გამო სათაური არც მხვედრია არც ლაზათიანი. ღმერთო შეგცოდე—როგორც იტყვიან— და მე ეს მოვლენა იმას მივაწერე რომ ვიფიქრე, ნოდარ დუმბაძეს არც ფილოლოგიური არც ფილოსოფიური განათლება არა აქვს და სათაურის არჩევის პრობლემა ვერ დასძლია მეთქი. რა უნდა მეღონა კითხვა განვაგრძე. ერთი გვერდი ღა იყო დარჩენილი..

„ბაჩანამ მის წასაყვანად მოსული მანქანა გაუშვა და ფეხით გაჰყვა პლეხანოვის პროსპექტს. . . . . პლეხანოვიდან მარჯანიშვილის ქუჩაზე შეუხვია. . . . მარჯანიშვილის თეატრთან შეჩერდა აფიშა წაიკითხა თეატრი. . . . სეზონს იწყებდა ახალი სპექტალის პრემიერით „ წმინდანები ჯოჯოხეთში“ პიესა მისი მეგობრისა იყო. ბაჩანას რაღაც გაულღვა მკერდში და სხეულში მაცოცხლებელმა სითბომ დაუარა — წმინდანები ჯოჯოხეთში — გაიმეორა მან თავისთვის და გაეღიმა. ვერის ხიდთან დაღლილობა იგრძნო. მაგრამ ავადმყოფური და შემაწუხებელი კი არა , რაღაც უცნაური, საამო დაღლილობა. ბაჩანამ ტაქსი გააჩერა. —საით? ჰკითხა მძღოლმა. —მარიამთან თქვა ბაჩანამ. ვისთან? ჰკითხა გაკვირვებულმა მძღოლმა. მარიამთან !
ასე ბოლოვდება რომანი.

ეს უცნაური მოკლე, ცალკე გამოყოფილი პარაგრაფი, რომლითაც ბოლოვდება რომანი, მაგრამ უშუალოდ მოსდევს იმ თავს რომლის ბოლოშიც მოცემულია ნოდარ დუმბაძესავით ოსტატ მწერლისათვის აშკარად შეუფერებელი ახსნა რომანის სათაურის მნიშვნელობისა— ეს არაფრის მთქმელი თავი რაღაცას ხომ უნდა ამბობდეს. რატომ „გაულღვა რაღაც მკერდში ბაჩანას? რად გაეღიმა როცა თავისთვის გაიმეორა სიტყვები :„წმინდანები ჯოჯოხეთში“ ? რატომ იგრძნო „რაღაც უცნაური საამო დაღლილობა“? რისა თქმა ჰსურდა ნოდარ დუმბაძეს როცა ამ პარაგრაფს თხზავდა და მით აბოლოებდა თავისი ცხოვრების რომანს ? იქნებ ზოგი მკითხველი უკვე მიხვდა მაგრამ არა ყველა. ავტორი ამით ამბობს რომ მის რომანს „წმინდანები ჯოჯოხეთში“ უნდა რქმეოდა და არა „მარადისობის კანონი“ამიტომაა რომ ამ სათაურის ახსნას დამაჯერებლობა აკლია. აქ დუმბაძის ნიჭი კი არ მოიკოჭლებს , არამედ საქმე გვაქვს ბუნებრივ მოვლენასთან : გენიოს მწერალსაც არ შეუძლია დაგვაჯეროს ის, რაც თითონ არ ჯერა. მართლაც , ისეთ ფაქიზ პატიოსან ნაზ და სპეტაკ სულის პატრონის მიერ გავლის ცხოვრების გზისა , როგორიც ბაჩანამ გაიარა ზედმიწევნით არ შეჰფერის სახელად „წმინდანები ჯოჯოხეთში? ამას რომ ვამბობ იმაშიც დარწმუნებული ვარ რომ საქართველოში ეს მრავალთ დაინახეს მაგრამ . . . ისიც კი ძრი შესაძლებელი რომ ამის დამამტკიცებელი

საბუთიც არსებობდეს —ან მწერლის ხრქივში ან პირადად ვინმესთან გამოთქმულ აღიარების სახით. და ბოლოს, სწორედ ასეთ სათაურს შეეფერება წერილის დასაწყისში აღწერილი გაფორმება რომანის გარეკანისა.

აქამდის ჩვენ არ შევხებივართ „რომანულ“ მხარეს ბაჩანას ცხოვრებისა. ქალს სახელად მარიამს რომელსაც ბაჩანას ცხოვრებაში ვხედავთ, იგი შემთხვევით შეხვდა. მარიამი ორმოციოდე წლის ქალია. ქმართან აღარ ცხოვრობს და ჰყავს ჩვიდმეტი წლის გოგონა მაია. მის წარსულს მკითხველი ბაჩანასთან ერთდროულად ეცნობა, რომანის დასასრულ ნაწილში— მარიამის წერილის შინაარსიდან. აი მარიამის მოკლე აღსარება : პირველად მე გარდავიცვალე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში, მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში. მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობით და აღვსდექი უდარდელობაში. მეოთხედ მე გარდავიცვალე უდარდელობით და აღვსდექი სიძულვილში. მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილში და აღჩსდექი სიყვარულში. და ადგილი წერილიდან :ამ ოციოდე წლის წინ ულამაზესი და უნიჭიერესი ბავშვი ვიყავი. მაგრამ ცუდად გაზრდილი. ჩემს მშობლებს მილიონი ჰქონდათ და სულ იმაში დახარჯეს, რომ გავეუბედურებინე. არავინ არასდროს მცველად არ მყოლია. არსად არც სკოლაში არც ქუჩაში. და იმ ერთხელ როდესაც ჩავუჯექი იმ ჩემ „გამცილებლებს“ მანქანაში. . . მაშინ წაიშალა ჩემი ცხოვრება და არარაობად იქცა სიცოცხლე ჩემი. მერე რაც მოხდა ამის შესახებ არც ლაპარაკი შემიძლია დალაგებულად არც წერა. . . დღეს პირველად ვყვები ღმერთისა და შენს წინაშე ამ ამბავს. . . ცივგომბორის პირმოქცეულ ტყეში ჯვარზე გამაკრეს და ახლაც იქ ჰკიდია გადარუჯულ ხეზე ჩემი ჩამომხრჩვალი ყმაწვილქალობა. . . მერე მე ძალიან ბევრი ვიცინე. ხელგაშლილი როკვით მოვყევი აქამდე გზას და უცებ შევდექი ღმერთი გამახსენდა და პირჯვარი გადავიწერე. შენს წინა ვდგავარ ახლა ორთავე მუხლზე. . . ახლა ვხვდები რომ შენსკენ მოილტვოდა ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული და მე ვლოცავ იმ ჯოჯოხეთს რადგან გზა შენსკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო თურმე.

შეუძლებელია რომ ბაჩანასი და დუმბაძის ბიოგრაფია ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდეს. თუ ნოდარ დუმბაძის ინტიმურ ცხოვრებაში ქალი არსებობდა, შეუძლებელია იგი მარიამს ჰგვანებოდა. რადგან ინტიმურის გამომზეურება და ისიც ამგვარის „ქართული :“ არ არის. ცოლის ქება აუგიაო ამბობს ქართველი . დუმბაძე კი უაღრესად „ქართველი“ მწერალია. არსებობს ცხადია გამონაკლისებიც. მაგალითისათვის : გუდიაშვილსა აქვს თავისი მეუღლის პორტრეტი, რომელიც წარმოგვიდგენს მწიფე ჰასაკის ქალს ხაზგასმულ სენსუალობით დახატულ, შიშველ მარცხენა ძუძუთი. მაგრამ ეს პორტრეტი „ქართველი“ მხატვრის დახატული არ არის არამედ — პარიზის მხატვრული სკოლის მხატვრისა. უამისოდ გუდიაშვილი ამის დახატვას „ვერ გაბედავდა“ . ნოდარ დუმბაძე კი არათუ პარიზულთან, რუსულ კულტურასთან კონტაქტის ჩვენებასაც კი გაურბის. მაშასადამე მარიამი ხელოვნურად შექმნილი პერსონაჟია.

და აქ ისმება კითხვა :ასეთ ნაზს, ფაქიზს , პატიოსანს და ბავშვივით გულჩვილ კაცს(ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვხედავთ მას მტირალს)რატომ შეურჩია ავტორმა ასეთი მონაზვრე მისი ინტიმური ცხოვრებისა. ვისაც რომანი წაკითხული აქვს დამეთანხმება, რომ რომანის განვითარება ამას სრულებითაც არ მოითხოვდა. ეს რაღაც გარკვეული მიზეზით და მნიშვნელობით უნდა იყოს გაკეთებული. როგორც ერთერთ შესაძლებელ ახსნას შემდეგნაირად წარმოვიდგენდი:ნოდარ დუმბაძემ გვაჩვენა თუ როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში გაიარა პატიოსანმა კაცმა ბაჩანამ თავისი ცხოვრების გზა. და ამასთანავე ვხედავთ რომ მარტო ბაჩანასათვის კი არ არის გარემო ჯოჯოხეთური, არამედ ყველა პატიოსანი კაცისათვისაც იგივეა. მასადამე მის მეგობარ მარიამსაც უნდა გაევლო ამ ჯოჯოხეთში და აკი კიდევაც ამბობს მარიამი: „შენსკენ მოილტვოდა ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული:“ და სხვაგან „გზა შენსკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო :“ . ხოლო იგი ქალია და ქალთა სქესის წარმომადგენელს სხვაგვარი ჯოჯოხეთის გავლა ხვდა წილად. მაშასადამე რაც ხდება კანონზომიერია. ავტორის მიერ დახატულ სამყაროში ყველაფერი შელახულია, სიწმინდე მშვენება, თვით სისპეტაკეც !

თუ საგანს ამგვარად განვიხილავთ, იმასაც ვიგრძნობთ რამდენად ძლიერი მწერალია ნ. დუმბაძე რადგან აქ ძლიერი მხატვრული ხერხია გამოყენებული. ხოლო ვინც ამ მოსაზრებას გაიზიარებს და განავითარებს, მისი თვალთახედვის არეში სხვა სახეებიც გამოვლენ ვით ბურუსიდან. მხედველობაში მაქვს ჯაყოს ხიზნების ქალი პერსონაჟი მარგო. ისიც ხომ იმიტომ გახდა მსხვერპლი მოძალადისა რომ მას „პატრონმა“ ე.ი. ქმარმა ვერ მოუარა ან ვერ დაიცვა. ისევე ცუდად მოუარეს ხომ მშობლებმა მარიამს. ასე რომ საქართველოს უბედურობის გარემოში , ბოლოსდაბოლოს მარიამი თანამედროვე მარგოა. და შესაძლოა ბაჩანას უკანასკნელი მოქმედება და პასუხი კითხვაზე „საით“, „მარიამ თანო“ ესე იგი მარიამთან დაბრუნება , მხოლოდ მარიამთან დაბრუნებას კი არა — საავადმყოფოს გარიყულობიდან ცხოვრებაში, იმ ჯოჯოხეთურ გარემოში დაბრუნებასაც გულისხმობდეს.

ამ თემის უფრო გაღრმავებას და შორს მიყოლას მე არ ვაპირობ. ამ წერილის მთავარი მიზანი ბაჩანას და მისი ორეულის ნოდარ დუმბაძის კომუნისტობის თავისებურობის გამოვლენა არის,მაგრამ მაინც საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას რომანის ლიტერატურული მხარის თაობ[illegible]

ნოდარ დუმბაძე სპეციალურად არ ეძებს მხატვრულ ეფექტებს, არც კაზმულსიტყვაობას. მგონი თანამედროვე ქართველ რომანისტებში იგია ყველაზე ბუნებრივი ენის მხმარებელი. მაგრამ როცა ჰსურს მხატვრული ოსტატობის დიდ სიმაღლეს აღწევს.უპირველესად უნდა აღვნიშნო რომანის ის პასაჟი ბაჩანას ახალგაზრდობის პატარა რომანს რომ წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს სასადილოში მომუშავე თამარას ამბავი. ეს მოკლე, ხუთმეტ გვერდზე მოთავსებული მოთხრობა, რომანში რომ არ ითქვიფებოდეს , არამედ ცალკე ნოველის სახით იყოს წარმოდგენილი და დამუშავებული, ისეთი პატარა შედევრია, რომლის ავტორობას არ გაერიდებოდნენ, ვერტერისა და ბავშვობა ყრმობა და ჭაბუკობის ავტორები.(არ ვიცი თუ ქართულად ასეთი სათაური აქვს ტოლსტოის ამ ნაწარმოებს). მეორე შენიშვნა ავტორის მწერლურ ოსტატობას შეეხება.

224გვერდზე მეცხრამეტე თავისა ავტორი მოწმედ გვხდის ძლიერ გაბედული ეროტიული სცენისა : ბაჩანა და მარიამი გაუკვალავ სპეტაკი თოვლით დაფარულ სამადლოს მინდორზე არიან. . . დიდხანს გორაობდენ თოვლში . . . . დაიქანცნენ . . . . და . . . გულაღმა გადაცვივდნენ. მარიამს . . . მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, მკერდი გაღეღოდა, ყორანივით შავი თმა გაშლოდა, თოვლზე გადაფენოდა. . . იგი ნადირისაგან დევნილ ველზე გავარდნილ და დაცემულ შველს ჰგავდა. ბაჩანამ ვერ გაუძლო ცქერას . ნიაარებივითპატარა სიცივისაგან გათოშილ ყურებზე ხელისგულები დააფარა და გავარვარებულ ტუჩებზე დააკვდა. ახლა ისინი . . . . ყურს უგდებდნენ გადარეული გულების ბაგაბუგს. – ადექი– თქვა უცებ მარიამმა და ბაჩანა ორთავე ხელით მოიცილა მკერდიდან. –შებრუნდი უთხრა მარიამმა . . . . როდესაც ბაჩანა კვლავ შემოტრიალდა. . . მარიამი დედიშობილა იდგა მის წინაშე. . . . ანგელოზივით ღვთიური და დაუჯერებელი. ბაჩანამ თვალებზე აიფარა ხელი და როდესაც მოიშორა, მკლავებგაშლილი და თვალებდახუჭული მარიამი გულაღმა იწვა თოვლზე. ბაჩანან დაიჩოქა. . . . ათრთოლებული ხელები ბეჭებქვეშ ამოუდო მკერდი დაუკოცნა.–რას შვრები მარიამ გაცივდები.–ორი წელია ამ დღეს ველოდები. . . ახლა მზესთან ვწევარ რა გამაცივებს თქვა მარიამმა და ბაჩანას ყელზე მოხვია ხელი. . . . მერე მზე ჩამოვიდა ფეხდ დედამიწაზე. . . .

ეს რომ რომელსამე დასავლურ ენაზე წამეკითხა, დიდი არაფერი. მაგრამ საქართველოდან მოსულ ჩემთვის უცნობ ნაწარმოებს ისეთი გრძნობით ვკითხულობ ხოლმე, თითქოს კიდევ ის ოცი წლის ბიჭი ვიყო ორმოცდათვრამეტი წლის წინად საქართველო რომ დასტოვა. ამიტომ შევიშნუშნე რადგან მეჩოთირა. ამ ეროტიული სურათის აღწერით ბოლოვდება პირველი პარაგრაფი მეცხრამეტე თავისა და მოსდევს პაწაწინა ხუთსტრიქონიანი პარაგრაფი.აი იგი მთლიანად:

„ერთი საათის შემდეგ კოჯრის ინტერნატიდან მომავალი ზურგზე ჩანთებგადაკიდებული გოგო და ბიჭი განცვიფრებულები შედგნენ სამადლოს თოვლიან მინდორთან.–შეხედე ნათია, თქვა ბიჭმა და მინდვრისაკენ ხელი გაიშვირა. სამადლოს ველზე თოვლი იწვოდა ლურჯი და გამსჭვირვალე ალით.“

ამ პარაგრაფის დანიშნულებაზე დაფიქრებაც ვერ მოვასწარი. რადგან მას მყის მიმახვედრა იმ ზემოქმედებამ რომელიც წაკითხულმა მოახდინა : ვიგრძენ რომ ეროტიული სცენა გასპეტაკდა ჩემს შეგნებაში და აღარ მეჩოთირებოდა.

აქაც როგორც სხვა შემთხვევაში, ჯვრის ამბავში, ავტორი დიდი ხელოვნებით და გონიერებით იყენებს მეტაფიზიკას, სასურველი ეფექტის მოხდენის მიზნით.

დამავიწყდა თავის ადგილას აღმენიშნა რომ იმ ჯვრის ამბავში, ეროვნული საკითხიცაა თითქოს ხელშეხებული : „ ჭიპამდე დეკოლტირებულ “ დიასახლისის ფიგურამ არ შეიძლება ქართველ მკითხველს მეავანაძის რუსი მეუღლე არ მოაგონოს, ვისი სახელიც დაკავშირებული იყო რაღაც ძვირფასი სამკაულის ფარული გზით შეძენასთან. მაგრამ ეს თემა ავტორის მიერ განზრახვით აქცენტირებულია ვახტანგ გორგასალის დისეულ ჯვრის ვითომ არსებობის დამატებით.

* * * * * *

წერილის წინა ნაწილში გადმოშლილიდან მგონია მკითხველმა დაინახა თუ რამდენად არაკომუნისტურია კომუნისტ მწერლის ეს რომანი. როგორ უნდა აიხსნას რომ ავტორის მდგომარეობას ამან არ ავნო , პირიქით რომანის ავტორმა მწერლისათვის მისაწვდომ უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია. ამის ასახსნელად უპირველესად კომუნისტური იდეოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა უნდა გავარკვიოთ. – იქ მის ბუდეში და მის სათავეში ესე იგი მოსკოვში.

კომუნისტურ იდეოლოგიაში რწმენა, როგორც ადამიანისათვის ბედნიერების მომტან საშუალებისა იმათთან ერთად მოკვდა ვისაც ეს სწამდა.სასაცილოა ვიფიქროთ თითქოს დღევანდელი კადრი რუსეთის კომ. პარტიისა ვერ ხედავდეს იმას რასაც ჩვენ ვხედავთ: კომუნისტურ იდეოლოგიის გაკოტრებას ეკონომიურ სფეროში. მით უმეტეს რომ ისინი თვითონ განიცდიან ამის მძიმე შედეგებს. მაგრამ ეს იდეოლოგია არ მომკვდარა რადგან მისი ცოცხლად შენახვა საჭიროა მმართველ კლასისათვის და . . . რუსული პატრიოტული ინტელიგენციისათვის. რატომ ? იმიტომ რომ :საბჭოთა კავშირს დღეს განაგებს კოლექტიური ტირანია. ამ კოლექტიურობის მადლით ეს ტირანია უფრო მძლ-

ავრი, თეორიულად უვადო, მეთოდით და ჭკუით მოწყობილი მმართველობაა ვიდრე ოდესმე სხვა
არსებულა სადმე. კომუნისტური იდეოლოგიის უკუგდებით ეს იერარქია უეჭველად დაიმსხვრევა
და ყოველი მისი წევრი დაჰკარგავს მის მიერ დაკავებულ ადგილს დამოპოვებულ პრივილეგიებს,
და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ტირანთა რიცხვს რომელიც რამდენსამე მილიონს უდრის, და
– იმასაც თუ როგორ გამონგარიშებულად უკავიათ მათ ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგის საჽ
რთი საჭეები, იმასაც მივხვდებით რომ ისინი ამ იდეოლოგიას ვერ უაყოფენ.

ახლა რაც რუს ინტელიგენციას და საერთოდ რუსი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეეხება:
მათთვის თვით იდეოლოგია ცხადია სრულიადაც საჭირო არ არის, მაგრამრადგანაც ამ იდეოლოგ
უკუგდებას მოჰყვება რეჟიმის შეცვლა, დემოკრატიის შემოღებადა ყველაფერი ერთა თვითგამორ
ევით დაიმპერიის დაშლით დასრულდება, ძლიერ მცირეა რიცხვი იმ პირთა რომელნიც მზად არი
რუსი ხალხის თავიეუფლებაში და დემოკრატიის შემოღებაში გაცვალონ „დიდი რუსეთის“ მთლი
ბა. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი რომ საბჭოთა დისიდენტებს შორის სხკუთრივ რუსები უმ
უმსობას წარმოადგენენ და იმათ შორისაც უმეტესობა ებრაელებია.

დავუბრუნდეთ საკუთრივ ქართულ პრობლემებს. ქართველები თავიანთი ბუნებით, ღრმა იდეოლოგ
არასოდეს ყოფილან და არც დღეს არიან. ამის აქ გადმოშლა-ჩვენება შორს წაგვიყვანდა.. . ყო
შემთხვევაში აბსურდული იქნება ვიფიქროთ თითქოს რუსეთში გარდაცვლილი იდეოლოგია ჩვენშ
კიდევ ცოცხლობდეს. იმის მტკიცება და ახსნაც ზედმეტია რომ ჩვენში იმ თაობას რომელიც დღ
აქტიურ მსახლეობას შეადგენს , ბევრ რამეზე აქვს ახილული თვალები.ამ თვალთა ახილვას თვით
რუსულ შოვინისტური პატრიოტიზმის მოურიდებელმა გამოვლენამაც შეუწყო ხელი. და ესეც რო
ყოფილიყო, მასიურად საშუალო სასწავლებელდამთავრებული ხალხი, რომელთა შორის დღეს იმდ
უმაღლეს სკოლადამთავრებულია, რამდენიც დამოუკიდებლობის დროს საერთოდ ოთხკლასიან სწა
გამოვლილი ხალხი იყო, ეს ხალხი ესე იგი ქვეყნის მთელი აქტიური მოსახლეობა მთლიანად გათ
ცნობიერებულია. (მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა ფაქტიც: ქართული სახელმწიფოს აღდგე
საკითხი დღეს აღარ დგას. სახელმწიფო არსებობს. საკითხი შეეხება მხოლოდ მის ნამდვილ უფლ
ათა განაღდებას.)ხოლო ამ გათვითცნობიერების დონე დღეს შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრ
ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ახალგაზრდობაში შეიმჩნეოდა.ამის მიზეზი სწავლების ხარისხის
ამაღლებაშიაც უნდა ვეძიოთ.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობამთავარ საკითხში ანალოგიურია მეცხრამეტე საუკუნი
მდგომარეობისა. თუმცა თითქმის ორმა საუკუნემ მრავალი რამ შეცვალა, მაგრამ ანალოგიური
ჩა თავისუფლების მოპოვების მთლიანად დამოკიდებულება გარეშე პირობებისაგან.მაგრამ ის პირ
ბები რომელშიაც მესამოციანები მოღვაწეობდნენ ძლიერ განსხვავდება პირობებისაგან რომელში
დღევანდელმა „მესამოციანებმა“ უნდა იღვაწონ . (უცნაური დამთხვევაა: ორივე შემთხვევაში,
ნყებების, ომების და მღელვარების , დაახლოვებით სამოცწლიან ხანას მოჰყვა ხანა მოფიქრებულ
ეროვნული აღორძინებისა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაა , მისი იდეები კი არა , ცოცხალი ილი
ამოქმედებდეს ქართულ მოწინავე ინტელიგენციას)მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში აღარ ა
ობდა ქართული სახელმწიფო დაწესებულებები და მესამოციანები შეუდგნენ ამ დაწესებულებათ
დაარსებას რომ როდესაც ქართული სახელმწიფოს აღდგენის დღე დადგებოდა, ქვეყანა მომზადე
ული ღოფილიყო შესაძლებლობის ფარგლებში. ამ მოღვაწეობას თანახლდა ინტენსიური მუშაობა
ხალხის გათვითცნობიერებისათვის. – იყო ეს წერა-კითხვის გავრცელება თუ პატრიოტიზმის დან
ერგვა და გაღვივება. სულ სხვაა დღევანდელ „მესამოცეანეთა პრობლემები. სახელმწიფო არსე
ბობს ყველა მისი დაწესებულებებით. ხალხის განათლებაცდამაკმაყოფილებელია. არც საწარმოო
უალებათა ნაკლებობაზე შეგვიძლია ჩივილი. მაგრამ ყოველივე ამას თვით საქართველო არ ხელმ
ღვანელობს არამედ – პარტია რომელიც ფაქტიურად რუსულ კომ. პარტიის ფილიალია. და თუ მხ
დველობაში მივიღებთ იმას, რომ საბჭოთა სისტემაში ყოველ დარგში ყოველ კუნჭულში არა მხოლ
საზოგადოებრივი არამედ თვით კერძო ცხოვრებისა პარტიის თვალი და ხელი მოქმედებს, ცხადი
ცხოვრებაზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეიძლება გარეშე პარტიის გზით მოქმედებისა.
მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთათვის, ვისაც საარსებო სახსარი ჰქონდა, სავალდებულო არ იყო
სახელმწიფო სამსახურში შესვლა. ახლა კი არა მხოლოდ საზოგადო საქმეში ჩარევისათვის არის
სავალდებულო პარტიის გზით შესვლა სამსახურში არამედ თვით საარსებო ლუკმის მოპოვებაც
სახელმწიფო სამსახურის გზით ხდება. ასეთ პირობებში ერთადერთი გზა „ჩვენი თავი ჩვენადვე
გვეყუდნეს“ ნაწილობრივად მაინც განხორციელებისა ისევ პარტიული გზით მოქმედებაა, არსებო
სხვა გზებიც, ასეთებია მაგალითად მწერლობა და მეცნიერული მუშაობა. მაგრამ ჯერ ერთი ამ
გზით მუშაობაც არ არის მთლიანად თავისუფალი და რაც მთავარია ასეთ ხალხს ვერცერთ საზოგ
დოებრივ მნიშვნელოობისგადაწყვეტილებაში, არცერთ დონეზე არ შეუძლია მონაწილეობის მიღებ
არადა ხომ დაუშვებელია რომ ქვეყნის მოვლა მარტო კარიერისტებს და პირადი გამორჩენით დ
ნტერესებულ პირებს დაეთმოს. –ვინ იცის კიდევ რამდენი ხნის განმავლობაში, და ასე მოხდება
თუ ყველა პატიოსანი პატრიოტი ქართველი უარს იტყვის პარტიაში შესვლაზე.

ეს უნდა იყოს მე ვფიქრობ ის „თავის მართლება“ ან ავტორის მიერ განვლილ გზის „ახსნა“ რომელზეც წერილის დასაწყისშია ლაპარაკი. დაამასვე უნდა ნიშნავდეს, ჯერ ავტორის სიტყვები: „ბაჩანამ იცოდა რა უპასუხა... რომ მას ჰსურს გახდეს კომუნიზმის აქტიური მშენებელი..., მაგრამ სასაცილოდ მოეჩვენათქმა, რადგან რასაც ფიქრობდაამსთვის სრულებით სავალდებულო არ იყო კომუნისტობა“ და ბაჩანას პასუხი კითხვაზე –რატომ შემოდიხართ პარტიაშიო: „მინდა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში“. ავტორის ასეთ პოზიციას თავისმართლებად მივიღებთ თუ მოწოდებად, რომანში ეს საკითხი აშკარად დასმულია. და ვფიქრობ რომ დუმბაძე ამ პოზიციის უფრო მაჩვენებელია ვიდრე ვიდრე მისი გამომგონი. იმიტომ რომ არის მრავალი იმაზე მიმთითებელი ნიშანი, რომ დღევანდელ საქართველოში საერთოდ და კერძოთ პარტიაში პატრიოტულობისკენ მიმართულ დიდ ძვრებს აქვთ ადგილი. მიუხედავად კაგებეს ყოვლადუფლება მოსილობისა, მიუხედავად გიგინეიშვილისა და კარპელაშვილის მსგავსთა სამწუხარო სიმრავლისა, ახალი თაობა მაინც ახერხებს ქვეყნისათვის ნამდვილ სამსახურის გაწევას. – რამდენადაც შეუძლია. ეს პრესაშიც შეიმჩნევა. მაგალითად გაზეთი „კომუნისტი“ ის აღარ არის რაც იყო. მართალია იგი ჯერ კიდევ აუცილებელზე მეტ ადგილს უთმობს ლოკვას პირფერობას კვეხნას და რახარუხს მაგრამ რაც დრო გადის მეტად და მეტად ვხვდებით მის ფურცლებზე ისეთ წერილებს რომლებიც იქ რომ არ იბეჭდებოდეს აქ უნდა დაგვებეჭდა. ხოლო რამდენიმე წლის წინ ეს წარმოუდგენელი იყო. არის სხვა ღონისძიებანი რომელნიც ჯერ ერთი უთუოდ პატრიოტულია და ამავდროს უარყოფა და გამოსწორებაა ახლანდელი თაობის მამათა მიერ ჩადენილ ანტიეროვნულ საქციელისა. მხედველობაშია სვანეთის „გადარჩენა“ ხევსურების მთაში დაბრუნება მესხეთის კოლონიზაციის ღონისძიებანი ძველი ტფილისის და ისტორიულ ძეგლთა რესტავრაცია მრავალშვილიანობისათვის პროპაგანდა და კიდევ მრავალი სხვა.

ამ ახალი სულისკვეთების ფონზე უნდა დავინახოთ ხელისუფლების მიერ რომანის „შეწყნარებაც“. მაგრამ როგორ იძლევა ამის ნებას „უფროსი ძმა“? ამის ახსნა შედარებით ადვილია. რუსებმა პატრიოტული ხაზი ქართველებზე უწინარეს აიღეს და შოვინისტობამდეც მივიდნენ. მაშ ქართველებსაც ვერ აუკრძალავენ იმავე მიმართულებით, ბევრად უფრო ზომიერ და თავშეკავებულ მოქმედებას. (ამასწინად ერთი კრიტიკოსის წერილი წავიკითხე. პოეტის პატრიოტულ ლექსებს აქებდა. ხოლო თავისი უშიშროების დასაზღვევად, რუსი პოეტის უფრო „მაგარი“ პატრიოტული ლექსი მოჰყავდა). ქართველების ლაქუცობის უნარსაც ნუ დავივიწყებთ. ეს აქ ჩვენ გვაღელვებს. იქნებ ამის მოქმედთაც არ მოსწონთ–ყოველ შემთხვევაში არა ყველას. მაგრამ ჯერ საწინააღმდეგო მოქმედების რისკი ავწონოთ და სარკეშიაც ჩავიხედოთ. ჩვენს ემიგრაციაში ლაქუცის სასწავლად იქაური სკოლა არ გვჭირდება.

მკითხველმა იქნებ იკითხოს: მაშ წინააღმდეგობა უნდა შევწყვიტოთ, ეს ხომ მტერთან შერიგება იქნებაო. საკითხის ასე გამარტივება არ შეიძლება. წინააღმდეგობას თავისი ფორმა აქვს, შინაარსიც უნდა ჰქონდეს, გამოზომილი უნდა იყოს და დამოკიდებულია ვინ როგორი წინააღმდეგობა უნდა გასწიოს. საბჭოთა რეჟიმის დასამხობად ბრძოლა ჩვენი საქმე არ არის. და მაშინაც არ იქნება თვითონ რუსებმა რომ ინდომონ. ამის სურვილს კი ისინი ჯერჯერობით სრულებით არ ამჟღავნენ. ეს დღესაც ისე უმიზნო და უაზრო მსხვერპლის გაღება იქნება, როგორიც იყო რევოლუციამდელი მოქმედება, როცა ქართველი ხალხი სხვისა რევოლუციისათვის ჩააბეს ბრძოლაში და თავიანთი ნამდვილი საქმე და მოვალეობაც დაავიწყეს. არასაკუთარი საქმისათვის დიდგვამ დაუკარგა ქართველებს საკუთარი საქმის მოვლის უნარი და რაც დავთესეთ ის მოვიმკეთ. წერეთელი და ჩხეიძე საქართველოს კარგს არას უქადდნენ, ლენინს რომ არ ამოეკრა არამკითხეთათვის პანღური და არ გაეხსენებია რომ მათ ნევის ნაპირას კი არა მტკვრის ნაპირზე ელოდა საქმე. არც სტალინ-ორჯონიკიძე-ბერიას „დამსახურებისათვის“ უთქვამთ რუსებს მადლობა– ჯერ იმათთვის და მერე საქართველოსთვის.

აგვისტოს შემდეგ, პირველი მასიური გამოსვლა იყო დესტალინიზაციით გულნატკენ ახალგაზრდათა დემონსტრაცია ტფილისში. ამ მოძრაობას ქვეცნობიერად პატრიოტული სარჩული ედო. ახალგაზრდები მსჯელობდნენ: რუსებო თქვენ პატივს არა სცემთ ჩვენს სტალინს, მაშ არც ჩვენ გვსურს თქვენი არაფერიო. ათას ახალგაზრდა მოსწავლე სტუდენტზე მეტი იმსხვერპლა ამ გულუბრყვილო იდეალიზმმა. ამ ამაო მსხვერპლმა მხოლოდ ის შედეგი მოიტანა რომ რუსთა მიმართ სიძულვილი გააძლიერა. რუსთა სიძულვილი კი ქართველებს უამისოდაც საკმარისი ჰქონდათ –როგორც რუსებსა აქვთ ჩვენი. ზარალი კი ქვეყანას არანაკლები მოუვიდა ვიდრე აგვისტოში. იმიტომ რომ თუ აგვისტოში მსხვერპლი უფრო მრავალი იყო, მაშინ დახვრეტილთა დიდ ნაწილს ხანშესული სოფლის თავკაცები წარმოადგენდა. ახლა კი სტუდენტობა, ქვეყნის მომავალი, დაიღუპა. და ისიც უნდა ავწონოთ რომ სწორედ ამგვარ გულუბრყვილო იდეალისტებიდან ვითარდებიან დადინჯებისას თავდადებული შეგნებული იდეალისტები.

სულ სხვა იყო ქართული ენის დასაცავად მომხდარი დემონსტრაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მიზანს ანგარიშს თავდადებას და მიღწეულ შედეგსაც.

არის კიდევ სხაგვარი არამასიური მოქმედებაც. მის პირველ არსებობა-გამოვლენას ჩვენ ქართ-

ველ დისიდენტთა ან გამსახურდია-კოსტავას ჯგუფის სახელით ვიცნობთ. რამდენიმე პირისაგან შემდგარ ამ ჯგუფიდან გამოიყოფა წამებული გმირი მერაბ კოსტავა. იგი თავისი მოქმედებით ჩვენი ისტორიის იმ უდიდეს პიროვნებებს გაუტოლდა რომელთა სახელებია დავით და კონსტანტინე, ცოტნე დადიანი, მეფე დიმიტრი, თევდორე მღვდელი, დიმიტრი ყიფიანი და ამბროსი ხელაია კათალიკოსი. მერაბ კოსტავას მისი საქციელისა გამო შეშვენის სიტყვები, რომელთაც ამირეჯიბი, ჭაბუკ თუთაშხას ათქმევიებს: „ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა“ და „გაიპო მკერდი. ამოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო ხრა დანქა მან“. გარნა ურჩხულზე უავესი აღმოჩნდა ჩრდილოელი ნადირი, ვინაიდან „დანთქა მან“.

კოსტავა ცხადია რიგსგარეშე პიროვნებაა როგორთაც იშვიათად წარმოშობს ერი. იგი მისაბაძი მაგალითია როგორც თანამედროვეთა ასევე შთამომავალთათვის. მხოლოდ მისაბაძი არ უნდა გავიგოთ ვით სცენარის გამეორება. მის პიროვნებაში მისაბაძია სულიერი სიმტკიცე, სიმაღლე და თავდადება მამულისათვის. ასეთი მოწოდება არგუნა მას განგებამ თუ შეგნებამ, უფრო კი ორთავემ.

მისი მოქმედება იქნებ დროთა განმავლობაში მეტი ნაყოფის გამომღები იყოს ვიდრე დაუყონებლივ და აქ ჩვენ მივდივართ მისი თანამებრძოლის ზვიად გამსახურდიას საკითხთან. მისი სახე გაუფერულა, განსაკუთრებით კოსტავას საქციელის გვერდით, მისმა შედრკომამ და ჩვენც ზოგს სიმწარე, ზოგს ნაღველი გვასვა. მაგრამ დრო გავიდა და თუ კოსტავა თვისი მარტვილობით კვლავ სიმტკიცისა და თავდადებისაკენ მოგვუხმობს, არც გამსახურდიას უარუყვია მისი მოვალეობა და მისი ხმაც კვლავ გაისმის ქვეყნის დასაცავად. ცხადია არ შეიძლება თანასწორ სიმაღლეზე დავაყენოთ ამ ორი ადამიანის მიერ გაღებული არც მსხვერპლი არც მათი დამსახურება მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს მაშ ორივე საჭირო ყოფილა.

რა უნდა ითქვას იმ ეგზალტირებულ პატრიოტ მებრძოლზე რომელიც ყუმბარების აფეთქების გამო სიკვდილით დაისაჯა: ვლადიმერ ქვანია. ასეთ შემთხვევაში, შორს მყოფმა და საქმეში არ ჩარეულმა კაცმა მსჯავრის გამოტანისაგან თავი უნდა შეიკავოს. ამიტომ მხოლოდ ჩემსავე თავს წარმოვიდგენ მის ადგილზე. მიუხედავად მისადმი დიდი სიმპატიისა უნდა ვთქვა რომ მე მისებრ არ მოვიქცეოდი. – არა იმ აბსურდულ მოტივით რომელიც ზოგმა აქაურმა შორით „მებრძოლმა“ წამოაყენა ტერორიზმის ვითომ პრინციპიალურად უარყოფისა გამო. ასეთი მოტივი ღმრთისმსახურთა ფილოსოფოსთა და მორალისტთა შესაფერია რომელთაც არც ოფლის არც სისხლის ღვრასთან საქმე არა აქვთ. ტერორისტულ აქტს თუ გავბედავდი კიდევაც ჩავიდენდი– ვთქვათ ვინმე აშკარად ქვეყნის მოღალატე თუ იქნებოდა მოსაშორებელი.(თოფის გაუსროლად არსენალის „ალების“ მკვეხარებს რომ ნაძალადევის კლუბში სტალინი მოეკლათ, რამდენ უბედურობას გადაურჩებოდა საქართველო და მსოფლიოც მაგრამ ქვანიას ასეთი რამ არ ჩაუდენია. მისი მოქმედება მიბაძვა იყო დასავლეთში გავრცელებულ მეთოდისა რომელიც დაშინებას ან პროტესტს წარმოადგენს. ასეთი რამ კი ჩვენში არ გამოდგება. ამ ჯურის ხალხზე პროტესტი საერთოდ არ მოქმედობს. ხოლო შიში, იმ ხალხს ვიზედაც ამ აფეთქებებს უნდა ემოქმედა, თავიანთი ბატონებისა უფრო დიდი აქვთ ვიდრე ნაგვის ყუთებში აფეთქებულ ბომბებისა.მთავარი გამოუსადეგობა კი ასეთი მეთოდისა ის არის რომ ეს ქართველი კაცის ბუნებას არ იზიდავს. ქართველი მფეთქადი ტემპერამენტის კაცია იგი თითონ არის ყუმბარადა მას აჯანყების უფრო მეტი სიმპატია აქვს ვიდრე ამ რთულ ფსიქოლოგიურ მოქმედებისა, რომლის ხანგრძლივობის ვადა არავინ უწყის.თანაც საქართველო პატარა ქვეყანაა. აქ რომ რომელსამე ქალაქში ბომბი აფეთქდება, რაც ყოველდღიური მოვლენაა, ეს სინამდვილეში მხოლოდ იმათ აღელვებს ვისი შუშებიც იმსხვრევა. საქართველოში კი , რუსთავში რომ ახალგაზრდა მუშამ ფეხი მოიტეხოს, მეორე დღეს ოჩამჩირედან ჩამოსული მისი ბებია თავს დაადგება ფუთაში გამოკრულ სულუგუნით და მანდარინებით.ასეთ მსჯელობას გულცივობად ნუ მიიღებთ, მწუხარებამ და თანაგრძნობამ მათქმევინა.

როგორც სჩანს, საქართველოში არსებობენ ერთიმეორესაგან დამოუკიდებელი მომუშავე ჯგუფებიც. მათი მოქმედება განსაკუთრებით და საყოველთაოდ ცნობილი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის საზეიმო აღნიშვნის პერიოდში. ეს საჭიროც იყო. მაგრამ ისეთი ჯგუფებიც არსებულა, რომელთაც ნამდვილი ორგანიზაციის დაარსება განუზრახიათ და თავიანთი მუშაობისათვის საქართველოს დამოკიდებლობისათვის ბრძოლა დაურქმევიათ. ეს მოვლენა ცხადია მაჩვენებელია იმისა თუ როგორი ძლიერი დუღილია ქართული პატრიოტული ახალგაზრდობის გულებში. მაგრამ ვითომ დროა ასეთი ორგანიზაციების დაარსებისა ? უფრო ფრთხილი და დროის შესაფერი არ იქნებოდა, სხვა ნაკლებად სახიფათო სახელი აერჩიათ და ასეთი სახელით ეკეთებიათ იგივე საქმე, რომელიც ჯერჯერობით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მაინც ვერ იქნება. ხოლო კაგებეს კი ფორმალური საბაბი ეძლევა ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში დასდოს მათ ბრალი ? ყოველივე ეს გვაგონებს აქ ემიგრაციაში ამ სამოცი წლის განმავლობაში დაარსებულ უამრავ „ორგანიზაციებს“ ასევე უამრავ და ნაირნაირ სახელწოდებით. მაგრამ აქ ამ ფუსფუსმა თამაშად ჩაიარა. იქ კი ვაიროშ სასიკვდილოდ სახიფათოა. და რაც ბევრად უფრო სერიოზულია – სახიფათოა თვით ქვეყნისათვის.

საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევს გარეშე საბჭოთა კავშირის დაშლისა, წაქცევისა,

რეჟიმის დამხობისა ამის მოხდენა კი ჩვენ არ შეგვიძლია '. ეს ჩვენი საქმე არ არის '. უნდა მოვლენებს ვუცადოთ.საქართველოს მდგომარეობა ძლიერ სახიფათოა. იგი იმპერიის საზღვარზე მდებარე ქვეყანაადა იმპერიის უშიშროებისათვის, როგორი რეჟიმიც არ იყოს, დიდი მნიშვნელობა აქვს რომ ასეთ ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდეს. ეს სპარსეთის დროსაც ასე იყო. ამიტომ გადაიკარგა კახთა ასიათასები ფერეიდანში. მეფის რუსეთმა პირველ ომის დროს აჭარის აყრა დააპირა. სტალინ ბერიას რუსეთმა მესხები აჰყარა და ალბად არასდროს დაბრუნდებიან. ამ საქმეებში იქნებ ჩვენი მეზობლების ხელიც ერიოს. აფხაზთა პრობლემაც დგას '. ასეთ პირობებში გიჟობა იქნება ჩვენი კომუნისტური მთავრობა ისეთ დღეში ჩავაყენოთ, რომ რუსებს შეძლება მიეცეს მათ უთხრან: თქვენ ქვეყანა ხელში ვერ გიპყრიათო და თითონ მოჰკიდონ ხელი საქმის გამოსწორებას. ხოლო თუ როგორი სახე შეიძლება მიიღოს ამ „გამოსწორებამ" უმჯობესია ნუ წარმოვიდგენთ. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია გაკვირვებით და მწუხარებით არ აღვნიშნო ჟურნალ გუშაგის მეტი თუარა არასაკმაოდ მოფიქრებული მიდგომა ამ საკითხისადმი. მეოთხე ნუმრის მეხუთე გვერდზე წერია: „ მაგრამ ფიქრი არაა. . . . ერთი დაჭერილის ადგილს ხვალ ათი დაიჭერს, ბრძოლაში თანდათან მეტი და მეტი ჩაებმებაო". ღმერთო დაგვიფარე !

საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ საშინელ ტრაგედიის შესახებ, თვითმფრინავის გატაცების ცდას რომ მოჰყვა. ამ საქმეში საბჭოთა რეჟიმის არაადამიანურ მოქმედებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი რომ ეს არა საკმაოდ მოფიქრებული ცდა მხოლოდ ცეცხლთან მოთამაშე და საბედისწერო საფათერაკო იდეით შეპყრობილ , რომანტიკულად განწყობილ ახალგაზრდათა აჩქარებული ნაბიჯი იყო. ამ ნაბიჯის მოუფიქრებლობა მხოლოდ თვითმფრინავის გატაცების შესაძლებლობის გამოანგარიშებას არ ეხება. ამ ახალგაზრდებს არაფერი აიძულებდა, თვით მათ სიცოცხლეზე რომ არაფერი ვთქვათ, თავიანთი მშობლები ასეთ მდგომარეობაში ჩაეგდოთ. ამგვარი რისკის გაწევა გამართლებული იქნებოდა, საქმე რომ გვქონოდა უაღრესად საჭირო, დიდი მნიშვნელობის მოქმედებასთან, როდესაც ქვეყნის საქმე მოითხოვს ამას. არაფერი ამისი მსგავსიც იმ უბედურთა საქციელს თან არ ახლდა. ხოლო ამგვარი საქციელითთუნდ უსისხლოდაც რომ მიეღწიათ მიზნისათვის, მათი მშობლები ხომ მაინც პასუხისმგებელ მძევლებად რჩებოდნენ.

ასეთია ფიქრები რომელნიც ყოველ ცივად განმსჯელ ადამიანს აღეძვრება. ეს მოვლენები შეგვიძლია შევადაროთ იმ შხეფებს რომელთაც მადუღარი მასა დროდადრო ამოისვრის ხოლმედა საერთო მდგომარეობაზე მათი ზემოქმედებაც ანალოგიურია. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ბუნებრივია. ბუნებრივია ქართველთათვის ამ მოქმედებათა სპეციფიკური ხასიათიც. ამათში ქართველები გამოიცნობა. მაგრამ ეს ნუგეშია ? ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ჩვენი თავისუფლების საკითხი გადაბმულია მსოფლიო წონასწორობის არა მხოლოდ შეცვლაზე, არამედ შესაძლებელია, უფრო ფართო და ღრმა მნიშვნელობის საკითხზეც : დაპყრობილი და არათავისუფალი ერები თუ ეთნიური ერთეულები საბჭოთა კავშირის გარედ ბევრად მეტია. ეს პრობლემა თვით ევროპაშიც არ არის მთლად მოგვარებული.ამ გარემოებას იყენებს რუსეთი და ერთა თავისუფლების ლოზუნგით გამოდის. და ვინაიდან ეს პრობლემა მართლაც არსებობს და გადაუწყვეტელია, ეს ხელს უშლის საბჭოთა იმპერიის წიააღმდეგი შეთანხმებული ბლოკის შექმნასაც. იგივე ითქმის ეგრეწოდებულ განვითარებად ქვეყნების პრობლემაზეც.მათი განვითარება კუს ნაბიჯით მიდის. კომუნისტები კი სწრაფად დაძვრის რეალურ საშუალებას აწვდიან მათ. ის გარემოება კი რომ მათ ბოლოს მონობა მოელის გაუგებარია ამ ჩამორჩენილ ხალხთათვის რომელთაც არაფერი იციან არც პიროვნების თავისუფლებისა არც დემოკრატიისა არც ლიბერალურ ეკონომიკისა.

ასე მოკლედ თქმულიდანაც ცხადი უნდა იყოს თუ როგორ ძნელია მომავლის გათვალისწინება. და მაშასადამე რაიმე ვადის დადება და მასზე ანგარიშით მოქმედება. და ესეც რომ არ იყოს, ყოველ მდგომარეობაში ხომ ის უნდა ვაკეთოთ რისა კეთებაც შეიძლება და შეგვიძლია '. საქართველოს დღევანდელ ვითარებაში კი არის პრობლემა და არის სამუშაო რომლის კეთებაც შესაძლებელია და რომელიც ადრე უნდა გაკეთდეს ვიდრე თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას მოგვიტანდეს ჩვენგან დამოუკიდებელი მდგომარეობის დამყარება.ეს პრობლემა მორალური ხასიათისა გახლავთ.

წარმოების განვითარებლად გამოყენებულ ზომებს რომელთაც კომუნისტები მიმართავენ, თუმცა მოჩვენებითი, მაგრამ მაინც ერთგვარი უპირატესობა აქთ ლიბერალურ ეკონომიაზე. მათ შეუძლიათ დიქტატურის, ზევიდან ბრძანების, დაგეგმვის და კაზარმული დისციპლინის მეოხებით აჩქარებული ტემპით განავითარონ მრეწველობა. მაგრამ ამ „უპირატესობას" თავისი გარდაუვალი სისუსტეც თან ახლავს.ეს იმაში გამოიხატება რომ კომუნისტები თავიანთი არჩევნით უგულვებელ ყოფენ ადამიანის ბუნების ძირითად თვისებას: ინდივიდუალობას. აქედან კი ვითარდებიან ისეთი მიდრეკილებანი როგორიცაა შეძენის სურვილი , რომლის რაოდენობაც მას არასოდეს აკმაყოფილებს. მისი მოთხოვნილება შეძენასთან ერთად იზრდება. ეს ისეთი თვისებაა რომლის ნეიტრალიზება შეუძლებელია, თუარ , ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულად წარმოსადგენ, ქიმიურ ჩარევით ადამიანის ჩასახვის თვით პროცესში. და ამგვარად ადამიანის ბუნების გამოცვლით. ყოველივე ეს ცნობილია

ამის თაობაზე დაწერილიც მრავლადაა. მაგრამ დღეს თეორიულ მსჯელობისათვის არავის ცალია, რადგან „ბუნებრივია“ თუ – არა „ საბჭოთა გიგანტის ძლიერება მსოფლიოს წინაშე აღმართული რეალობაა და პერშინგის რაკეტების შესახებ მეტს ლაპარაკობენ ვიდრე თეორიულ-ფილოსოფიურ საკითხებზე. ხოლო აქ ამის შეხსენება საჭიროა ზემოდნახსენებ ქართულ პრობლემასთან მისასვლელად.

ბოლშევიკებმა რომ მესაკუთრეებს კერძო საკუთრება და საწარმოო საშუალებები ჩამოართვეს, ეს მოვლენა მთლად ახალი და უპრეცედენტო არ იყო. ასეთი რამ ცივილიზაციის ისტორიაში ხდებოდა – დაპყრობითი ომების, ახალ რელიგიის მიღების, ერთი ტომის ან გვარის თუ დინასტიის მიერ ხელისუფლების ხელში აღების და სხვა მსგავს მოვლენათა დროს მაგრამ ყოველ ასეთ ხელიდანხელში გადასვლას მოსდევდა ახალი ციკლი ხელახლად შეძენის მცდელობისა. ბოლშევიკებმა კი ქონების შეძენის აკრძალვა დააკანონესდა ეს სიახლე იყო და არის ანტიბუნებრივი.ამით კომუნისტებმა უკუაგდეს არა მხოლოდ კერძო ინიციატივის პრინციპი, რომელმაც კაცობრიობა დღევანდელ განვითარებამდე მიიყვანა არამედ ასევე უარჰყვეს მატერიალური დაინტერესება და ცხადია გამდიდრების ყოველი სახეც.მათ ადამიანს აუკრძალეს თითონვე ეზრუნა საკუთარი ყოფის გაუმჯობესებისათვის. ეს საზრუნავი მათ სახელმწიფოს, ფაქტიურად პარტიას, დაუმკვიდეს – ვით უფლება და მოვალეობა.ამგვარად პარტია სწყვეტს ვინ რა უნდა აკეთოს და პარტიავე არის მსაჯული თუ ვის რამდენი უნდა ერგოს შემოსავლიდან. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ხალხი თავლაში დაბმულ ცხენებს დაამსგავსეს. უნდა გასწიონ ის ურემი ან გუთანი რომელშიც გააბეს და იმდენი თივა უნდა ჭამონ, ისიც სხვის მიერ შერჩეული ხარისხისა, რამდენსაც დაუყრიან.

მაგრამ ცხოვრების წესის ამგვარმა შეცვლამ ადამიანები არ შეცვალა. ისინი ფუტკრებად არ გადაიქცნენ და საშუალების ძებნა დაიწყეს რომ გამომუშავებული თაფლის დაწესებული რაოდენობა არ დაეტოვებიათ სკაში.ამის მაგალითი კი ხალხს თვით კომუნისტებმა მისცეს.მხოლოდ ხემძღვანელები კი არ მიითვლიდნენ თავისთვის საუკეთესო ნაჭრებს არამედ უზომოდ მომრავლებული ბიუროკრატიაც ამასვე ჩადიოდა. დასაწყისში ამას უსისტემო სახე ჰქონდა და ადვილად დასასჯელ გაფლანგვაში ან შედარებით უმნიშვნელო ხალტურაში გამოიხატებოდა. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ სიღარიბე სუფევდა და მოსახვეჭიც დიდი არა იყო რა. მაგრამ როცა ცხოვრების დონე ამაღლდა და მოსახვეჭიც გაჩნდა (პარადოქსად ნურვინ მიიჩნევს :სიდუხჭირემ კი არა „ლხენამ“ შეასხა ფრთები მომხვეჭელობას) ბუნებას ხომ თავისი უნდა გაეტანა და გაიტანა კიდევაც. გამომუშავდა და დაიხვეწა „თავისთავზე ზრუნვის“ ახალი სისტემა რომელსაც, ესეც ბუნებრივია, სახელი არცა აქვს, ამ სისტემის დამახასიათებელია „მრავალსართულიანობა“, ე. ი. როცა ქვევით მდგომნი მაღლამდგომის მფარველობით „მუშაობენ“ და მფარველს ღალას უხდიან.სახელი როგორ არა აქვს, მისი სახელია კომუნისტური რეჟიმი იგი მშვენიერად აწყობილია და შესანიშნავად მოქმედობს : იყიდება სხვადასხვა შემოსავლიანი პოსტებირომელთაც „დაწესებული“ ფასები ადევს – ზოგჯერ გასაკვირად მაღალი. ერთი ქუთათური რესტორნის გამგის ადგილი ნახევარ მილიონად გაყიდულა. იყიდება სხვადასხვა მომსახურების ხარისხიც : საავადმყოფოში უკეთესი მოვლა, უკეთესი საგზურის მიღება დასასვენებლად, იმავე საგზურის ერთსადაიმავე ადგილისკენ მიღება ცოლქმარისათვის, შვილების მოთავსება სასწავლებელში და სხვა წარმოსადგენი თუ წარმოუდგენელი კომბინაციები.

ამას ის მოჰყვა რომ გაჩნდა მდიდართა ახალი ფენა. გარეგნული ნიშანი მათი სიმდიდრისა არის : მაღალი სტანდარტის საკუთარი სახლები, ან ძვირფასი ავეჯით და სხვა საშინაო საგნებით მორთული ბინა ქალაქში, ძვიფასიანი ავტომანქანა, ხელგაშლილი ცხოვრება და მათი ცოლებისა თუ საყვარლების ქურქები და სამკაულები. ეს ხალხი აინუნშიაც არ აგდებს იმას რომ მათი გამდიდრების წყარო უპატიოსნო წარმოშობისაა. პირიქით საკვირველ თავხედობით და ყოყოჩი ამაყობით ხასიათდებიან. რა უნდა მოსვლოდა ზნეობას ქვეყანაში სადაც პატიოსნებს ქურდების ბედი ენატრება? სადაც შვილს, თუ იგი პატიოსანია, მამის საქციელისა რცხვენია, რადგან იცის რომ თუ მას, მის ამხანაგებთან შედარებით უზრუნველი ცხოვრება აქვს, ეს არაწესიერი გზით ნაშოვარის წყალობაა.

ამგვარმა მდგომარეობამ უკუღმა შეატრიალა გაგება კეთილისა და ბოროტისა, კარგისა გა ავისა. ერთმა ემიგრანტმა ჩამოსულს ამბავი ჰკითხა ძმისშვილებისა. ჩამოსულმა უთხრა : უფროსი თხლეა უმცროსი კი უნარიანი კაციაო. შემკითხველს გაუკვირდა, რადგან უფროსი ნიჭიერ და ბეჯით ბავშვად ახსოვდა უმცროსი კი – მშობლების გამამწარებლად. გამოირკვა რომ „თხლეს“ ფილოლოგიური დაუმთავრებია და კლუბ-სამკითხველოს გამგე ყოფილა, „უნარიანი კაცი“ კი – მამაძაღლობით გამდიდრებული კომბინატორი. მეორე ამბავი : საქართველოში მგზავრობის შემდეგ დაბრუნებულმა ქალმა თქვა : ჩემი ორი შვილიდან, რომელიც დინჯი და პატიოსანი იყო უნიფხვოდ დადის, იმას კი რომელიც უკუღმართი და გაიძვერა იყო, ყელამდი აქვს ყველაფერიო. მესამე ამბავი : ჩასულმა ძმას უსაყვედურა : რა მოგივიდათ კიდევ ატალახებულ შუკებში იფლობითო.ძმამ უპასუხა რა უნდა გვექნა ჩემზე ადრე მყოფმა ორმა თავმჯდომარემ თავიანთი სახლები აიშენაო. ახლა ხომ შენ ხარ თავმჯდომარეო ჰკითხა პარიზელმა. ახლა ჯერ ჩემ სახლს ვაშენებ და თუ არ გადამაყენეს მერე გზებსაც მივხედავო. ზოგიერთმა აქაურმა ჩამოსულ ნათესავებსაც შეატყო ბრუნდობა მაგრამ. . . . .

ამ დაცემულ ზნეობის ამაღლება, ამ მომაკვდინებელ სენისგან ხალხის განკურნება არის დღევანდელი უპირველესი ამოცანა. დღეს საქართველო არცკი საჭიროებს ეროვნულ შეგნების პროპაგანდას. დამოუკიდებლობის სურვილის გაძლიერებაზედაც ზედმეტია მუშაობა. ყველაფერი ეს არსებობს. იგი ნორმალურად დაიბადა და ცოცხლობს გულში და გონებაში ქართველთა. საკვირველიც იქნებოდა ასე რომ არ ყოფილიყოკულტურულად დაწინაურებულ ხალხში, როცა კაციჭამიობიდან ძლივ გამოსული აფრიკული ტომები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აარსებენ და ეს იცის ყოველმა მწყემსმაც. ხოლო ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური შესაძლებლობა ამხანად არ არსებობს, ახლა და მანამდე რეალისტური და აუცილებელი იმის კეთება არის, რის უმისოდაც ვერც ნამდვილ ბრძოლას შევძლებთ როცა ამისი დრო დადგება.ჩვენ მძიმე გამოცდა მოგველის. ჩვენი მდგომარეობა ძალიან განსხვავდება აფრიკის ზანგთა მდგომარეობისაგან. დაგვჭირდება დიდი სულიერი სიმტკიცე რომელიც არ არსებობს გარეშე მაღალი მორალისა. და თუ მოსალოდნელ მოვლენებს ჯანსაღი მორალით არ დავხვდით, „თავისით“ მოსულ დამოუკიდებლობასაც ვერ მოვუვლით და შევინარჩუნებთ, როგორც ერთხელ მოგვივიდა —მაშინ სხვა მიზეზით.

საბჭოთა წყობილების ვერც დამხობაში ვერც გარდაქმნაში საქართველო როლს ვერ ითამაშებს (არც რევოლუციის მოხდენაში უთამაშნია). პირველისათვის რიცხობრივათ ვართ უმნიშვნელონი, მეორესთან კი ე. ი. გარდაქმნასთან ჩვენ აღარ მიგვესვლება. სტალინ-ბერიას შემდეგ რუსები ქართველებს ცეცხლივით ერიდებიან და ასეთ საქმესთან არ მიუშვებენ.

ზემოდგამოთქმულ შეხედულების და სამოქმედო ტაქტიკის მიმდევარი იყო ილია. როცა იგი ქართველ ნაციონალისტურ წრის მიერ შედგენილ „ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის“ პროგრამის პროექტს ასწორებდა, მან უცვლელად დასტოვა ტექსტის დასაწყისი, სადაც საქართველოს ბედის რუსეთის ბედთან , ქართველების მიერ ნებაყოფლობით გადაბმაზეა ლაპარაკი. როგორ ? ქართული ეროვნული აღორძინების სულისჩამდგმელი მართლა რუსების მონობაში აპირებდა ქვეყნის დატოვებას ? მაშ რად შეალია თვისი სიცოცხლე და ძალღონე რუსეთიდან განთავისუფლებისათვის ქვეყნის მზადებას ? ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ ეს იყო ერთადერთი რეალისტური გზა და საშუალება, ჯერ რუსთა ნდობის დამსახურებისა და შემდეგ საქართველოსთვის თვითმართველობის მოპოვებისა, რის მოთხოვნასაც ის აპირებდა, ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნასთან ერთად— ამ „რუსეთის ერთგულ“ პარტიის, სათავადაზნაურო საკრებულოს და ქართულ სამღვდელოების სახელით.ამისათვის ილიას რომ მიეღწია ეს იქნებოდა ყველა ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა გადაქცევა, შესაბამის დარგის ავტონომიურ უწყებებად , რომელთაც მხოლოდ სახელის შეცვლა ესე იგი სამინისტროებად მონათვლა და დასჭირდებოდა რომ საქართველო უკვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციით აღჭურვილი დახვედროდა რევოლუციას.და არც ჟორდანიას დაჭირდებოდა სასროლი ბადით თევზებივით დაჭერა შემთხვევითი პირებისა და მათი „ძალით შემოთრევა“ მთავრობაში.მაგრამ ეს მხოლოდ სევდით გამოწვეული კვნესაა თორემ წამხდარსა საქმეს . . . .

ამგვარი გეზის აღებას გულისხმობს დუმბაძის რომანის ფილოსოფიაც. მართალია ერთმა იქაურმა სკეპტიკურად შეხედა დუმბაძის „წმინდანობას“ — თითონ ხელისუფლების ფავორიტია და სასახლე აქვს მის განკარგულებაშიო. შეიძლება ! ეს ნაწილობრივად მართალიც იყო, მაგრამ ზოგი სისუსტე ყოველ ადამიანსა აქვს. დუმბაძე ნაზი კაცი იყო იგი გმირობამდე ვერ მივიდოდა. ჩვენ ის კი არ უნდა ავწონოთ თუ რამდენად მართლა ემთხვევა მისი ბიოგრაფია ბაჩანასას, არამედ იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რა მიმართულებით ცვლის იგი განსხვავებას არსებულს მასა და მის გმირს შორის. საბედნიეროდ დუმბაძე გამონაკლისს არ წარმოადგენს. მორალისა და ზნეობის ამაღლებისათვის იღწვიან თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელნიც. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება მაგრამ უმჯობესია გარდაცვლილთა ნაწერი მოვიწონოთ ვიდრე ცოცხლებისა.

აუცილებელია ამ მიმართულებით გაძლიერება მუშაობისა. მართალია პირველი სიტყვა მაინც მწერლობას ეკუთვნის მაგრამ საზოგადოებაც უნდა ჩაებას საქმეში. ეს საყოველთაო პრობლემაა, იგი ყველა დონეზე და ყველა წრეში დგას- ყველა სფეროში. ამ სფეროში ბრძოლა იარაღით ბრძოლის ტოლფასოვანია ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში. ცხადია აქედან არ შეიძლება აზრი გამოითქვას იმის თაობაზე თუ როგორი უნდა იყოს ამ მუშაობის კონკრეტიული სახე, მაგრამ ამ მუშაობისკენ მოწოდება ყოველ ქართველის მარტო უფლება კი არა მოვალეობაა. ამიტომ ვაძლევთ ჩვენს თავს ამის ნებას.

პატიოსნებისათვის ბრძოლა ისეთ პირობებში როდესაც პატიოსნებისაგან გადახრა იმით არის გამოწვეული რომ საკუთარ თავზე დამოუკიდებლად ზრუნვა პატიოსანი და ადამიანისათვის ბუნებრივი გზით აკრძალულია, უკვე დაბრკოლების შემქმნელია. ასევე ძნელია ასეთი მუშაობა იმ საზოგადოებაში რომლის საგრძნობი ნაწილისათვის პატიოსნების კრიტერიუმი ძალიან თავისებურია. აქ მხედველობაშია კაგებეს ჯაშუშურ ქსელის არნახულად დიდი მასშტაბით განვრცობა. არსებობს საქართველოსათვის სპეციფიკური დაბრკოლებაც : ქართველი ხომ ის კაცია ვისაც სხვა ერის შვილზე მეტად ახასიათებს ბედნიერებისაკენ სწრაფვა — რომელსაც სხვებზე მეტად იზიდავს „ცხოვრების გემო“ და ყველა ამქვეყნიური სიამენი. მაგრამ მაინც არსებობს გარემოებარომელიც ამ ცდის სასარგებ-

ლოდ უნდა მოქმედებდეს. საქმე ის არის რომ საბჭოეთში მოდებულ მომხვეჭელობით მთავარი და ნამდვილი მოსარგებლენი მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ. მცდარია მათი აზრი ვინც ამბობს — ქურდობა გაჭირვებამ გამოიწვიაო. ლურსმნის ქარხანაში მომუშავე მუშა არცერთ ქვეყანაში ლურსმანს მაღაზიაში არ ყიდულობს. კომბინაციებს აკეთებს უმთავრესად მაღალი ადგილის მჭერი ხალხი : გამგეები, ინჟინრები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და რათქმა უნდა მათი ბუღალტერები. ზოგჯერ ეს კომბინაციები საზიზღარ სახეს იღებენ :მაგალითად ცნობილია ორი შემთხვევა (ალბათ უცნობი სხვაც არის) რომელშიც სიძველეთა რესტავრაციაში მომუშავე არქიტექტორები გამოდიან სამარცხვინო როლში. ერთმა ისტორიულ ტაძრის შემკეთებელმა მდარე ხარისხის კრამიტი გამოიყენა. რასაც ის მოჰყვა რომ ვიდრე საამისო უწყებები ახალ თანხას გამოჰყოფდენ, ტაძარი წვიმამ დააზიანა. მეორე შემთხვევა სვანურ კოშკს შეეხება. აქაც წუნდებული მასალა გამოიყენეს გადასახურად და შედეგიც მსგავსი იყო. ხოლო სავალალო ისიც არის რომ ამ წუწკების გვარები არ გამოქვეყნებულა. კიდევ ერთი ამბავი უნდა მოვიყვანო სხვა ხასიათისა მაგრამ სულ ახალი. გაზეთ კომუნისტის ამა წლის ექვსი მარტის ნუმერში ვკითხულობთ რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში პურის საწარმოს მთავარ ინჟინერს და კომუნისტს გვარად კუკულაძეს, თავისი ასულის ქორწილზე ხუთასი კაცი ჰყოლია სტუმრად.როგორც ხედავთ, მთავარ ინჟინერს უნარიანად უმუშავნია თავისი „ბედნიერებისათვის“ და გურიელებისათვისაც უჯობნია. მერე რა ! გურიელები მხოლოდ მთავრები იყვნენ კუკულაძე კი მთავარიც არის და ინჟინერიც. რა მოჰყვა ამას ? პარტიული ხაზით საყვედური გამოუცხადეს კუკულაძეს, საწარმოს დირექტორს ჯაყელს, ლესას ორგანიზაციის მდივანს ტუღუშს, ალმასკომის თავმჯდომარეს გოგიჩაიშვილს და მდივანს ტყებუჩავას, აბა რა ექნათ, ამოდენა ხალხს ხომ ვერ მისცემდენ სამართალში.(გაზეთი ამბობს:სოფელი და მეზობლები სად იყვნენო)მაგრამ ამ ამბავს, სხვა, პიკანტური, მხარეც ჰქონია. თამადას პირველად „ნეფედედოფალი“ უდღეგრძელებია ხოლო მეორე სასმისით კი ... აგვისტოში დაბადებულ მათი პირმშოსათვის უსურვებია, რასაც ასეთ შემთხვევაში უსურვებენ ხოლმე. როგორც ხედავთ გურიის ამ პატარა სოფელში შორს წასულა ზნეობის მოდერნიზაცია. და ეს არა მხოლოდ იმიტომ რომ ბავშვი ადრევე გაუჩენიათ, არამედ უფრო იმიტომ, რომ მიუხედავად უხერხულად მისაჩნევ გარემოებისა, ხუთასი სტუმრის წინაშეც არ მორიდებიან ამის საქვეყნოდ გამოფენას.რა დიდი მანძილია გავლილი იმ არცისე შორეულ დროიდან, როცა ქორწილის დროს კი არა, მეორე დღეს სულ სხვა რამეს გამოაფენდნენ ხოლმე, საჩვენებლად იმისა რომ სასძლო უმანკო იყო.

იტყვიან, მორალური დაცემა მხოლოდ შედეგია კომუნისტური რეჟიმისა და როგორ შეიძლება შედეგთან ბრძოლა თუ მის მიზეზსაც არ ვებრძოლეთო. ეს თეორიულად სწორია მაგრამ თეორია და პრაქტიკა ყოველთვის როდი ემთხვევიან ერთმანეთს. მაგალითად სტიქიურ მოვლენების დროს როგორნიც არიან მიწისძვრა, დიდი თოვლი, ყინვები, გვალვა და სხვა, მიზეზს ხომ ვერ შეებრძოლებიან არამედ შედეგს ებრძვიან რომ ზარალი შეანელონ. ხშირ შემთხვევაში მედიცინაშიც ასე ხდება. კომუნიზმს კი ჩვენისანა პატარა ერისათვის რომელსაც ასეთი დიდი მასშტაბის მოვლენასთან ბრძოლა არ შეუძლია სწორედ ისეთი სახე და მნიშვნელობა აქვს ~~როგორიც~~ —როგორიც სტიქიურ მოვლენას ამასთანავე არც ის იქნება გონივრული რომ ყველა ქართველი კომუნისტი მეთაური მოღალატედ მივიჩნიოთ. ისინი ვინც ღალატი ჩაიდინა დღეს ცოცხლებში აღარ არიან. საქართველოს დღევანდელი მოსახლეობა სამოცდაოთხი წლის ჰასაკამდე, ესე იგი მთელი აქტიური მოსახლეობა, საბჭოურ რეჟიმის ხანაში დაბადებულთაგან შესდგება. (ასე არ იყო უკანასკნელ ომის დროს საფრანგეთში მაგრამ ჰყავდათ პეტენი და ლავალი, სხვა რომ არ ვახსენოთ, მოღალატეები იყვნენ ისინი? ცხადია არა. და ეს მიუხედავად იმისა რომ ომი იყო, რომლის დასასრულიც ყველამ იცოდა შორეული არ იქნებოდა)

შეუძლებელია დავუშვათ და წარმოვიდგინოთ რომ ქართველ კომუნისტებს, მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველო არ უყვარდეთ. ერთხელ ილიამ თავადების გამო დაახლოვებით შემდეგი თქვა : ზოგი თავადი თუ ავია , იმიტომ კი არა რომ თავადია, არამედ იმიტომ რომ ავი კაციაო. იგივე ითქ ჩვენს კომუნისტებზეც. ავები და ცუდები ყველა ერშია. თვით ავებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებ

მაგრამ მარტო მორალური სიმაღლეც არ კმარა. დღეს გასაკეთებელის შესასრულებლად აგრეთვე საჭიროა შინაგანი სიმტკიცე, ალტრუიზმი ეროვნულ ინტერესთა სასარგებლოდ, ჯიუტი მიდევნა ქვეყნის სამსახურისადა ისეთი მდგომარეობის დამყარება რომ ქართველი ქართველს ენდობოდეს, რაგან ბედოვლათობა იქნება თუ მაქსიმალურად არ გამოვიყენებთ იმ ვადას — იმ დროს, რომელიც გარემოებამ დაპყრობილად ყოფნაში გაგვიგრძელა. ისტორია უფრო გვაპატიებს თუ აქ ემიგრაციაში ზოგი ხან თარზე მაჟორით ხან ჩონგურზე მინორით უკრავს საკუთარ კომპოზიციებს, ზოგი დროგასულ თანაც გაბზარულ „პლასტინკებს გრამაფონზე“ ატრიალებს, ზოგს კი სქოლასტიკაში შეუტოპია და არადსახმარ ბუნდოვან ფორმულების გამომონებით ერთობა. მაგრამ იქ ადგილზე სხვა რეალისტური საქმეა გასაკეთებელი. იქ სახვალიო ნერგები ირგება და ცუდად დარგვა ძვირად დაუჯდება შთამომავლობას.

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველომ დიდი პროგრესი გააკეთა კულტურის სფეროში მაგრამ იგივე ვერ მოახერხა ეკონომიურ განვითარებაში. არასაკმაოდ განვითარდა წარმოება და რაც

არსებობდა ისიც უცხოელთა ხელში იყო. დღეს ყოველ დარგში დიდი მშენებლობა მიმდინარე-
ობს. თავისთავის მტრობა იქნება რომ რასაც ვაკეთებთ კარგად არ ვაკეთოთ —აქაოდა არასასუ-
რველი რეჟიმი გვაკეთებინებსო ან — რუსებისათვის კეთდებაო. ყოველმა ქართველმა სხვა ქართველს
უნდა უშველოს რომ ქვეყანას სიკეთე შესძინოს —მატერიალური დოვლათი იქნება ეს თუ სულიერი.
მუდამ გვახსოვდეს რომ ქართველებს კავკასიაში კონკურენტები გვყავს, მარტონი არა ვართ.
ნუ დაგვათრობს და მოგვატყუებს ის რომ ჩვენი ცეკვებითა და თეატრით სახელი გავითქვით. ეს
ყველაფერი კარგია მაგრამ თუ ამას წონასწორობის შემქმნელი სხვა რამაც არ ახლავს , მავნე
უფრო აღმოჩნდება ვიდრე სასარგებლო- ზოგი ჩვენი მეზობელი კულტურითაც არ ჩამოგვრჩება ხო-
ლო მიწისათვის ხელის ჩაჭიდებაში ესე იგი სოფლის არ მიტოვებაში , თავისი ვინაობის არ დავი-
წყებაში და შემცვლელი თაობის შექმნაში(ვულგარულად, ბავშვების კეთებაში) ყველანი გვჯობნიან.
მართალია ჩვენი ისტორიის კლასიკური სურათია : დროზე და საჭიროებისას თავის ვერ მინებება
წითელი ღვინით სავსე ქვევრებისა და შემდეგ ამ ღვინოზე ბევრად მეტი სისხლის დაღვრა წახდე-
ნილის ნახევრად გამოსასწორებლად , მაგრამ დღევანდელ რაციონალიზმის ხანაში ოდნავ ხომ მა-
ინც უნდა შევეგუოთ ეპოქას. ისიც მართალია რომ რუსთაველმა გვასწავლა , სჯობს სახელისა მო-
ხვეჭაო და ილიაც სახელისათვის ამაყი თრთოლვის გაქრობას ნანობდა, მაგრამ ისინი, ქურდულად
შეძენილის მეოხებით , ჩეხურ ბროლით მორთულ ბინებით თვალის მოჭრას კი არ გულისხმობდენ,
არამედ გმირულ საქციელს რომელიც პატიოსნების გარეშე არ იქნების. ყოველი სახელი რომლისაკე-
ნაც სწრაფვის მოტივი ახდილად არ ითქმის დაუმსახურებელია.

ამ წერილს დარიგების არც ქადაგების დანიშნულება არ ეძლევა. ღმერთმა დაგვიფაროს რომ
საქართველო ამას საჭიროებდეს — აქედან დარიგების მიცემისათვის კომპეტენტური ხალხიც რომ
გვყავდეს. ეს მხოლოდ აზრის გამოთქმა არის და სხვა არაფერი. ჩვენი ემიგრანტული პრესა ბო-
ლოსდაბოლოს იმას აკეთებს რაც მის მუშაკებს შეუძლია. მაგრამ უფრო მაღალი დონისაც რომ
იყოს ქართულ ენაზე დაბეჭდილის ეფექტიურობა ძლიერ შეზღუდულია. მაგალითისათვის:მგონია
არ ვაჭარბებ თუ ვიტყვი რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაშიერთად აღებულ ქართულად
დაბეჭდილ მასალაზე უფრო ეფექტიანია ლე მონდში გამოქვეყნებული წერილი პროფ. გიორგი
შარაშიძისა გეორგიევსკის ტრაქტატის ზეიმის შესახებ. საუბედუროდ ამ ნაკლის გამოსწორება
ვერ ხერხდება მრავალ მიზეზთა გამო.

წერილის დასასრულს მსურს ოპტიმისტური რამ მივაწოდო მკითხველს. ეს გახლავთ ეპილოგი აწ
განსვენებულ უნიჭიერეს მწერლის გურამ ასათიანის წიგნის პირველი ნაწილისა , რომლის სათა-
ურია „სათავეებთან". მწერალი გვაჩვენებს მთავარ ხაზებს ქართული ხასიათისა, რისთვისაც იგი
ეყრდნობა მხოლოდ ქართულ მწერლობას და ზეპირსიტყვაობას. წიგნს დიდი გამოხმაურება ხვდა
წილად. „ლიტ. საქართველოს" პირველი მარტის ნუმერში დაბეჭდილ ჯუმბერ თითმერიას წერი-
ლიდან ვგებულობთ რომ მხოლოდ ალმანახ „კრიტიკაში" მის შესახებ გამოქვეყნდა წერილები:
აკ. ბაქრაძისა, აჰ. ჟორდანიასი, თ. ნატროშვილისა და ლ. სანიკიძისა. ამ დისკუსიის წინათქმაში
ალმანახის რედაქტორი ამბობს: „გურამ ასათიანის მეცნიერული, კრიტიკული და ესეისტური შრომ-
ები სადაც ქართული ეროვნული კულტურის ერთიანი და მთლიანი მოდელი წარმოიჩინება, თანამე-
დროვე ლიტერატურული აზროვნების (და არა მარტო ქართული) ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და
„მისი მემკვიდრეობა არ არის გარდასულის კუთვნილება, იგი ცოცხალია, ფეთქავს და კიდევ დიდხანს
იქნება ჩვენი აზრის დუღილისა და ჭეშმარიტებათა დაუცხრომელი ძიების მკვებავი, მასტიმულირე-
ბელი წყარო." ზემოდ ჩვენ ვილაპარაკეთ ქართულ მწერლობის მიერ ზნეობის ასაწევად გაწეულ შრო-
მაზე. ეს მოღვაწეობა მარტო მორალურ საკითხებს არ შეხებია. ქართული ისტორიის სწავლების
შეკვეცასაც უპასუხა მწერლობამ— ეს გახლავთ ისტორიულ რომანთა სერია, გამსახურდიადან მო-
ყოლებული ვახტანგ ჭელიძის „ქართ. ცხოვრების ქრონიკებამდე". მთელი ეს გამოცემებიმკითხველთა
ფართო წრისათვის იყო გამიზნულიუფრო ვიწრო წრისათვის არის დაწერილი ასათიანის წიგნი,
თუმცა ხუთმეტიათასიანი ტირაჟით გამოიცა. დისკუსია კი რომელიც ამ წიგნის გარშემო გაიმართა
სრულებით არ არის „ლიტერატურული" ეს არის საქართველოს ისტორიის ანალიზი და ლაპარაკია
აქედან მისაღებ გაკვეთილზე მომავლისათვის. ოფიციალური შეხედულებით კი საქართველოს მომა-
ვალი ისტორია არც უნდა ჰქონდეს. ჩვენი მომავალი ხომ გადაწყვეტილია. მაშ წარსულის გაკვეთილი
რაღა შუაშია. ამგვარად მთელი ეს მსჯელობა უკვე ერეტიკულია. მოყვანილი ეპილოგი წიგნიდან გა-
გარეშეც ეს პატარა ნაწერი მთელი სახელმძღვანელო პროგრამაა.ამიტომ ვფიქრობ რომ ოპტიმიზმის
დამბადებელია ასეთი წიგნის გამოსვლა და მის გამო ატეხილი ხმაური და გამართული დისკუსიები.
რუსები თავისას ცდილობენ— ქართველები თავისას ფიქრობენ და აკეთებენ.ისტორია გვაქვს, მაშ
კიდევაც გვექნება !

მიხეილ ქავთარაძე

1

## ეპილოგი

დრო გულმოდგინედ აკეთებს თავის საქმეს. აი, ახლაც, როცა ამას ვწერ, რომელიღაც უჯრედი კვდება ჩვენს სულში, რომ ახალს დაუთმოს ადგილი.

ამას თითქმის ფიზიკურად ვგრძნობ: სანამ სადღეისოდ არსებულის გამოსათქმელად ვეძებ ზუსტ სიტყვებს — ვარჩევ, ვსინჯავ, ვამოწმებ, ზოგჯერ მგონია, რომ მივაგენი კიდეც, ხელთ მიპყრია! — ამ დროს რაღაც მეცლება თითებშუა, უჩინარდება, ჩამოყალიბებულის სანაცვლოდ ახლადაღმოცენებულის მერწევი კონტურები კრთება სივრცეში და სხვაგვარ ცნებებს, ახალ სიტყვიერ ყალიბს ითხოვს მოსახელთებლად.

ხვალ დილით ქართველი კაცი ახალი თვალით ახედავს მშობლიური გუმბათის სილაჟვარდეს, ისე, რომ ალბათ აღარც გაახსენდება ეს არცთუ ძველი შედარება („ცა ლურჯია გუმბათივით“) ან რითიღა მიამსგავსოს მისი უმოწყალოდ ნარბევი, პირწამახულ ლითონის მიერ ამოკორტნილი ზედაპირი იმ იდუმალ სიღრმეს, სადაც ერთ დროს ღვთისმშობლის აუმღვრეველი მზერა ეგულებოდა.

ისევ არასწორი ტონალობა ავირჩიე... არავინ იფიქროს, რომ ჩვენ დროის შეჩერება მოგვინდა, რომ დიდ გზაგამოვლილნი დავიქანცეთ და წინსვლის თავი აღარა გვაქვს.

სიბერე ჯერ კიდევ შორსაა! განახლება მუდმივი წყურვილია ქართული სულისა, ყოველთვის, როცა კი ამის მინიმალური შესაძლებლობა გვქონდა, ჩვენი „ფიქრისა“ და „მოქმედების“ ადამიანებს სწორედ ახლისკენ ეჭირათ თვალი და სამომავლოდ აღმოცენებულზე იღებდნენ გეზს.

შენი სიბერე
— სიახლე ორბის...

დრო მიდის და ჩვენ ვიცვლებით, თანდათან ვკარგავთ თვისებათა ნაწილს, ვსხვაფერდებით.



2

გავა მეტი დრო და მეტს წაგვართმევს. სანაცვლოდ ახალს შევიძენთ. ეს, როგორც ახლა ამბობენ, შეუქცევადი პროცესია.

მაგრამ „რაღაც“ უსათუოდ უნდა გადარჩეს!

ქართველებს არა გვაქვს იმსიღრმე უფსკრული ისტორიაში და ამის გამო ეროვნულ ხასიათშიც, რაც თანამედროვე ბერძნებს აშორებს ძველი ელადის მკვიდრთაგან, ან იტალიელებს რომაელებისაგან. როგორც ჩანს, ჩვენი ისტორიის გარდამტეხ ქარიშხლებს ასეთი გამანადგურებელი ძალა არ აღმოაჩნდათ (თუმცა მეტი რაღა უნდა დაგვტყდომოდა თავს?!).

ანტუან სენტ ეკზიუპერი ამბობდა: ადამიანი დაბრკოლებებთან ბრძოლაში ყალიბდება პიროვნებადო. ერის სულიერი ფიზიონომიის ჩამოყალიბებასაც უთუოდ წინააღმდეგობათა გადალახვა უწყობს ხელს. ასეთი „ხელშემწყობი“ პირობები ჩვენ საკმარისზე მეტი გვქონდა.

ალბათ ხასიათის მდგრადობამაც თქვა თავისი სიტყვა. საფიქრებელია, რომ თვით ჩვენი ხასიათია განსაკუთრებით გამძლე. რაღაც ურევია შიგ, სამარადჟამო დუღაბის მსგავსი.

ეს „რაღაც“ უსათუოდ უნდა გადარჩეს. ერთხანს მაინც გასტანს. ერის ისტორიაში კი „ერთი ხანი“ ზოგჯერ ათასწლეულებით განიზომება.

* * *

ჩვენი დრო გლობალური პროცესების დროა. არაფერი „ადგილობრივი“ აღარ არსებობს — არც ომები, არც სახელმწიფო გადატრიალებები, აღარც სოციალური ძვრები. სიტყვა „ლოკალურმა“ დაკარგა აბსოლუტური მნიშვნელობა. ყველაფერი გადაჯაჭვულია, ერთ დაძაგრულ, გრანდიოზულ ობობას ხლართად შემოჭდომია „ცისფერი ცთომილის“ ზედაპირს.

და მაინც ამ ყოვლისმშთანთქმელ „გლობალურობაში“ არის ერთი საიმედო, ასევე დროისმიერი ნიშანი:

ჩვენი საუკუნე ეროვნებათა სრული თვითგამორკვევის ერას ხსნის. ის ახალი მთლიანობის პროლოგია, ხოლო ეს ახალი, აღმოცენებადი მთლიანობა საფუძველშივე განრიდებულია შინაგან უსახურობას. მისი მატერია არნახული მრავალსახოვნებისგან უნდა შედგეს.



27

3

თუ ჩვენ თვალწინ (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) რაიმე მართლა ჭერარნახულ სიდიადით წარმოდგა, ეს უწინარეს ერთა თვითშეცნობისა და თვითდამკვიდრების მასშტაბებზე უნდა ითქვას. შეხედეთ, საითკენ მიემართება ეს შეუჩერებელი ნაკადი: დედამიწის ზურგზე თითქმის პირწმინდად ალიგავა ძველი მეტროპოლიების ნამუსრევი; „დამოუკიდებლობა" — გასული საუკუნის ეს ყველაზე დიდი თრთოლვით განცდილი, ყველაზე პროვიდენციული სიზმარი — დღეს მსოფლიოში მოსახლე ერთა აბსოლუტური უმრავლესობის რეალურ, საერთაშორისო გარანტიებით დაზღვეულ სინამდვილედ იქცა.

არავინ აღარაფერს თმობს. რაოდენობას (მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას, ტერიტორიის სიდიდეს) ერთა უფლებების დადგენისას არავითარი მნიშვნელობა აღარ ეძლევა. პრაქტიკულად კი ყველაფერს „ეროვნული ენერგია" სიცოცხლისუნარიანობა და შემოქმედებითი პოტენცია წყვეტს.

არც საუკუნოვან კავშირებს ექცევა რაიმე განსაკუთრებული ყურადღება. კოლონიური „მადლიერების" გრძნობა ჩალად აღარ ფასობს. გუშინდელი არაფრისმქონე შავი მონები ამაყად შედიან თეთრკანიანთა მიერ მიტოვებულ ქათქათა სრასასახლეებში, რომ იქ წინადღით აღმოცენებულ სუვერენულ სახელმწიფოს გამგებელთა სავარძლები დაიკავონ. ამაყად, დინჯად, სრული თვითდაჯერებით ეპატრონებიან „თეთრი ბატონების" ნაქონს, ვინაიდან ამ აყურულ ნაგებობათა საძირკველი მათი მუქი ოფლითაა მორწყული, ხოლო საძირკვლის ქვემოთ მათივე შიშვლად დამარხულ წინაპრების ძვლები აპოხიერებენ ნიადაგს.

ჩვენ ყური შევაჩვიეთ ზოგიერთ თანამედროვე ტერმინს, მაგრამ მათი ადამიანური შინაარსის შესახებ მეტად ზერელე წარმოდგენა გვაქვს.

იცით, რას ნიშნავს რეალურად „ნაციონალიზაცია"?

ყოფილი კოლონიური გიგანტის სატახტოში — მთავარ ქუჩებზე, მოედნებზე, გამოფენილია ათასობით შუახნის მამაკაცი, კარგად მორგებულ რუხ კოსტუმებში. ისინი ჯგუფჯგუფად დგანან, ხმადაბლა ესაუბრებიან ერთმანეთს ან უსიტყვოდ შესცქერიან თვალებში. ტროპიკების მცხუნვარე მზისგან გარუჯულ სახეებზე ერთი ნერვიც არ ერხევათ. მათ არაფერი არ ესმით — არც მანქანების ყრუ გუგუნი, არც მოტორო-



4

ლების მხიარული გაჭახჭახება, არც იქვე, ქალაქის მთავარ შადრევანთან, ქვაფენილზე მიმოწოლილი ჰიპების ყიჟილ-ხივილი.

მათ თვალებში მუნჯი სასოწარკვეთილებაა ჩამდგარი... ესენი გუშინდელი წარმატებული საქმოსნები არიან, გათავისუფლებული კოლონიიდან უცერემონიოდ პანღურნაკრავი ვაჟბატონები. მათ ფილტვებში შორეულ უღაბნოთა მტვრის ნალექი დევს. ამ მსხვილძვლიანმა მამაკაცებმა ხანგრძლივი მემკვიდრეობით მიიღეს ის, რაც დღემდე ებადათ, რასაც განაგებდნენ, სარფიანად ატრიალებდნენ, ამრავლებდნენ, იმის სრული რწმენით, რომ ყოველივე ეს მათი წმიდათაწმიდა, შეუვალი საკუთრება იყო.

მათ აკვნიდანვე ასწავლიდნენ, როგორ შეიძლება უდაბნოს გამოფიტული ქანებიდან ოქროს წვეთების გამოდენა, როგორ ჯერ არს დაბანდება, არენდირება, საიჯაროდ გარიგება, იაფფასიანი მუშახელის შოვნა, საექსპორტო საქონლის რეკლამირება, სხვისთვის დასწრება, გასაღება და ისევ თავიდან: დაბანდება, ამოქაჩვა, გაორკეცება...

ყოველივე ამის სწავლა მეტად და მეტად ძნელი იყო და მათ ამის მეტი არაფერი ესმით, არავითარი სხვა საქმე არ ხელეწიფებათ.

მათი თვალების ფსკერზე მუნჯი სასოწარკვეთილებაა.

ეს ნაპირზე ამოყრილი თევზების უსასოო გამოხედვაა, ვინაიდან ამ შუახნის მამაკაცებს არავითარი ილუზია აღარ შერჩათ.

ასეთი განაჩენი მათ საკუთარმა სახელმწიფომ, საკუთარმა ხალხმა, საკუთარმა res publica-ამ გამოუტანა...

ეროვნული თვითშეგნების საყოველთაო აღმავლობას ჯერ კიდევ არ მიუღწევია მეცხრე ტალღამდე, მაგრამ მისი მოახლოების მაუწყებელი ხმები მსოფლიოს ყველა მხრიდან გაისმის.

მოხდა ისე, რომ ერთი წლის განმავლობაში მე ჩვენი ნახევარსფეროს ორ წერტილში მომეცა ამაში დარწმუნების საშუალება — უკიდურეს აღმოსავლეთში და იქ, სადაც დასავლეთის მხრიდან — ევრაზიის ხმელს უკანასკნელი მერიდიანი გადაუვლის.

ეს ქვეყნები არაფრით არ ჰგავანან ერთმანეთს, არც ისტორიით, არც რელიეფით, არც მოსახლეობის ადათ-ჩვევებით:

5

გარდა ერთისა: აქაც და იქაც ჰაერი დენთითაა გაჟღენთილი, თითქოს ყველაფერი მოგვარებულია. ფილიპინელებმა კარგა ხანია (იაპონური ოკუპაციისგან გათავისუფლების შემდეგ) ამერიკელთა უღელიც გადაიგდეს, პორტუგალიელებმა ბოლო მოუღეს სალაზარისა და მისი უღღეური მემკვიდრის ანტიხალხურ რეჟიმებს. და მაინც ნაციონალური პრობლემა აქაც და იქაც მთელი სიმწვავით დგას, თითქმის ყველა პროგრესული მოღვაწე ნაციონალური აღორძინების დროშით გამოდის და შინაეროვნული კონსოლიდაციისკენ მოუწოდებს მასებს, პატრიოტული სულისკვეთება ზენიტშია და ახალ, ეპოქის შესატყვის, დემოკრატიულ ფორმებს იძენს.

სამუდამოდ დამამახსოვრდა ლისაბონელი კომუნისტების სახეები, როდესაც ისინი თავიანთ დროზე ადრე გათეთრებულ გრუზათმიან ლიდერს ხვდებოდნენ.

ანგოლიდან ერთი საათის წინ დაბრუნებული ალვარო კუნიალი დინჯად აბარებდა ანგარიშს თანამებრძოლებს და მის უძილობით ამოღამებულ თვალებში (როგორ არ გავდა მათი გამოხედვა ლისაბონის ქუჩებზე გამოფენილ რუხი მამაკაცების უიმედო თვალებს!) ერთმანეთს კვეთდა რამდენიმე ასეული, ასეთივე ხანგრძლივი უძილობით აღგზნებული და გაბასრებული მზერა. ოფიციალურად ამას პრეს-კონფერენცია ერქვა, მაგრამ თანამზრახველებს უსიტყვოდაც ესმოდათ ერთმანეთის.

რაოდენ ყურადსაღებია და საგულისხმო, რომ სწორედ პორტუგალიელმა კომუნისტებმა — თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ეჭვმიუტანელმა პატრიოტებმა — დაუჭირეს, ყველაზე გადაჭრით და უყოყმანოდ მხარი სახალხო გადაწყვეტილებას: სრული დამოუკიდებლობა მისცემოდა პორტუგალიელთა მიერ სხვადასხვა დროს კოლონიზებულ ტერიტორიათა მოსახლეობას.

• • •

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველი ეროვნული აღმავლობის საფუძველი მატერიალურ სფეროში დევს. ქართველ ხალხსაც დღეს უამრავი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა უხდება. სახვალიოდაც არაერთი ურთულესი საქმეა მოსაგვარებელი.

ასეთსავე დაძაბულ ყურადღებას მოითხოვენ სახელმწიფოებრივი, ადმინისტრაციული, სამართლებრივი პრობლემები.



6

მაშადამე საყოველთაო გულისყურს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები გვკარნახობენ. ყველა უბანზე, ყველა რგოლში უნდა აღმოიფხვრას რუტინა, ბიუროკრატიული ცრურწმენები, ჩინოვნიკური სიმხდალე, დრომოჭმული კონცეფციები, ბრტყელშუბლიანთა უტიფარი სიჯიუტე და უზომო აპლომბი, არაფრისმაქნისთა მოჩვენებითი ჭაპანწყვეტა, ხელჩაქნეულთა უნიათობა და ფარული ცინიზმი.

მაგრამ პირველ რიგში ფესვიანად უნდა ამოიძირკვოს ყველაფერი, რაც ეროვნული ნიჰილიზმის სახით ვითარდება.

ყოველი ხალხის სიცოცხლის გახანგრძლივების (ანუ „გადარჩენისა“ და „უკვდავების“) გარანტია მის შეუჩერებელ მოძრაობაშია.

როგორც კი ესა თუ ის ერი თავის მოგონებებში იყინება ან წარსულის ყალიბებში თვითკონსერვაციის მაცდურ გზას ირჩევს, ის ამით სინამდვილეში დასაღუპავად წირავს თავის თავს.

დღევანდელ ქართველობას ასეთი საფრთხე (მიუხედავად ზოგიერთი ტრადიციული ჩვევისადმი განსაკუთრებული ერთგულებისა) არ უნდა ემუქრებოდეს. არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მუდმივი განახლებისკენ მიდრეკილებაც მისი ისტორიის ერთი უმთავრეს ტრადიციათაგანია, არამედ იმის გამოც, რომ ეპოქის ბევრი საგულისხმო ტენდენცია არა თუ არ თრგუნავს, პირიქით, ხელს უწყობს და ახალ პერსპექტივას უშლის ზოგიერთი ჩვენი სულიერი მონაცემის შემდგომ განვითარებას.

კერძოდ, ზემოხსენებული „გლობალური“ ტენდენციები საშიში არ უნდა აღმოჩნდეს ქართული ხასიათისთვის, ვინაიდან ამ ხასიათშივე არის ერთი საიმედო ნიშანი, ერთი, საუკუნეების სიღრმიდან შემორჩენილი თვისება, რომელიც, წესით, კიდევ დიდხანს უნდა გაგვყვეს მეგზურად.

ამაზე შეიძლებოდა ადრეც გვეთქვა, მაგრამ რაღა დასამალია, ეს ბოლო „კოზირი“ მე ეპილოგისთვის შემოვინახე.

ყველას გვახსოვს ავთანდილის სიმღერა. რომ არავის დავიწყებოდა, ჩვენს დროშიც მოგვაგონეს:

„ტყე-ტყე მიდის, ტყე-ტყე მიდის, ინდი-მინდი ფერად შინდი,
იმღერს ლექსთა საპრალოთა, ტყე-ტყე მიდის“...

მაგრამ რას ნიშნავს, რას გვანიშნებს მოიარებით „ვეფხის-

ტყაოსნის“ ავტორი ამ სრულიად სამყაროს, მთლიანი მზისქვეშეთის აპოთეოზის აღწერით?

ის ხომ ტყუილუბრალოდ არაფერს ხატავს, არც ერთი საგანი არ შემოაქვს უმიზეზოდ თავის პოეტურ მიკროკოსმში.

აქ კი რა უზომო მოზღვავებაა!..

მე ვფიქრობ, რომ ქართულმა ესთეტიკურმა გენიამ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ეროვნული ბუნების კიდევ ერთი დიდად ნიშანდობლივი თავისებურება.

ცოტა შორიდან დავიწყებ:

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის სულიერ ბიოგრაფიაში არსებობს საბედისწერო თეთრი ლაქები, რომლებიც სხვადასხვა დროს გაჩნდა ობიექტური მიზეზების გამო.

ასეთი ჩავარდნებისა და უდროობის პერიოდებში (რაც მოგვიანებითაც ხშირად განგვიცდია) ჩვენი კულტურის განვითარებას პროვინციალიზმიც შემოეჩვია, კარჩაკეტილობის სენიც, შეზღუდულობაც და სხვაც ბევრი ამგვარი რამ.

ქართველი ხალხის სულიერი და გონებრივი აღმასვლის გზა სწორხაზოვანი არ ყოფილა. მაგრამ, თუ ამ გზაზე აღჩენილ ყველაზე მაღალ მწვერვალებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ორი გარემოება მიიქცევს ჩვენს ყურადღებას.

ერთი მხრივ, უაღრესად ძლიერი მიმღეობითი ტენდენცია ანუ მოზიდვის, შემოკრებისა და შესისხლხორცების განსაცვიფრებელი ნიჭი.

მართლაც საოცარია, როგორ იშინაურებს ქართული კულტურა (ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული) ყოველი მხრიდან დაძრულ ახალ-ახალ შენაკადებს, როგორ არ ეშინია ჭებირების გახსნისა, როგორ ბუნებრივად ამთლიანებს თავის წიაღში არა მხოლოდ მონათესავე ნაკადებს, არამედ ზოგიერთ საპირისპირო, ერთმანეთის უარმყოფელ მდინარებასაც.

საილუსტრაციო მაგალითები ძალიან შორს წაგვიყვანდა, მე მხოლოდ ერთ, შედარებით კერძო ასპექტზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის განსაკუთრებული მზრუნველობა, რაც შუა საუკუნეების საქართველოში მთარგმნელობით საქმიანობას ხმარდებოდა.

ცურტაველისა და მერჩულეს ეპოქაში ქართულ ენაზე ითარგმნებოდა არსებითად ყველაფერი მნიშვნელოვანი, რაც კი იმ დროისათვის იყო შექმნილი ქრისტიანული სამყაროს რო-





გორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ რეგიონებში, და იმჟამინდელ ქართველობას (საერთოდ ქართული ენის ყველა მცოდნეს კავკასიაში) საშუალება ჰქონდა არა მხოლოდ სრული წარმოდგენა შეემუშავებინა ამ კულტურის მთავარ მონაპოვართა შესახებ, არამედ გამუდმებით ყოფილიყო მისი განვითარების, მისი აქტუალური პერიპეტიების კურსშიც.

სამყაროს მაღალი წერტილიდან მოხილვის წადილი ძველ საქართველოს იდეოლოგთა ნააზრევში ერთ საგულისხმო მოსაზრებასთან ჯვარედინდება. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ქართველმა კაცმა უნდა „აღიმაღლოს გონებისა თუალი საჭროოებით, ვითარცა ორბმან, რომელი ტრფიალებით აღვალს, რათა განიხილოს სრულიადი ქუეყნის შუენიერება, და ესოდენს სიმაღლესა ზედა, რომელ ყოველსა სოფელსა გუგათა შინა შემოიკრებს“, ვინაიდან: „ამისი მოქმედი... განახლდების და კუალად გაჭაბუკდებისცა“.

ამრიგად, „სრულიადი ქვეყნის“ გათავისიანება, სამყაროს უკიდეგანო სივრცეებთან ზიარება, ანუ ჭეშმარიტი განბრძნობა, მოწიფულობა, ვახუშტის რწმენით, ქართული სულის უბერებლობის უპირველესი საწინდარია.

საინტერესოა ისიც, რომ მთელი ეს ორიგინალური, ადვილად შესამჩნევ პარადოქსზე აგებული კონცეფცია (ცოდნის სისრულე, ჩვეულებრივი წარმოდგენით, ხომ სიბერის ატრიბუტია და არა ჭაბუკობისა) აქ ორბის სიმბოლურ სახესთანაა დაკავშირებული.

პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ გალაკტიონის „15 საუკუნის“ მთავარი სიმბოლოც სწორედ აქედან იღებს სათავეს:

შენი სიბერე
— სიახლე ორბის...

მიმღეობის უფართოესი, შეუზღუდავი მასშტაბი ერთი მხარეა საქართველოს კულტურული (განსაკუთრებით ლიტერატურული) ისტორიისა, მისი ევოლუციის ყველა სრულფასოვან ეტაპზე.

მეორე მხარე ამ ცნობიერი, ნებაყოფლობითი პროცესისა გამოვლენილია საპირისპირო მიდრეკილებაში.

„ჭებირები“ აქ უკვე სხვა მიმართულებით ხსნიან გზას.

ეს გახლავთ სამყაროს უშორესი სივრცეებისკენ მიმართული სწრაფვა ანუ პირველზე (ცენტრისკენულზე) არანაკლებ

9

ძლიერი (ცენტრიდანული) მიდრეკილება საკუთარის, შინაგანის — ეროვნული ინტიმის — გარე, შორეულ მიდამოებზე პროეცირებისა.

სინამდვილის მხატვრული „დაუფლება“ ამ ასპექტში ახალ შინაარსს იძენს.

მართალია, ქართველებს ცხოვრებაში ანგლო-საქსებისგან ან თუნდაც იმავე პორტუგალიელებისგან განსხვავებით, მაინც და მაინც თავი არ გამოგვიჩენია რაიმე საკაცობრიო მნიშვნელობის გეოგრაფიული შენაძენით, მაგრამ ჩვენს სისხლში, როგორც ჩანს, მაინც ერია ერთი ასეთი წვეთი.

მე ვფიქრობ, რომ ქართველ კაცს სულის სიღრმეში მუდამ აღრჩობდა ახალ თვალსაწიერთა გახსნის, „ცხრა მთას იქით“ გაღწევის მალული ნდომა, რამაც მის მხატვრულ შემოქმედებაში იჩინა თავი ესოდენ ძალუმად.

სამყაროს პოეტური „დაპყრობის“ (შორეულ ტერიტორიათა შემოკავშირების) თვალსაზრისით ჩვენი ოქროს ხანის მხატვრები ნამდვილი კონკვისტადორები არიან. ოღონდ მათი ხვაშიადი მარტო ახალ სივრცეთა მოპოვების სურვილით არ ამოწურულა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამ შორეულ სამოსახლოთა ბინადართათვის, მთელი ადამიანური უნივერსუმისთვის ხმის მიწვდენის უძლიერესი იმპულსიც.

ქართველ კაცს არასდროს არ დაუმალია საკუთარ „წადიერებათა სიდიადე“, ყველაფერი, რასაც კი ის იძენდა საკუთარი გონებრივი თუ ემოციური გამოცდილებით, დაუნანებლად გაჰქონდა გარეთ, რათა საყოველთაო სულიერ საბადებელში შეეტანა თავისი წვლილი.

გ ა ღ ე ბ ი ს, დაუზოგავად გაცემის ფილოსოფია ერთნაირად ახასიათებს მის ადამიანურ ზნეს და პოეტურ სტიქიასაც.

თავის მხრივ, სივრცობრივი განფენა, როგორც თავისებური ესთეტიკური იმპერატივის გამოვლინება, შესატყვის პოეტურ სახეებს ბადებდა ეპოქიდან ეპოქამდე.

ავთანდილის სიმღერაც, რომელიც ყველას გასაგონად, უნივერსალური გამოხმაურებისათვის არის გაანგარიშებული, ისევე როგორც „მერანის“ თავგანწირული მხედრის მონოლოგი, რომელშიც ეროვნული დრამის გამოსავალი დანახულია ადამიანთა მთელი მოდგმის მომნუსხველ ძალის (ბედის „სამძლევართა“) გადალახვაში, უთვალსაჩინოესი ანარეკლია სწორედ ამ



10

ოდინდელი მიდრეკილებისა თავისუფალი, ლაღი, ზღვარდაუდებელი გაქანებისკენ.

შორეულ თანამგზავრთათვის ხელის შეშველება, შეხმიანება, გამხნევება, გამოსარჩლება მუდმივ თვისებად მოჩანს ქართულ პარნასზე. ეს სიმი საქვეყნოდ ჟღერს, რათა საერთო სიყრუის, მიუსაფრობის, გულჩათხრობის მძიმე ღრუბელი გაარღვიოს, კოსმიური სიცივის, გულგრილობის, მარადი არყოფნის წინაშე საბედისწერო შეკრთომისგან იხსნას ღვთისშვილთა სულები. ასეთია ქართული „ამღერების“ პირველმიზეზიც.

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა...

სულ დაწურულად რომ ვთქვათ, თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მისი საზღვრების სიმტკიცეს ემყარებოდა, ქართული კულტურის სიძლიერე და შეუვალობა მის ღ ი ა  კ ა რ ი ბ ჭ ე ე ბ შ ი იყო ყოველთვის.

ეს ორმხრივი მდინარება თითქოს სისხლს უწმენდდა ჩვენს შემოქმედ ორგანიზმს და მისი მუდმივი სიჯანსაღის გარანტიად აღიქმებოდა. ხოლო, რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, ამ გარემოებას საფუძვლად ედო საკუთარი თავისთავადობის ურყევი რწმენა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკიდურესი დეკადანსის პერიოდებს, როდესაც ჩვენშიც, საერთო წესისამებრ, ეპიგონები იკავებდნენ ავანსცენას, ქართველი ხალხის ინტელექტუალურ იერს (როგორც აქტიური „მიმღების“, ასევე უხვად „გამცემის“ როლში) არასოდეს არ დაუკარგავს თავისი თვითმყოფობა. სწორედ  ს ა კ უ თ ა რ ი  ნ ი ა დ ა გ ი ს ა  და ფ ე ს ვ თ ა  ს ი მ ა გ რ ი ს ორგანული შეგრძნება იყო ის უტყუარი საბუთი, რომელიც უფლებას გვაძლევდა ესოდენ ფართოდ გაგვეღო ჩვენი სულიერი გალავნის ყველა კარი, ისე რომ სხვაში გათქვეფის ან საკუთარ სიმდიდრეთა განიავების შიში არ გვქონოდა.

რასაკვირველია, ეროვნული განწყობის ამგვარი მოდელი უნიკალურად ვერ ჩაითვლება. სასაცილოც იქნებოდა ასეთი პრეტენზიის წამოყენება. ჩვენთვის საკმარისია ისიც, რომ ჩვენი სულიერი კონსტიტუციით სწორედ ასეთი შინაგანი წყობის „ერთა ლიგას“ ვეკუთვნით.

საკმარისია არა მხოლოდ წარსული გამოცდილების ღირ-

სეული შეფასებისთვის, არამედ სადღეისო და კიდევ უფრო მეტად სამომავლო იმედებისთვისაც.

ყველაზე დიდი იმედის მომცემი აქ ისაა, რომ სულიერი „კომუნიკაბელობის“ ამგვარი უნარი და ნიველირების, გაუსახურების მიმართ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული საიმედო იმუნიტეტი უაღრესად საჭირო თვისებაა თანამედროვე ერისთვის, უაღრესად საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ მან მხარი აუბას ეპოქის მოძრაობას — არ წაბორძიკდეს, ისტორიის არიერგარდში არ მოექცეს, არ გაირიყოს.

• • •

მთელ ამ „ცდაში“ ისეთ საგანს ვეტრიალებდი, რომელიც რაც უფრო დიდხანს უვლი გარშემო, მით უფრო მეტჯერ შემოვლის სურვილს აღგიძრავს. ყოველი ახალი ნაბიჯი ახალ წახნაგს წარმოაჩენს და, ასე — გაუთავებლად, ხოლო თუ სიღრმეშიც მოახერხე შეღწევა (ერთხელ მაინც), მორევივით გითრევს.

ესეც ხომ ქართულია:

კაცის გული ავეთია, ვით მორევი შავი ზღვისა...

ძალიან ჭირს ამ მორევიდან გამოსვლა... მაგრამ მე მხოლოდ „რამდენიმე ცდის“ ავტორი ვარ და არა ფუნდამენტური მონოგრაფიისა (ასე რომ არ იყოს, ეს ნაწერი სხვა პარაგრაფებისგანაც უნდა შემდგარიყო, რომელთაგან ერთი საგანგებოდ „ქართული ხასიათის საბედისწერო სისუსტეებს“ მიეძღვნებოდა).

ალბათ, შეჯამების დროც დადგა. „ცდა ბედის მონახევრეაო“, — გვამხნევებს ჩვენი ოპტიმისტურად განწყობილი წინაპარი. თუ ამ წამოწყების ნახევარი მაინც მიზანს მოხვდება — რაიმე ინტერესს გამოიწვევს ათასი სხვა საგნით დაკავებულ მკითხველში, დიდად ბედნიერი ვიქნები ჩემი იღბლიანობისა და მისი სულგრძელობის გამოც.

ალბათ ბევრს წაკითხული აქვს საბჭოთა და ამერიკელი მწერლების უკანასკნელი (ბათუმში ჩატარებული) შეხვედრის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის ეილინ როკფელერის გამოსვლის ტექსტი. მე მაინც გაგახსენებთ მის ნათქვამს:

„30-იან წლებში, როცა შტატებს ემიგრანტების ტალღა





ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყდა, იგი (იგულისხმება მწერლის ბებია, რომელმაც თურმე მასში პოეტი აღმოაჩინა) დადიოდა წარმოშობით ევროპელ მეზობელთა შორის და მოუწოდებდა მათ, ოღნავ მაინც შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციები, თავიანთი კულტურა. სიცოცხლის შესანარჩუნებლად შეგიძლიათ ყველაფერი გაიღოთ, — ეუბნებოდა იგი, — მაგრამ უნდა შეინარჩუნოთ თქვენი ეროვნული კულტურა, რომ სული გადარჩეს“.

საოცარია: მე ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ზუსტად ერთი კვირის წინ, მარიამობა დღეს, ვაჟას მშობლიურ ჩარგლიდან ოციოდე კილომეტრზე, სწორედ ამგვარი რამ მოვისმინე.

სოფლის ახალ თავკაცს ლოცავდნენ სუფრაზე. ზოგმა გზის შეკეთების გამო ჩამოუგდო სიტყვა, ზოგმა სასოფლო მაღაზიის თაობაზე, ზოგმა გადახნული სათიბები უხსენა...

ბოლოს ადგა ერთი სხვებზე ახალგაზრდა კაცი და თითქმის სიტყვა-სიტყვით „გაიმეორა“ ეილინ როკფელერის ნათქვამის ბოლო ორი ბწკარი.

„ყველაფერი ეს კარგია, აუცილებელია, — თქვა მან, — ყველაფერი უნდა ილონოთ სიცოცხლის გადასარჩენად, გასახანგრძლივებლად, გასაიოლებლად. მაგრამ მთავარია, სული გადარჩეს!“

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: ვისაც თუნდაც ჩვენი ომამდელი ყოფა ახსოვს, არ შეიძლება არ აღიაროს, რომ საქართველოს სოფელი მრავალმხრივ გამოიცვალა სასიკეთოდ. უმრავლესობამ სული მოითქვა, მხრებში გასწორდა და ამის შედეგად ახალი კულტურული ცხოვრებისთვისაც მოიცალა. ყოველივე ეს მთელი ჩვენი ეკონომიკის სფეროში მომხდარი ძირეული ცვლილების შედეგია. სულ უკანასკნელ დროს რესპუბლიკამ ფართოდ აღიარებული „სამეურნეო მიღწევებითაც ისახელა თავი. შევეჩვიეთ კიდეც მეტოქეებთან ასპარეზობის მოგებას.

მაგრამ არის სხვა უფრო დიდი და უშეღავათო შეჯიბრებაც, რომელშიც თანამედროვე მსოფლიოს ყველა ერი მონაწილეობს.

ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ბევრი რამ უნდა გადმოვიღოთ მათგან, ვინც ჩვენზე წინ წავიდა ცივილიზაციის თანამედროვე გზაზე, — სიბეჯითეც, მომჭირნეობაც, გამჭრიახო-

## 13

ბაც, ყაირათიც. მაგრამ ისე, რომ სხვის ორეულად არ ვიქცე..., ისე, რომ ჩვენი არსი არ შეიბღალოს — არა მხოლოდ კოლორიტი, არა მხოლოდ გარეგანი იერი, არამედ უწინარეს ყოვლისა, არსი, ბუნება, შინაგანი კონსტიტუცია.

ზუსტად არ მახსოვს, ვისი სიტყვებია:

„ვიდრე ამ ქვეყნად ერთი ქართველი მაინც დარჩება, საქართველო იარსებებს“.

შეიძლება ამ აზრის სხვანაირად შემოტრიალება: საქართველო იარსებებს მანამ, ვიდრე ერთი ქართველი მაინც შეინარჩუნებს ქართველობას — ვიდრე იარსებებს ქართული სული.

პირადად მე ვერ წარმომიდგენია, რომ თანამედროვე საქართველოს მკვიდრს არ უყვარდეს თავისი ქვეყანა. არა მხოლოდ იმის გამო, რომ დათვსაც უყვარს საკუთარი ბუნაგი. არც იმას მივესალმები, რომ ასეთი სიყვარულის საფუძველი უბრალო ჯოგური შეგნება იყოს; მხოლოდ იმისთვის გვიყვარდეს ჩვენი თავი, რომ ერთი ხროვა ვართ, ან ერთი ფარა.

საქართველოს ნამდვილი სიყვარული ქართული სულის მიერ მოპოვებულ მწვერვალებისადმი ერთგულებას უნდა ემყარებოდეს, მისი ნათელი, პრომეთეული ბუნების ამაყ შეგნებას. მტერი და დუშმანი ყოველთვის ბევრი გვყავდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, მისი ძლევის მიზნით, ჩვენც რომ მზაკვრობა და სიმუხთლე გაგვეხადა სალოცავ კერპებად.

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა.

იმ დიდ წარღვნებს გადარჩენილი საუნჯის დღევანდელ პირობებში დათმობა, სხვა რომ არ იყოს, სრული ბედოვლათობა იქნებოდა

ასეთი აზრი ნაკარნახევია არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებით. თუ ღრმად ჩავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესიცაა, „მსოფლიო სულის“ ბრძნული დიქტატიც.

ამ გრანდიოზულ კოსმიურ სიმფონიაში ყველა ხმა ან, თუ ისევ ვივეკანანდის დავესესხებით, ყველა „ბგერა“ თავისებურად შეუცვლელია, თავისებურად გადამწყვეტი, ყველა სიმი თავის ფუნქციას ასრულებს.





## 14

„ერთი მათგანიც რომ გაწყდეს“... ჰარმონია სრულყოფილი ველარ იქნება.

ქართული სულის მდინარებას არასდროს არ ჰქონია (ასეთი ილუზიით თავს ნუ მოვიტყუებთ) ვივეკანანდას მშობლიური განგის ან ნილოსის წყალმრავალი დელტის სიფართოვე.

ისეთი ჟამიც გვახსოვს, მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე აქა-იქ ჩელტის ხიდიც გაიდებოდა, განსაკუთრებით ხანგრძლივი გვალვების დროს.

მაგრამ, როგორც მთის ერთი ღვართქაფიანი მდინარე, ის მუდამ — სადაც კი გასაქანი მისცემია — მედგრად, დაუმდორებლად, ზოგან კი თავბრუდამხვევი სისწრაფით და შემართებით მიაპობდა თავის ქარაფოვან კალაპოტს; თუ ერთ მოსახვევში სუნთქვა ელეოდა, მეორეში უეცარი კამარით გადაევლებოდა უფსკრულის პირს.

მისი იმედი ტალღის სიძლიერეში იყო და არა წყალთა სიმრავლეში.

ამ ლაღ, მოკისკასე ნაკადს ისეთი მწვერვალების ნაკური კვებავდა, რომ მისი თავისთავად დაწრეტა პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, თეორიულად ისიც ოდესმე შეუერთდება მსოფლიო ოკეანეს, მაგრამ ამავე ლოგიკით თვით „სოფელსაც“ ხომ „ერთხელ უნდა ბოლო მოეღოს“.

თუ სიცოცხლის მთავარი სიმპტომი მოძრაობაა, ჩვენი სულიერი არსებობა ჯერჯერობით ამ ცხოველი ნიშნის ქვეშ მიიმართება.

ადამიანებმა ბევრი რამ მოიგონეს, რათა აუცილებლობის კანონები საკუთარი ნება-სურვილისთვის დაექვემდებარებინათ.

ვინ იცის?

ყოველ შემთხვევაში, „ოკეანემდე“ ჯერ კიდევ ძალიან შორსაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ე ლ ი ს ე პ ა ტ ა რ ი ძ ი ს მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი

ათმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ რაც გაგვშორდა ელისე პატარიძე. იგი იყო ეროვნულ დემოკრატიულ ბარტიის უკანასკნელი მეთაური. მაგრამ ამ სიტყვებში არ თავსდება მისი პიროვნება. ელისე იყო დიდი იდეალისტი, მხურვალე პატრიოტი, ურყევი რწმენით აღჭურვილი მებრძოლი, უშრეტი ენერგიის მჩენი, ოჯახის სამაგალითო მამა და საზოგადოების ღირსეული წევრი. ყველა ეს თვისება იდეალურ წონასწორობით ბუდობდა მის პიროვნებაში და ყოველი ამ თვისებათაგანი მასში იმ რაოდენობით და ძალით მოქმედობდა, რამდენიც საჭირო იყო. მხოლოდ ერთ რამეში ირღვეოდა წონასწორობა და ზომიერება: ეს იყო სამშობლოსთვის უზომო თავდადება და ასევე ზღარუდებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა. ამიტომ იყო რომ მან არ იცოდა არც აჩქარება არც დაგვიანება, მაგრამ სულ მოქმედობდა. ხოლო მისი მოქმედების მასტიმულებელი , ვით საზოგადოებრივ ასევე ოჯახურ საქმეში მუდამ სიყვარული იყო. ამიტომ შესძლო მან, არც სიმდიდრის არც ხელობის მქონე კაცმა, ასეთი თავდადებული მუშაობა საზოგადო საქმეში და ამავე დროს—იდეალური გაძღოლა საკუთარი ოჯახისა.

ელისეს ჰქონდა აგრეთვე ხასიათის ისეთი თვისებები რომელთა იშვიათობაც დიდი ნაკლია საერთოდ ქართული ხასიათისა. იგი იყო პრინციპთა ერთგული კაცი, იღწვოდა არა სახელისა და გამოჩენისათვის არამედ საქმისათვის, იყო საკუთარ შეცდომათა მაღიარებელი—როცა ასეთი რამ შეემთხვეოდა, არ იყო გულღვარძლიანი არც შური იცოდა.და ამას ისიც ერთვოდა რომ მას არ ახასიათებდა ქართული დაუდევრობა არამედ რამდენადაც შეეძლო წინდახედულად მოქმედობდა და ნაბიჯის სისწორეს ადრევე ზომავდა. რის გამოც იგი დაზღვეული იყო ცეტურ აჩქარებულ გამოსვლებიდან.

ლოგიკურია რომ ასეთი ბუნების კაცი არასოდეს უკიდურესობამდი არ მისულა იმ კინკლაობაში, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ემიგრანტული „პოლიტიკური“ წარსულისა. —როგორც პარტიათა შორის არსებულ დამოკიდებულებით, ასევე თვით პარტიათა წიაღში გამეფებულ ქიშპობა-უთანხმოებით. მგონია არ შევცდები თუ ვიტყვი რომ ელისე იყო ყველა აქტიურად შოქმედ მოღვაწეთაგან ყველაზე უფრო შემწყნარებლურ და ზომიერ ხაზის მიმდევნი და ამ მიმართულებითვე ყველაზე უფრო აქტიური მცდელი როგორმე ერთობის და შეთანხმების მიღწევისა. ხოლო ამას , იგი ჩადიოდა არა იმიტომ რომ ნაკლებად იყო დარწმუნებული მოწინააღმდეგეთა მცდარობაში, არამედ იმიტომ რომ ქვეყნისთვის მომუშავე აღტკინებულ მებრძოლს ერთი კაცის გამოკლებაც ეძნელებოდა და ვერ იმეტებდა იმ უძნელეს ჭიდილიდან გამოსარიცხად, რომელშიც იგი თავგანწირვით იყო ჩაბმული.

ნუ ვიტყვით რომ ყოველივემ ფუჭად ჩაიარა. რაკი მან მიზანს ვერ მიაღწია. მაშინ ემიგრაციის თვით არსებობაც ფუჭად ჩაითვლებოდა. არა ! ელისეს თარგის ადამიანები ქმნიან ქვეყნის სიკეთეს. ზოგს ბედი გაუღიმებს და მოესწრობა ბედნიერ შედეგს, ზოგი საქვეყნო ტვირთის ზიდვისას დაეცემა — ან მტრისა ხელით ან ღონემიხდილობით ან ხანდაზმულობით. ხოლო მათ მიერ დაღვრილი სისხლით და ოფლით გრძელდება ერის სიცოცხლე. ყოველ შეგნებულ ქართველს ჰმართებს მადლიერებით თავი დახაროს იმათი ხსოვნის საპატივცემლოდ რომელთაც თავიანთი სიცოცხლე საქვეყნო საქმის კეთებაში დალიეს — თუნდაც ეს უშედეგო ცდა ყოფილიყო. ხოლო ჭეშმარიტად კეთილშობილმა და კაცურმა კაცმა ელისემაც სცადა და ამ ცდაში დალია სული.

ვიმედოვნებ მკითხველი გამიგებს და აუგად არ ჩამითვლის თუ პირადი მოტივის შეტანით ვაბოლოვებ ამ მოსაგონარს.მე მაქვს მიზეზი ელისეს მიმართ პირადი მადლიერებისა.მისი დაჟინებული რჩევის, ჩაგონების , თვით მოთხოვნის შედეგია თუ მე ჟურნალისტიკაში ჩავები. ერთ დღეს ელისემ ენერგიულად დამავალა შეკვეთილ თემაზე დამეწერა წერილი. მაშინ უკვე სამოც წელს ვიყავ მიღწეულიდა არასდროს აზრადაც არ მომსვლია ჟურნალისტობა. შემთხვევა კი საკმაოზე მეტი მქონია წარსულში. უფრო გვიან ისევ იმავე ხერხით, სხვა წერილი დამაწერია და ნელნელა შეუმჩნევლად „გამაბა მახეში“. საუბედუროდ მალე თვითონ დასნეულდა და ვინაიდან მეორე რედაქტორი ჭირაქაძე პროვინციაში ცხოვრობდა, სამუშაო ფაქტიურად მე დამეკისრა. მოკლე ხანში ელისე დავკარგეთ, ხოლო ერთი ნუმრის გამოცემის შემდეგ ს. ჭირაქაძეც გარდაიცვალა. ამის მოთხრობით არ ვამბობ თითქოს ელისეს ჩემი მონადირებით ძვირფასი რამ შეეძინოს ჟურნალისათვის , სხვა ვერვინ იპოვა, შ. კალანდაძეც შორს იყო.

მადლიერება კი იმიტომ მმართებს რომ ამ საქმის გარეშე ძლიერ უფერული იქნებოდა ჩემი მოხუცობა როცა ჩემი ქალიშვილი სხვა კონტინენტზე ცხოვრობს მე კი დაქვრივებული მარტოხელი ვარ.ამ საქმემ ელისესთან და მის ოჯახთანაც ისე დამაახლოვა , რომ მის შვილებთან ჩემი დამოკიდებულება დიდად არც განსხვავდება ჩემ საკუთარ შვილთან დამოკიდებულებისაგან.. რაც ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

მ. ქ.

## ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო

ნათესავთა და მეგობართა მიმართ სამძიმრის გამოქმით ვაქვეყნებთ 1984 წლის მაისის შემდეგ გარდაცვლილთა სიას.
მიხეილ გაფრინდაშვილი ; შოთა ქურციკიძე ; მიხეილ გოცირიძე ; ლიუბოვ ჭავჭავაძისა ხვოლსონ; ნესტორ პაპუაშვილი ; ელენე მგალობლიშვილი ; ასმათ ჟორდანია ფალავასი ; გიორგი ახვლედიანი; აკაკი გამსახურდია ; ირინე ამილახვარი მაღალაშვილისა ; შალვა იაშვილი ;
შ. შტატებში გარდაიცვალნენ : ალექსი ჩხენკელი ; გიორგი ჯაყელი ; ვლადიმერ ხვედელიძე.

## ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ო ნ დ ი

შემომწირველთა სია ( ფრანგული ფრანკებით )

გიორგი ახვლედიანი: 4796 / მიუნხენის ქ. რედაქცია: 4500 / გივი ზალდასტანიშვილი :1200 / ერმალო ყავრელაშვილი : 1000 / აკაკი შავგულიძე : 500 / სანდრო ბარათელი :400 / ვ. სანგულია: 400/ სოშოს სათვისტომო : 360 / ჟ. ფაშალიშვილი: 240 / ირინე ბაგრატიონი 200/ არჩილ მჭედლიშვილი 200 / ბონდო კეკელია 200 / გივი გაბლიანი 180/ ტატიანა ჭაჭიაშვილი მისი ქმრის ბაგრატის მოსაგონებლად 100/ ვლადიმერ ემხვარი 100.

ულრმესი მადლობა რედაქციისაგან.

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი, გივი ზალდასტანიშვილი, გულნარა პატარიძე ურატაძისა. მიხეილ ქავთარაძე (ტექსტისა და გამოცემის რედაქტორი).

DIRECTEUR O. PATARIDZE

ADRESSE D EDITEUR
MICHEL KAVTARADZE. 61 CH. DE TABOR 91310 LINAS. T. 901 47 81

HORS COMMERCE